გამოცემის 75-ე წელიწადი

№021 (12700) 28 იანვარი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# მეშვიდე ცდაზე მეშვიდე ცაზე



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ალექსიძეც დიორში

სამი წელი და კიდევ ნახევარი. ოდიკაძე მარტო აღარ არის >> 2



## ზაქარია ტვენტეშია

ბეგლარიშვილი: ამ საქმეს თავს გავართმევ...

>> 3



## გრიგალავამ თქვას: სურს საქართველოს მოქალაქეობა?

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან >> 2

## მზის დარტყმა ჩემპიონს

ჯოკოვიჩის ოცნებას წერტილი როდიკმა და ავსტრალიურმა სიცხემ დაუსვეს

Australian Open
The Grand Slam of Asia/Pacific

>> 16





## თასი რუსთავში წავიდა

ფინალის ირგვლივ >> 13

ინტერვიუ

კახა ცხადაძე

# თქვას გრიგალავამ, სურს საქართველოს მოქალაქეობა?

## ცხადაძე პროფლიცენზიას უმიზნებს

კახა ცხადაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დამტკიცდა. დიდი ხნის წინ გახმაურებული ამბავი, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ოფიციალურად გაფორმდა. ცხადაძე ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელობიდან ახალგაზრდულში მუშაობის სურვილის გამო გადადგა. ერთი მხრივ, მოულოდნელიც იყო ფედერაციის ამგვარი გადაწყვეტილება. გავიხსენოთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს ცხადაძე ნოდარ ახალკაცს საკმაოდ მწვავედ დაუპირისპირდა...

სასიამოვნოა, რომ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეებმა პიროვნული დაპირისპირება გვერდზე გადადეს. დაგვეთანხმებით, ამ ქვეყანაში მსგავსი რამ უიშვიათესი მოვლენაა...

ცხადაძემ სამწვრთნელო საქმიანობის დასაწყისშივე დაამტკიცა, რომ ტალანტების აღმოჩენის უნარი აქვს - გიორგი მერებაშვილი, დავით სირაძე, გიორგი ნავალოვსკი, უჩა ლობჟანიძე, ლადო დვალიშვილი და კიდევ ბევრი ცნობილი ახალგაზრდა მისი დაწინაურებულია.

„ლელო" გუშინ იუწყებოდა, რომ ჰექტორ კუპერი ანთალიაში საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს დააკვირდება. ეს არის თავმოყვარე მწვრთნელის ნორმალური საქციელი და არა სუპერსენსაცია. კახა ცხადაძეც კუპერისნაირი „ხალხოსანია" და ტალანტებს, ერთი შეხედვით, ყველაზე უინტერესო შეხვედრებში ეძებს...

**- კახა, უპირველესად, გილოცავთ დანიშვნას. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე გვიჭირდა დაჯერება, რომ ფედერაცია მასთან დაპირისპირებულ სპეციალისტს დანიშნავდა.**

- ჩემთვის კი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან დიდი ხანია, ეს თემა მუსირებდა და მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა.

**- როდის დაიწყო მოლაპარაკებები?**

- დაახლოებით სამი თვის წინ. ერთმანეთს ვხვდებოდით, ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით... იყვნენ სხვა კანდიდატებიც, თუმცა ბოლოს მარტო მე დავრჩი. რაც შეეხება ძველ დაპირისპირებას, მას შემდეგ დროც გავიდა და, რაც მთავარია, ყველას მშვენივრად გვესმის, რომ ჩვენ ქართული ფეხბურთის მომავლის გამო ვწუხდით. თანაც, ქართველები ემოციური ხალხი ვართ. პრეზიდენტით დაწყებული, გენერალური მდივნით დამთავრებული, დაპირისპირება აღმოფხვრილია. მე ვემსახურები ქართულ ფეხბურთს და არა ცალკე აღებულ ვინმე პიროვნებას. რაკი მჯეროდა, რომ შემეძლო ქართული ფეხბურთისთვის სარგებლის მოტანა, ჩემს პირად ინტერესებს ყოველთვის გვერდზე ვდებდი. ფედერაციაშიც ასეთი დამოკიდებულება ვიგრძენი. ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ამიტომაც სიამოვნებით დავთანხმდი. თუ წარმატებას მივაღწევ, ეს ჩემს კარიერასაც წაადგება. ჩემი დღევანდელი პოსტი წინსვლის იმედს იძლევა. გარდა ამისა, მცირე დროსაც გამოვნახავ, უცხოეთში სტაჟირებაზე წავალ და რომელიმე მნიშვნელოვან სემინარსაც დავესწრები.

**- მართალია, თითქოს, „ფონდ არველაძის" ხელშეწყობით სტაჟირებას მალე „აიაქსში" გაივლით?**

- არველაძეები ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ და მჯერა, მათი ხასიათიდან გამომდინარე, კიდევ ბევრ მოთამაშესა თუ მწვრთნელს დაეხმარებიან. „დინამოს" მთავარ მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, შოთამ თავისთან, ჰოლანდიაში წამიყვანა, მის სახლში ვცხოვრობდი და ვან გაალის ვარჯიშებს ვესწრებოდი. ასეთი სტაჟირების საშუალება კიდევ იქნება, მთავარია, თავისუფალი დრო გამოინახოს. შოთას ახლაც შეუძლია, ანალოგიური რამ გამიკეთოს, მაგრამ საამისოდ ჯერ თავად უნდა მოვძებნო თავისუფალი დრო, შემდეგ „ალკმაარი" თუ სხვა კლუბი წინასწარ უნდა გააფრთხილო, ფეხბურთის ფედერაციამაც კლუბს შესაბამისი თხოვნით უნდა მიმართოს... არ არის გამორიცხული, უახლოეს პერიოდში შოტლანდიაში მწვრთნელთა სემინარს დავესწრო. გაიოზ დარსაძემ მითხრა, სამდღიანი სემინარი ტარდება და დასწრებაც შემომთავაზა. ძალიან გამიხარდა, რადგან იქ უამრავი ცნობილი სპეციალისტი იქნება და მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. სემინარზე შოთა არველაძე და თემურ ქეცბაიაც მიიწვიეს, მაგრამ ორივე კლუბში მუშაობს და შოტლანდიაში ვერ წამოვლენ. ზაფხულში კი, უკვე გადავწყვიტე, პროფლიცენზია უნდა ავიღო. მოკლედ, ახალგაზრდული ნაკრები ამ კუთხით თავის წარმოჩენისა და ზრდის მშვენიერ პერსპექტივას მაძლევს. შეიძლება ითქვას, სხვა არჩევანი არც მქონია.

**- ეკონომიკური კრიზისის გამო, სახელმწიფომ საქართველოს ჩემპიონატის სტიმულირებისთვის 2 მილიონი ლარის გამოყოფა 2016 წლისთვის გადადო. ფინანსური პრობლემები შეკრებებისა და ამხანაგური შეხვედრების მოწყობაში ხელს არ შეგიშლით?**

- ეს საკითხი არც დამდგარა და არც დადგება. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები, პლუს ამას, საქართველოს ჩემპიონატიც, იყო და რჩება ფეხბურთის ფედერაციის პრიორიტეტულ მიმართულებებად. ახალგაზრდული ნაკრები კი ეროვნულ გუნდში მოთამაშეთა პირდაპირი მიმწოდებელია. ამიტომ, ახალგაზრდულს ყველანაირად ხელს შეუწყობენ. მიუხედავად პრობლემებისა, სახელმწიფო მაინც გვერდში უდგას ფედერაციას - შეფერხებები არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება ფეხბურთზე არ ზრუნავს. ეს მაიმედებს ანორედ და რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო მატჩის გამართვაზე ვფიქრობთ.



**- თქვენს ერთ-ერთ პლუსად სასელექციო მუშაობა ითვლება. თუმცა ბევრი რამ თაობაზეა დამოკიდებული. საინტერესოა, როგორი ფეხბურთელები მოდიან?**

- მხოლოდ ერთი პერიოდი გვქონდა ჩავარდნა, თორემ ახლა უკვე საკმაოდ საინტერესო თაობა წამოვიდა. თაობა ისაა, 6-7 ძლიერი მოთამაშე მაინც რომ იზრდება. საერთოდ, შეიძლება, ვარსკვლავები აღარ ჩანან, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ბიჭები არიან.

**- მათ შორის ისეთებს დაადგით თვალი, რომელთაც ნაკრებებში აქამდე არ უთამაშიათ?**

- ჯერ ვერ ვიტყვი, ვის მივიწვევ და ვის არა. კიდევ ბევრი მოთამაშის შესაძლებლობები უნდა შევაფასო. ზოგიერთი, შესაძლოა, არც ჩანს და მოძებნა სჭირდება. იყვნენ ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთაც ვენდე და გაამართლეს, მაგალითად, უჩა ლობჟანიძემ, გიორგი ნავალოვსკიმ, გიორგი მერებაშვილმა, დავით სირაძემ, ლადო დვალიშვილმა... ძალიან მწყდება გული, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში აქამდე რომ არ აღირსეს ირაკლი ჩირიკაშვილს. უნიჭიერესი ბიჭია, მოედნის მშვენიერი ხედვა და დარტყმა აქვს. ირაკლი 18 წლის იყო, „დინამოში" ვათამაშებდი და არ მგონია, ნაკრებისთვის უსარგებლო ყოფილიყო, მაგრამ... სამწუხაროდ, ყურადღება არ მიაქციეს. კარგად მახსოვს, მერებაშვილი თბილისის „დინამო 2-დან" გაშვებული იყო, მაგრამ შევხედე, მომეწონა და ძირითად გუნდში ავიყვანე. გამიმართლა კიდეც იმედები, პირველად სუპერთასზე ითამაშა და თან - მშვენივრადაც. ახლა ის გუნდის ლიდერია და ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ. ამით იმის თქმა მსურს, რომ ნიჭიერი ბიჭები ყველა თაობაში არიან, მაგრამ უნდა იარო და ეძებო, თუნდაც დაბალი რანგის, ერთი შეხედვით ყველაზე უინტერესო შეხვედრებშიც კი.

**- საერთოდ, როგორია თქვენი სასელექციო პოლიტიკა, როგორ ფეხბურთელებს ანიჭებთ უპირატესობას?**

- თუკი ახალგაზრდას ფიზიკური კონდიციები ხელს უწყობს და ტაქტიკურ დავალებებს იოლად ითვისებს, თავის გამოჩენის საშუალება უნდა მისცე. თუ ფიზიკურად უჭირს, ასეთთან მუშაობა ძნელია. შეიძლება, ძალიანაც ნიჭიერი იყოს, მაგრამ სანაკრებო დონეზე ფიზიკური მომზადება და ათლეტიზმი ბევრს ნიშნავს, ამის გარეშე საუკეთესო თვისებებს ვერ გამოავლენს. ბევრი ნიჭიერი მოთამაშე მეგულება „გაგრაში", „ზესტაფონში"... სხვაგანაც არიან საინტერესო ფეხბურთელები. მაგალითად, სუპერთასის მატჩში, „ზესტაფონის" შემადგენლობაში მომეწონა კარენ მაკარიანი - ძალიან საინტერესო მცველია. მჯერა, ის კიდევ მოუმატებს. ასეთი ნიჭიერი ბიჭები მრავლად არიან და ამიტომაც მგონია, რომ კარგი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება.

**- ბოლო წლებში საქართველოდან უამრავი ფეხბურთელი გაიხიზნა. ბევრი მათგანის შესაძლებლობები რეალურად არც ვიცით, ამიტომ, ჩვეულებრივი ფაქტებით ვმსჯელობთ ხოლმე. წესით, ჩვენთვის საინტერესო ფეხბურთელი უნდა იყოს „აიაქსში" გასინჯული გია გრიგალავა, ლაშა დეკანოსიძე ბელარუსის ბატე-დან, გუნდიდან, რომელმაც ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგა დააჭაშნიკა, ლევან კუტალია ბოსნიური „სლავიიდან"... ყველას ვერც ჩამოვთვლით.**

- ეს არის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია თავად მოთამაშეზეც. უნდა მოგვარდეს იურიდიული და მოქალაქეობის საკითხები. ამ კუთხით, პრობლემას ვაწყდებით რუსეთში წასული ქართველების შემთხვევაში, რადგან იქ ორმაგი მოქალაქეობა არ არსებობს. ამდენად, ფეხბურთელმა უნდა თქვას - რომელი ქვეყნის მოქალაქეობა და რომელი ქვეყნის ნაკრებში სურს თამაში.

**- მაგალითად, გრიგალავა თქვენთვის საინტერესო მოთამაშეა?**

- როგორ არ არის საინტერესო ფეხბურთელი?! უნიჭოს „აიაქსში" არც გასინჯავენ. თუმცა გრიგალავამ ჯერ უნდა დააფიქსიროს, რომელიც ქვეყნის ნაკრებში აპირებს თამაშს. თუ ის საქართველოს აირჩევს, სიამოვნებით გამოვიძახებ.

**- „ლელოსთან" ინტერვიუში გრიგალავამ განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს და ამიტომაც არ გამოცხადდა რუსეთის 19-წლამდელთა გუნდში. თუმცა შემდეგ, „აიაქსში" სინჯების პერიოდში, გულისტკივილით ილაპარაკა ჩვენს გულგრილობაზე და არც დაუმალავს - შესაძლოა, საფეხბურთო მოქალაქეობის გადაწყვეტილება შევცვალოო...**

- ამიტომაც მსურს, გავიგო, რას ფიქრობს ამჟამად გრიგალავა. 1992 წელს შვედეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დსთ-ის ნაკრებში ვთამაშობდი. ტურნირის შემდეგ რუსებმა საკითხი მკაფიოდ დამიყენეს - ან რუსეთის ნაკრები, ან საქართველო. ეს არ იყო ზერელე წინადადება, ჩემს გადაბირებას ყველანაირად ცდილობდნენ. ვინ არ ჩართეს საქმეში - „შავები" თუ „წითლები". შემხვდნენ ავტორიტეტული ადამიანები - გივი ბერაძე, ოთარ კვანტრიშვილი, მაგრამ რუსეთში თამაში არ შემეძლო. ჯერ ერთი, საქართველოს გარდა, არსად ცხოვრება არ მსურდა და მეორეც – მე ვარ ქართველი და ჩემი ქვეყნის ნაკრებში უნდა მეთამაშა. საბოლოოდ, პრინციპული პოზიცია დავიკავე და რუსები შემეშვნენ. ასეთივე უნდა იყოს გია გრიგალავას თუ სხვა ნებისმიერი მოთამაშის პოზიცია, რომელსაც ორ ქვეყანას შორის არჩევანის გაკეთება უწევს. თანხმობის შემთხვევაში, ჩვენ ვიმოქმედებთ.

**- უახლოეს პერიოდში ამხანაგური შეხვედრები ხომ არ დაგეგმეთ?**

- 25 თებერვალს, შესაძლოა, აზერბაიჯანთან ვითამაშოთ. თუმცა ამხანაგური მატჩების განრიგი ჯგუფური ტურნირის წილისყრის შემდეგ უფრო ადვილი დასადგენი იქნება. წილისყრა კი 4 თებერვალს, დანიის ქალაქ ორჰუსში გაიმართება. დაველოდოთ და ვნახოთ...

**- ახალგაზრდულისთვის ეს ციკლი რა სისტემით გაიმართება?**

- ჯგუფებში 5-6 გუნდი მოხვდება, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი პირველ-მეორეადგილოსნები გავლენ. სამწუხაროა, რომ ჩვენ ბოლო კალათში მოვხვდით...

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# ალექსიძე დიორში ჩაირიცხა

## სამწლინახევრიანი კონტრაქტი და გზა თურქეთისკენ

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრების ფორვარდი **რატი ალექსიძე** „დიორ ეტოში" ჩაირიცხა. უნგრულ კლუბთან მან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ცნობა ტრანსფერზე მომუშავე ფიფას აგენტმა **გოგა გახოკიძემ** გუშინ დაგვიდასტურა. ცხადია, მოვლენებს არც „დიორის" ოფიციალური ვებგვერდი ჩამორჩა. ამას გარდა, ქართველი თავდამსხმელის ტრანსფერზე მკითხველს „კისალფოლდმა" და „შპორტფორუმმაც" მოუთხრეს:

*„საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა რატი ალექსიძემ „დიორ ეტოსთან" კონტრაქტი გააფორმა. ალექსიძე, რომელიც ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" გამოდიოდა, წლების წინ, ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბიდან თბილისის „დინამოდან", სრულიად ახალგაზრდა, ლონდონის „ჩელსიში" მოხვდა. ლონდონურ კლუბში ახალგაზრდა თავდამსხმელს კარიერა არ აეწყო და ისევ „დინამოს" დაუბრუნდა. ამ გუნდთან ერთად მან მოსკოვში, 2005 წელს გამართული საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკათა ჩემპიონების ტურნირი მოიგო და გამორჩეულ მოთამაშედაც დაასახელეს. ალექსიძე ნაკრებში ჰექტორ კუპერმა დააბრუნა. ეროვნულ გუნდში ის „დიორის" ქართველ ლეგიონერ დავით ოდიკაძესთან ერთად ისპარეზებს".*

დღეს რატი ალექსიძე და **დავით ოდიკაძე** გუნდთან ერთად ანთალიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრებიან. „დიორი" იქ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**



რატი ალექსიძე (შუაში) დიორის ოფისში

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთეს :? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონტროლო მატჩი

# სიონში ბობოხიძე გამოჩნდა...

**სიონი-სპარტაკი 2:1**

1:0 დავითაშვილი (15. რ. გოცირიძის პასით), 2:0 ჯ. მუჯირი (35. დავითაშვილის პასით), 2:1 გ. ჩივაძე (70)

სიონი: ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, დიდავა, ჯ. მუჯირი, შალამბერიძე, ზ. ჭელიძე, ხიდეშელი, შენგელია, დავითაშვილი, რ. გოცირიძე.

*მეორე ტაიმში ითამაშეს: ბობლიაშვილი, ნაყოფია, ქემოკლიძე, ორბელაძე, შავგულიძე, უგულავა, ბაჯელიძე, ალადაშვილი, სანიკიძე, ბობოხიძე, რუსეიშვილი.*

სპარტაკი: გ. იაშვილი, ოქროპირიძე, ხაჭიპერაძე, ქარქუზაშვილი, ჯანელიძე, ჯანგიძე, გ. ჩივაძე, შერაზადიშვილი, ტლაშაძე, მეტრეველი, შ. ჯიქია.

*მეორე ტაიმში ითამაშეს: გიორგაძე, კარახანოვი, ხაჭვანი, ამირანაშვილი.*

გუშინ ქობულეთში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი შედგა - ბოლნისის „სიონი" ცხინვალის „სპარტაკს" გაეჯიბრა. ეს იყო ერთგვარი რეპეტიცია წლის პირველი ტურისთვის, რომელშიც ერთ-ერთ წყვილს სწორედ ეს გუნდები შეადგენენ...

თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველ ტაიმში **ოთარ კორღალიძის** გუნდი უკეთ გამოიყურებოდა და ეს გამოიყენა კიდეც. ბოლნისელთა გამარჯვებაში ლომის წილი **სულიკო დავითაშვილმა** დაიდო. მან მე-15 წუთზე გახსნა ანგარიში, 20 წუთის შემდეგ კი **ჯაბა მუჯირმა** სწორედ მის მიერ ჩაწოდებულ ბურთს შეაშველა თავი და მეტოქის კარში გადაგზავნა.

კორღალიძემ გუშინ ორი შემადგენლობა ათამაშა. შესვენების შემდეგ მოედანზე ფორვარდი **მიხეილ ბობოხიძეც** გამოჩნდა. ფორვარდი, რომელსაც თბილისის „დინამოში", „ლოკომოტივსა" და ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია, უკვე ორი დღეა, „სიონში" ვარჯიშობს. თუმცა ქვემოქართლურ კლუბში მისი ჩარიცხვის საკითხი ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა.

რაც შეეხება ცხინვალელებს, **სერგო გაბელაიამ** მეორე ტაიმში სარეზერვო გუნდის ფეხბურთელები, 1991 წელს დაბადებულები გამოსცადა. მართალია, მათ მონდომება არ აკლდათ, მაგრამ კლასში სხვაობამ მაინც თავისი გაიტანა. თუმცა ცხინვალელებმა მეორე ტაიმში ერთის გატანა შეძლეს. ბოლნისელ მცველთა შეცდომით კარგად ისარგებლა **გიორგი ჩივაძემ** და ეფექტური გოლით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 2:1. დარჩენილ 20 წუთში ხიფათი ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ეს გუნდები მორიგ საკონტროლო შეხვედრებს დღესაც გამართავენ. ბოლნისელები „ბათუმს" ქობულეთში დაუხვდებიან, ცხინვალელები კი ფოთს ეწვევიან და ადგილობრივ „კოლხეთს" გაეჯიბრებიან. ხოლო ხვალ „სიონი" და „სპარტაკი" სპარინგპარტნიორებს გაცვლიან.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი



მესხეთი — ინტერვიუ კობა თედიაშვილთან

# მადლობა ღმერთს, რომ ხალხი გამოჩნდა...

## მესხეთი სატრანსფეროდაც ამოქრავდა

ახალციხის „მესხეთმა", შეიძლება ითქვას, სული მოითქვა. ჯერ კიდევ შარშან, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს, კლუბს ისეთი ფინანსური კრიზისი შეუჩნდა, 2008 წელი ძლივს ჩაამთავრა. უფულობა გაგრძელდა და რეალური იყო საშიშროება, რომ „მესხეთს" ჩემპიონატი ველარც გაეგრძელებინა. ამგვარი მდგომარეობის გამო გუნდს ჩაუვარდა მოსამზადებელი პერიოდიც...

ახლახან კი ყველაფერი სასიკეთოდ შეტრიალდა - გაჩნდა დაფინანსების წყაროები, „მესხეთისთვის" ფულის გამღები ბიზნესმენები, კლუბს შეეცვალა პრეზიდენტიც - გია მესხელის ადგილი დავით ცოგოშვილმა დაიკავა...

გუშინ ცოგოშვილი „მესხეთის" ფეხბურთელებს შეხვდა. რა თქმა უნდა, კრებას გუნდის მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილიც დაესწრო და ამადაც შევეხმიანეთ...

**- კრებას „მესხეთის" ყველა ფეხბურთელი დაესწრო?**

- ფეხბურთელთა ერთი ნაწილი მოვიდა, დანარჩენები ხვალ ჩამოვლენ. კლუბის ახალი პრეზიდენტის გარდა, კრებაზე სამხარეო გუბერნატორიც მობრძანდა.

**- „მესხეთის" დაფინანსების პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია?**

- ეს საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, ეგ არის, რომ კლუბის ბიუჯეტი ოდნავ შემცირდა.

**- მაინც რამხელაა სხვაობა უწინდელ ბიუჯეტთან?**

- მარტივად გეტყვით: თუ „მესხეთის" ფეხბურთელი ადრე, ვთქვათ, 700 ლარს იღებდა, ახლა 600 ლარი ექნება ხელფასი.

**- თუ კონფიდენციალური არ არის, რამდენია ფეხბურთელთა საშუალო ხელფასი?**

- 600 ლარი. ისიც უნდა ითქვას, რომ პრემიები ძველი ოდენობის იქნება. მოკლედ, პრემიალური სისტემა აუცილებლად იმუშავებს.

**- ამ დროისთვის რამდენმა ფეხბურთელმა დატოვა „მესხეთი"?**

- გუნდიდან წავიდნენ გიორგი სომხიშვილი, თემურ რაქვიაშვილი, შოთა გრიგალაშვილი და ვალერი გაგუა... სხვათა შორის, ვალერიმ ფეხბურთს თავი დაანება და მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

**- „მესხეთში" ყველაზე სახელიანი ფეხბურთელი ლადო ახალაია იყო - ის კვლავ ითამაშებს თქვენს გუნდში?**

- რა გითხრათ... ახალაია საერთოდ არ გამოჩენილა...

**- ცნობილია, რომ ახალი ფეხბურთელების დამატებას აპირებთ. ამ მხრივ რა ვითარებაა?**

- მეკარე ზურაბ ბათიაშვილი თანახმაა, ჩვენთან ითამაშოს, თუმცა ის „ლოკომოტივს" ეკუთვნის და ვნახოთ, გამოუშვებენ თუ არა. კიდევ ვაპირებთ რამდენიმე მოთამაშის აყვანას. მადლობა ღმერთს, რომ გამოჩნდა ხალხი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს „მესხეთის" დაფინანსებას. ვფიქრობ, სოლიდური გუნდი გვეყოლება.

**- კიდევ რომელ ფეხბურთელებთან მიდის მოლაპარაკება?**

- ზვიად ჩხეტიანი, თემურ ფარულავა, გიორგი კახელიშვილი... ისინი ჯერაც „ლოკომოტივის" ფეხბურთელები არიან და ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკება კლუბებს შორის. შესაძლოა, ზუგდიდელმა პაატა ბაკარანძემაც ჩვენთან ითამაშოს. სასიხარულოა, რომ მწყობრში ჩადგა ჩვენი ნახევარმცველი ლაშა ქებაძე, ისევე, როგორც ლევან მერებაშვილი.

**- კლუბს ფეხბურთელთა ძველი სახელფასო დავალიანება გასასტუმრებელი აქვს?**

- არანაირი სახელფასო დავალიანება! ყოფილმა პრეზიდენტმა გია მესხელმა ყველაფერი გაისტუმრა.

**- „მესხეთმა" სეზონის პირველი ეტაპი მე-8 ადგილზე ჩაამთავრა და, ალბათ, მთავარი ამოცანა უმაღლეს ლიგაში დარჩენა იქნება. უწყვეტი დაფინანსების შემთხვევაში, ამ მიზნის მისაღწევად „მესხეთს" პრობლემები არ შეექმნება?**

- წინასწარ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა შედეგს მივაღწევთ. იმედია, ყველაფერი ნორმალურად იქნება და თუ სასურველ ფეხბურთელებსაც დავიმატებთ, არ არის გამორიცხული, ცხრილში ერთიორი საფეხურით ავინაცვლოთ კიდეც.

**- სად მოემზადება „მესხეთი" სეზონის მეორე ეტაპისთვის?**

- ბორჯომში, ხელოვნურსაფრიან მოედანზე. ფეხბურთელებს შეკრებაზე გადავიყვანთ და 3 თებერვლამდე ორჯერადი ვარჯიშები გვექნება. სასტუმროში არ ვიქნებით, თუმცა მოთამაშეებისთვის კლუბი ბინებს იქირავებს. საკონტროლო მატჩების გამართვასაც ვაპირებთ ქვედალიგების გუნდებთან... რა თქმა უნდა, მოსამზადებელ ეტაპზე ხელი შეგვეშალა, სეზონი 7 თებერვალს განახლდება და „მესხეთი" ახლაღა იწყებს ვარჯიშს. დატვირთვები ისე უნდა შევარჩიოთ, რომ სეზონის მეორე ეტაპს გუნდი ასე თუ ისე ნორმალურად შეხვდეს.

**- ბორჯომის ხელოვნურსაფრიან მოედანზე იქაური კლუბი არ ვარჯიშობს?**

- არა, როგორც ვიცი, „ბორჯომს" პრობლემები აქვს...

**დავით თავართქილაძე**

# ბეგლარიშვილი ტვენტეშია

## ამ საქმეს თავს გავართმევო...

18 წლის ზაქარია ბეგლარიშვილი „ფონდ არველაძის" დახმარებით შარშან ორჯერ იყო ამსტერდამის „აიაქსში" სტაჟირება-ტესტირებაზე. აიაქსელ მწვრთნელებს მან თავი მოაწონა, რაც „ლელოს" მეორე გუნდის ერთ-ერთმა დამრიგებელმა ფრანკ დე ბურმაც დაუდასტურა. ყოფილმა აიაქსელმა შოთა არველაძემაც გვითხრა - ბეგლარიშვილით „აიაქსში" კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ ტრანსფერი არ გამოვიდა, ჰოლანდიაში ისეთი საფეხბურთო კანონებია, „აიაქსმა" ბეგლარიშვილის აყვანა გადაიფიქრაო...

უფრო ვრცლად ამაზე მოგვიანებით გაუწყებთ, როცა ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს გადავამოწმებთ. შუასასეზონო პერიოდში ბეგლარიშვილი თბილისში ჩამოვიდა და ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა. მას 19-წლამდელებშიც უთამაშია და ახალგაზრდულშიც, დღეს ამ გუნდის ახალი მწვრთნელის კახა ცხადაძის თვალთახედვის არეშიცაა.

„ფონდ არველაძემ" კი ბეგლარიშვილს სხვა ჰოლანდიურ გუნდში გაუხერხა ტესტირება - ენსხედეს „ტვენტეში". ეს გუნდი ახლა ერთ-ერთი მოწინავეა ჰოლანდიაში, ერედივიზიონში მესამე ადგილზეა და ცხადია, მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. „ტვენტეს" მთავარი მწვრთნელი ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი სტივ მაკლარენია.

ბეგლარიშვილმა გუშინ „ტვენტეში" პირველად ივარჯიშა. ჩვენც ვარჯიშის შემდეგ დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

**- როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

- ორჯერადი ვარჯიში გვქონდა. „ტვენტეს" მეორე გუნდში ვარ, ყველაფერი ნომალურადაა. მეორე ვარჯიშზე, ორმხრივ თამაშში, გოლიც გავიტანე და საგოლე გადაცემაც შევასრულე.

**- რამდენი ხანი მოგიწევს გასინჯვაზე ყოფნა?**

- ზუსტად არ ვიცი. ეს ალბათ იმაზეა დამოკიდებული, როგორ წარმოვაჩენ თავს.

**- პირველ დღეს როგორ შეატყვე - „აიაქსისა" და „ტვენტეს" მეორე გუნდებს შორის დიდი სხვაობაა?**

- დიდი სხვაობა არ არის, „ტვენტე" მართლაც კარგი გუნდია.

**- გულგატეხილი ხომ არ ხარ, „აიაქსში" ტრანსფერი რომ არ გამოვიდა?**

- არა, რა დროს გულგატეხილობაა? „აიაქსში" რომ ვერ გადავედი, ახლა უფრო მონდომებული ვარ.

**- „ტვენტეში" ტესტირებისას სულ მეორე გუნდში უნდა ივარჯიშო და ითამაშო?**

- ჯერჯერობით, ასეა. დღეს მეორე გუნდის ვარჯიშს პირველი გუნდის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

**- „ტვენტეში" ალბათ „აიაქსში" მიღებული გამოცდილებაც დაგეხმარება...**

- რა თქმა უნდა, „აიაქსში" დიდი გამოცდილება მივიღე და ყოველივე ეს „ტვენტეში" ძალიან გამომადგება. სხვა თუ არაფერი, ჰოლანდიურად უკვე ცოტას ვლაპარაკობ.

**- ენსხედეში სად ცხოვრობ?**

- „ტვენტემ" მე და გუნდის კიდევ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს საერთო ბინა გამოგვიყო, მომვლელი ქალიც დაგვიქირავა...

**- როგორ ატყობ, „ტვენტეში" დარჩენა რეალურია?**

- საკუთარ თავს ვატყობ, რომ ამ საქმეს თავს გავართმევ. დღეს პირველი ვარჯიში ტექნიკაზე გვქონდა და ყველაფერი კარგად გამომივიდა...

**დავით თავართქილაძე**

საფიქრალი

# სიყალბე, რომელიც უნდა დაიჯეროთ

ფეხბურთი ისეთი ტკბილი და უნეტარესია, პოლიტიკურ ძიძგილაობაშიც გამოიყენება, როგორც ილეთი. ცხადია, ფეხბურთიც. დაესესხება რალაცას პოლიტიკას. მზაკვარი და გულზვიადია „ორმაგი სტანდარტი", რომელმაც ფეხბურთშიც შემოაღწია.

„ორმაგი სტანდარტის" ფუფუნება აქვთ ამერიკას, რუსეთს, ალბათ ჩინეთსაც, პატარა ქვეყნებს კი ეს არ სჭირდებათ, ეს ძალიან მძიმე და სახიფათოა რამაა, რასაც პატარები ვერ უძლებენ.

ტრადიციულ და კონსერვატორულ ინგლისში საფეხბურთო კლუბებს რა ხანია, უცხოელებიც ყიდულობენ. ინგლისში ამაზე კამათობენ და ბჭობენ. ბოლო დროს ყველაზე აქტუალური „მანჩესტერ სიტის" თემაა, რომელიც აბუ დაბის ერთ-ერთმა შეიხმა იყიდა თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან უნდა, მისმა ქალაქმა დუბაის აჯობოს. შეიხთა დოვლათი უძლებს ასეთ თამაშებს, „სიტიც" ერთ-ერთი მარგალიტია, რომლითაც თვალის მოჭრა შეიძლება.

ამას წინათ, ტელევიზიით ოთხსაათიანი პოლიტიკური გადაცემა გავიდა და ძნელი იყო ოთხჯერ 60 წუთის გაძლება. მაგრამ იყო ისეთი საინტერესო პასაჟებიც, ერთი ამოსუნთქვით რომ მოისმენდი. „ბოკა ხუნიორსი", ბოლნისის „სიონი", ლიპიანი მარადონა, გატანილი თუ ვერგატანილი გოლები... ინტელექტით მართლაც მოვიხიბლეთ და დიდი აინშტაინის სიტყვებიც კი გამახსენდა - ინტელექტის საბოლოო მიზანია, რაიმე სასწაული შეცნობადი გახადოსო...



სასწაულებს კი ძებნა არ უნდა, როცა პატარა ქვეყანა „ორმაგ სტანდარტს" ეთამაშება, ეს უკვე სასწაულია. მაგალითად, ითქვა, რომ სახელმწიფო არ აფინანსებს საფეხბურთო კლუბებს და რა გამოვიდა? ზოგს აფინანსებს, ზოგს - არა, ზოგს ეხმარება იმაში, რომ ბიზნესმენებმა დააფინანსონ, ზოგს კი არ ეხმარება ასეთ, ცოტა არ იყოს, უცნაურ და დელიკატურ საქმეში.

მაგალითად, მერაბ ჟორდანია ქართულ ფეხბურთს ჩამოაცილეს, თუმც ყოფილი განგსტერები ისევ დარჩნენ ამ ცოდვიან ქართულ ფეხბურთში.

მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარებისთვის სახელმწიფო აპატიმრებს შოუბიზნესის წარმომადგენლებს, ფეხბურთელებს კი იჭერს და მერე ათავისუფლებს - პოლიტიკურ ამბავში თავი არ მოგვექრასო.

მაგალითად... ალბათ, აღარ ღირს იმის გახსენება, რაც მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2005 თუ 2007 წლის არჩევნებზე. ეს ამერიკაც ალბათ არ არის კარგი მაგალითი, თუნდაც იმიტომ, რომ „ორმაგი სტანდარტის" მქონე პატარა ქვეყანაში ყველაფერი უკუღმა ესმით. ევროპულ ლიტერატურაში ამერიკა სატირისა და გაშარჟების კარგი საშუალება იყო, მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან, რაც ქართულ ფეხბურთში ხდება - სიყალბე, რომლისაც უნდა გჯეროდეს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

### კობიაშვილმა სეზონი საგოლე პასით განაახლა

გუშინ გერმანიის თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა. ოთხიდან სამ დაპირისპირებაში ქართველთა გუნდები მონაწილეობდნენ. გელზერკირხენის „შალკემ" მესამე ბუნდესლიგის ბინადარი იენის „კარლ ცაისი" სტუმრად დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხა. **ლევან ყენიამ** ამ მატჩისთვის გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, **ლევან კობიაშვილმა** კი დროულად მოირჩინა აქილევსის მყესი. ის თამაშში 83-ე წუთიდან ჩაერთო და რაც შვიდ წუთში მოასწრო, საგოლე პასი იყო - მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე მან **კევინ კურანის** გაატანინა. ლევანმა საჯარიმოს მარცხენა კუთხეში გადააწოდა თანაგუნდელს, რომელსაც ზუსტი დარტყმის შესრულება არ გასჭირვებია. ასე რომ, „შალკე" მეოთხედფინალშია.

**მათე ღვინიანიძის** „მიუნხენმა" „ჰამბურგთან" სტუმრად 1:3 დათმო და თასს დაემშვიდობა. ღვინიანიძე სათადარიგო იყო.

„ფრაიბურგიც" ასეთივე ანგარიშით დამარცხდა („მაინცთან"), ოღონდ - საკუთარ მოედანზე. **დავით თარგამაძე** სათადარიგო იყო, თუმცა ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია.

### დვალიშვილმა გაიტანა

ლატვიურმა „სკონტომ" ორი ამხანაგური მატჩი გამართა. რიგელებმა პირველად ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრებს მოუგეს - 4:2. ამ მატჩში პირველი ტაიმი ითამაშა **ვლადიმერ დვალიშვილმა**, მეორე კი **დავით გამეზარდაშვილმა**. მომდევნო შეხვედრაში „სკონტომ" „მეტა" დაამარცხა - 3:0. ამ შეხვედრაში თავი დვალიშვილმაც გამოიჩინა. მეორე ტაიმში მან საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. დვალიშვილმა „მეტასთან" 90 წუთს ითამაშა, ხოლო გამეზარდაშვილმა მხოლოდ პირველი ტაიმი.

### ქორთუა დინაბურგშია

ლატვიურ „დინაბურგში" ქართული მატებაა. როგორც მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ პერტიამ** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს განუცხადა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს მცველი **ირაკლი ქორთუა**, რომელიც გასულ სეზონში „ბლაზმას" ღირსებას იცავდა:

„ახალწვეულები მომწონს, თუმცა მათთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, ამ ბიჭებს ამხანაგურ მატჩებშიც უნდა დავაკვირდეთ. ჯერჯერობით, გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობს და ფიზიკურ კონდიციებს იუმჯობესებს", - განაცხადა პერტიამ.

### მუჯირის საგოლე პასი თურქეთში



ლოკომოტივი და მუჯირი რაგბიშიც ვარჯიშობენ

თურქულ კურორტში შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა" მიჯრით ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა და შინ დაბრუნდა. პირველ თამაშში რკინიგზელებმა სლოვენიური „ინტერბლოკი" 5:0 გაანადგურეს. „ლოკომოტივის" ქართველი ლეგიონერი **დავით მუჯირი** მეორე ტაიმში ათამაშეს. ჩვენებური **დმიტრი სიჩოვს** საგოლე გადაცემით შეეწია. მომდევნო შეხვედრაში „ლოკო" ოდესის „ჩერნომორეცს" დაუზავდა - 1:1. ამჯერად, მუჯირი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს.

კიევში მიმდინარე მაკაროვის მემორიალი ადგილობრივმა „დინამო 2-მა" მოიგო. „დინამოს" მეორე გუნდმა ფინალში ამავე კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობას მოუგო - 3:0. გამარჯვებულთა შორის, ქართველთაგან მხოლოდ უკრაინის მოქალაქე **თემურ ფარცვანიამ** ითამაშა (პირველი ტაიმი), **ლაშა თოთაძე** და **დავით იმედაშვილი** არ გამოჩენილან. „დინამოს" დუბლებში ითამაშა ვინმე **კანდელაკმაც**.

სიმფეროპოლის „ტავრია" მორიგ შეკრებაზე თურქეთში გაფრინდა. გუნდთან ერთად არიან **ლადო ბურდული** და **ვასილ გიგიაძე**. „ტავრიას" თურქეთში ოთხი სპარინგი ელის, მათ შორის, 5 თებერვალს თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ.

### მერლანი და ფიფია დაიწუნეს

როგორც აზერბაიჯანული „აზერისპორტი" იუწყება, იქაური პრემიერლიგის კლუბმა „კაბალამ" სინჯებზე მყოფი ორი ქართველი ფეხბურთელი დაიწუნა - გოლკიპერი **მირზა მერლანი** და შემტევი **გოგა ფიფია**. ორივე ფეხბურთელმა პირველი წრე რუსთავის „ოლიმპში" გაატარა. ჩვენებურებზე უარი „კაბალას" თავკაცმა **რამიზ მამედოვმა** თქვა. სინჯებზე მყოფთაგან, კლუბმა კონტრაქტი მხოლოდ **დუშან ვიდოევიჩს** შესთავაზა.

მცირე სიახლეა „ბაქოში" მოვარჯიშე **გიორგი ადამიას** ფრონტზეც. მოგეხსენებათ, „ნეფთჩიმ" საკომპენსაციო თანხა შეამცირა, მაგრამ „ბაქო" არც 100 ათასი დოლარის გადახდას აპირებდა. სიახლე კი ისაა, რომ დღეიდან ადამიას ტრანსფერს, ფეხბურთელის ნაცვლად, „ბაქოს" პრეზიდენტი **ჰაფიზ მამედოვი** მიხედავს. კომპენსაციის გადახდის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებასაც ის მიიღებს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ქართველები უცხოურ პრესაში

## კახა კალაძე

# თუ კაცს სიტყვას მისცემ, უნდა შეასრულო კიდეც...

**უკრაინული „იზვესტია" კახა კალაძეს მილანში დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა. ფეხბურთის გარდა, საუბარი სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო. „ლელო" ამ ინტერვიუს რამდენადმე შემოკლებულ, ჩვენი აზრით, ქართველი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო ნაწილს გთავაზობთ...**




**- იტალიურ გრანდში კიევის „დინამოდან" მოხვდით და აქ უკვე მეცხრე სეზონს ატარებთ. როგორც ცნობილია, კიევში პირველად მამის თანხლებით ჩახვედით. გამოდის, რომ მოლაპარაკებებში აგენტის როლი მამათქვენმა იკისრა?**

- იმ დროისთვის აგენტი არ მყავდა. ის-ის იყო, 18 წლის გავხდი... მამაჩემმა ჩათვალა, რომ კიევში უნდა წამომყოლოდა...

**- ლობანოვსკი თქვენით როდის დაინტერესდა?**

- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ეროვნულ ნაკრებში უკვე ნათამაშები მქონდა. რამდენადაც ვიცი, ლობანოვსკიმ იტალიასთან მატჩის დროს მნახა, რომელიც თბილისში 0:0 დასრულდა. ლობანოვსკიმ უყურა ამ თამაშის ვიდეოჩანაწერს და კიევში მიხმო. მისი დიდად მადლიერი ვარ. ვალერი ვასილევიჩის სკოლა რომ არ გამევლო, შეიძლება, „მილანში" არც მეთამაშა.

**- ზაფხულში კიევს საცოლესთან, ანუკი არეშიძესთან ერთად ეწვიეთ, დეკემბერში კი მასთან ხელიც მოაწერეთ. ბევრი არ ელოდა, რომ ასე მალე შექმნიდით ოჯახს...**

- ანუკის სახით ნამდვილ სიყვარულს შევხვდი. ბოლო ხანებში მარტოობა მღლიდა კიდეც, ახლა კი გაცილებით ბედნიერი ვარ... ანუკი მილანში გავიცანი. ახლობელმა დამირეკა და მთხოვა, მას დავხმარებოდი, რადგან ის პირველად იყო მილანში და სამოდელო სააგენტოში უნდოდა მუშაობის დაწყება. ჩვენ ერთმანეთი მოგვეწონა, მერე უკვე სერიოზული გრძნობაც გაგვიჩნდა... ნოემბერში, თბილისში ყოფნისას, ანუკის მშობლები გავიცანი, მათ ხელის მოწერაზე თანხმობა გვითხრეს და ჩვენი ურთიერთობაც ოფიციალურად გაფორმდა.

**- საქართველოში რატომ არ გადაიხადეთ ქორწილი?**

- თავდაპირველად, ასეც გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ... მოგეხსენებათ, აგვისტოში საქართველო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია და ვის ექორწილებოდა? ბიჭები ბრძოლაში იღუპებოდნენ, იბომბებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა... ამის გადატანა მეც გამიჭირდა. მინდა, საქართველოში მშვიდობა და წესრიგი სუფევდეს. რაც შეეხება ქორწილს, ჯერჯერობით, გაურკვეველი ვადით გადავწიეთ, სადღაც გაზაფხულისთვის ან ზაფხულისთვის...

**- „მილანს" ანდრეი შევჩენკო კი დაუბრუნდა, მაგრამ დროის დიდ ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. როგორ ფიქრობთ, ის კიდევ შეძლებს ძველებურად თამაშს?**

- მინდა მჯეროდეს, რომ შეძლებს. ამას მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ, რომ შევჩენკო ჩემი მეგობარია. მჯერა, რომ მას შეუძლია ამ სირთულის დაძლევა. უბრალოდ, ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელსაც ორი წლის განმავლობაში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია, მოკლე დროში ფორმის აღდენა გაუჭირდება. აშკარად ვგრძნობ, რომ შევა მონდომებულია და მას კიდევ ცოტა დრო სჭირდება. ანდრეიმ ორწლინახევრის წინ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა „ჩელსიში" გადავიდა. „მილანში" მას ყველაფერი ჰქონდა, მწვრთნელის ნდობა, გულშემატკივართა მხრიდან დაფასება, კლუბის პრეზიდენტის სიმპათია... ახლა კი ყველაფერი ეს ხელახლა უნდა მოიპოვოს, ფაქტობრივად, ნულიდან იწყებს, ეს კი იოლი არ არის.

**- „ჩელსი" თქვენც გეპატიჟებოდათ...**

- კი, მაგრამ ახლა მოხარული ვარ, რომ ეს ტრანსფერი არ შედგა. „ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩს მოსკოვში შევხვდი. სიტყვიერად ყველაფერზე შევთანხმდით, ხელიც ჩამოვართვით ერთმანეთს... ხმები გავრცელდა - კალაძე მოკლე ხანში „ჩელსისთან" კონტრაქტს გააფორმებსო. ეს „მილანშიც" გაიგეს და ახალი, 5-წლიანი ხელშეკრულება შემომთავაზეს. ვიუარე და პირდაპირ ვთქვი - სხვა კლუბის მფლობელს სიტყვა მივეცი-მეთქი. ამ დროს კი აღმოჩნდა, რომ „ჩელსიმ" ჩემს პოზიციაზე სხვა ფეხბურთელი დაიმატა... მოდით, ამაზე მეტს აღარ ვილაპარაკებ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი იტალიური ცხოვრებით, მილანში თავს კომფორტულად ვგრძნობ.

**- რომან აბრამოვიჩს შემთხვევით სადმე რომ შეხვდეთ, ხელს კიდევ ჩამოართმევთ?**

- რა თქმა უნდა! მისი მადლიერი ვარ, დიდ შეცდომას რომ ამარიდა. კარგად მესმის, ფეხბურთი მისთვის ბიზნესია. სხვათა შორის, „ჩელსისთან" დაკავშირებული იმ არასასიამოვნო ამბების შემდეგ ჩემს მილანურ კარიერაში დამატებითი პოზიტივები გაჩნდა - ცენტრალური მცველის პოზიციაზე გამამწესეს და მოწონებაც დავიმსახურე, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გავხდი. უბრალოდ, მე ასეთი მენტალიტეტი მაქვს, ასე მწამს - თუ კაცს სიტყვას მისცემ, უნდა შეასრულო კიდეც, თუნდაც მოკვდე, უნდა შეასრულო... თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს.

**- მართალია, რომ „ჩელსიმ" ორჯერ მეტი ხელფასი შემოგთავაზათ, ვიდრე „მილანი" გიხდიდათ?**

- არა. კლუბის შეცვლას ფულის გამო არ ვაპირებდი. მაშინ სხვა პრობლემა მქონდა - ტრავმის შემდეგ კი გამოვჯანმრთელდი, მაგრამ შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი. მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 6-7 მატჩი ჩავატარე, რაც კატეგორიულად არ ჯდებოდა ჩემს გეგმებში და ამიტომაც დავფიქრდი კლუბის შეცვლაზე. მაშინ მხოლოდ „ჩელსის" ვარიანტი არ მქონდა - „ლივერპული" და „ბაიერნიც" იყვნენ დაინტერესებულნი.

**- თქვენ არაერთი ბიზნესპროექტი გაქვთ - ჟურნალი უკრაინაში, ბანკი საქართველოში, რესტორანი იტალიაში. ამ საქმეების გაძღოლას როგორ ასწრებთ?**

- ამით ჩემი ბიზნესპარტნიორები არიან დაკავებულნი. ჩემი სიამაყე რესტორანი „ჯანინოა", ეს უკვე ცნობილი ბრენდია. ეს უძველესი რესტორანი იყო მილანში და პარტნიორებთან ერთად გამოვისყიდე. თავდაპირველად, არც კი ვფიქრობდი, რომ ეს დიდ შემოსავალს მომიტანდა. მინდოდა, „ჯანინო", უბრალოდ, მეგობრებთან ჩემი შეხვედრის ადგილი ყოფილიყო. ამჟამად კი ჩემს რესტორანში „მილანისა" და „ინტერის" ფეხბურთელები დადიან. უფრო მეტიც - რონალდომ „მილანთან" კონტრაქტი სწორედ „ჯანინოში" გააფორმა. ეს რესტორანი ცნობილი ადამიანების, მოდელების, ტელეწამყვანების, მსახიობებისა და პოლიტიკოსების შეხვედრის ადგილია.

**- ორი თვის წინ საქართველოში ბანკი გახსენით. ახლა მსოფლიოში ფინანსური კრიზისია და ხომ არ აჯობებდა, უკეთეს სიტუაციას დალოდებოდით?**

- ეს არ არის მსხვილი ბანკი და არც დიდ რისკებთან გვაქვს საქმე. ახლა პრობლემები იმ ბანკებს აქვთ, რომლებიც უკვე წლებია მუშაობენ, მასშტაბები გაზარდეს... ასეთი ბანკი ბევრია უკრაინაშიც, რუსეთშიც და საერთოდ, ევროპაში. ჩემი ბანკი კრედიტებზე არაა დამოკიდებული, თუმცა იმედი მაქვს, მასშტაბებს ჩვენც გავზრდით.

**- პირადი სარეკლამო კონტრაქტები თუ გაქვთ და რომელ კომპანიებთან?**

- ახლახან გადავწყვიტე, ამეყვანა მენეჯერი, რომელიც ამ საქმეს გაუძღვება. ამჟამად, მობილური კავშირის ერთ-ერთ ქართულ კომპანიასთან („მაგთიკომი" - ავტ.) მაკავშირებს კონტრაქტი. ასევე პირადი ხელშეკრულებები მაქვს „ადიდასსა" და „დოლჩე და გაბანასთან".

**- „მილანში" თანაგუნდელები რას გეძახიან?**

- გვარის შემოკლებითი ფორმიდან გამომდინარე, გუნდშიც კალას მეძახიან. პასპორტში კახა მიწერია, ზოგჯერ კი კახაბერადაც მომიხსენიებენ.

**- გიორგი დემეტრაძე თქვენი განუყრელი მეგობარია. უკრაინა მანაც დატოვა, რევაზ ჭოხონელიძე კი მილანიდან კიევში გადავიდა...**

- ამ რამდენიმე დღის წინ დემეს ტელეფონით ველაპარაკე, ახლა აზერბაიჯანში თამაშობს. რეზოსაც ვესაუბრე. ის კარგი ადამიანია. „მილანში" ადაპტაციისას დიდად დამეხმარა. პერიოდულად ძმებ სურკისებსაც ვეხმიანები ხოლმე. მათთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს. საერთოდ კი კიევი ჩემთვის ყველაფერ კარგთან ასოცირდება.

მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარიერა

# დარასელიაც მიდის?..

ეროვნულ ჩემპიონატს ერთი-ორი გამოცდილი ოსტატი ამშვენებდა და ისინიც მიდიან; ჰო, სულ მალე, ალბათ, 25-წელს გადაცილებული ფეხბურთელი ჩვენთან იშვიათობა იქნება და საქართველოს ჩემპიონატი, მართლაც, ჭაბუკთა ლიგად გადაიქცევა. არადა, როგორ გვიხაროდა, წინა სეზონში ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანები სამშობლოში რომ დაბრუნდნენ. ერთ-ერთი მათ შორის **ვიტალი დარასელია** იყო: არაორდინარული და განსაკუთრებული მანერის მქონე ფეხბურთელი! ასეთი მოთამაშეები ჩვენთან კი არა, საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთში უკვე იშვიათობას წარმოადგენენ; აი, იმ კატეგორიაზე ვლაპარაკობთ, ერთი დარტყმით მატჩის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ. დარასელიას ცამეტწლიან კარიერაში კი ასეთი მატჩი, მართლაც, არაერთი ყოფილა: „საფირმო“ ცაციათი გოლები ხან შორი მანძილიდან გაჰქონდა, ხან კი ეფექტურ დრიბლინგს ტექნიკურ დარტყმას მიაყოლებდა; აღარაფერს ვამბობთ „სტანდარტულებზე“: მის მიერ შესრულებული თითქმის ყველა საჯარიმო დარტყმა თუ კუთხური მეტოქეთა მეკარეებს უამრავ თავსატეხს უჩენდა. პასები? აი, ამ კომპონენტშიც შეუდარებელი იყო - მოკლე, საშუალო და შორ მანძილზე პარტნიორებს ერთი-მეორეზე ეფექტური პასებით ამარაგებდა. თვითონაც გოლის ალღოთი გამორჩეულს, კარიერაში უფრო მეტი საგოლე პასი ჰქონდა გაკეთებული;

...ბევრისთვის დღემდე გაურკვეველი დარჩა დარასელიას ზუსტი ამპლუა: ფლანგის ნახევარმცველი თუ გამთამაშებელი? გარემარბი თუ თავდამსხმელი? თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა - მისი სტიქია ხომ შეტევა იყო! სამწუხაროდ, ზოგი მწვრთნელი ამას არ (თუ - ვერ) ითვალისწინებდა; ზოგსაც დარასელიას... ხასიათი არ მოსწონდა, თუმცა მთავარს ვერავინ უარყოფდა - ამ ფეხბურთელის ნიჭიერებას!

ნიჭიო, ვთქვით და სხვანაირად ვერც იქნებოდა - უფროსი ვიტალი დარასელიას ვაჟი ყოველთვის და ყველგან ყურადღების ცენტრში იყო; რა თქმა უნდა, მის კარიერაში სახელოვანი მამის ფაქტორმაც გარკვეული როლი შეასრულა - უმცროსი ვიტალისგან ხშირად, ალბათ, იმაზე მეტს ითხოვდნენ, ვიდრე შეეძლო...

...1978 წლის 27 სექტემბერს თბილისის „დინამო“ უეფას თასზე იტალიურ „ნაპოლის“ ხვდებოდა. მატჩის წინ უფროს ვიტალი დარასელიას თანაგუნდელებისთვის უთქვამს - ჩვენებიდან მეტოქის კარში გოლს ვინც გაიტანს, ახალშობილ ბიჭს მის სახელს დავარქმევო! ერთ ეპიზოდში **ვახტანგ ქორიძის** უძლიერესი დარტყმა „ნაპოლის“ მეკარემ მოიგერია, დამატებაზე პირველი კი... ვიტალი დარასელია გაჩნდა და გოლიც გაიტანა! პირობა პირობა იყო - უფროსმა ვიტალიმ ვაჟს... ვიტალი დაარქვა! სამწუხაროდ, სულ მალე დარასელიების ოჯახში უდიდეს ზეიმს არანაკლებ მასშტაბური ტრაგედია მოჰყვა: ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი, 1982 წლის 13 დეკემბერს დაიღუპა. პატარა ვიტალი ოთხი წლის იყო, როცა „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი 80 000 კაცი უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა თასების თასის ფინალში გადამწყვეტი გოლის ავტორს, უფროს ვიტალი დარასელიას...



1990 წლის 30 მარტი.
ეროვნულ ჩემპიონატში პირველი დარტყმა ვიტალი დარასელიასი იყო

...ამის მერე რვა წელიწადი გავა და უმცროს ვიტალი დარასელიას ისევ მოუწევს პირთამდე სავსე „დინამოს“ სტადიონზე გამოჩენა; ოღონდ, ამჯერად უკვე აშკარად დადებითი ემოციები სჭარბობდა: 1990 წლის 30 მარტს, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩში (თბილისის „იბერია“-ფოთის „კოლხეთი“), ბურთი თამაშში უმცროსმა ვიტალიმ შეიყვანა! სხვათა შორის, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ერთი ისტორიაც გვახსენდება. საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარებას არნახული აჟიოტაჟი ახლდა; კონკრეტულ ფეხბურთელთა წახალისების მიზნით, იმ დროისთვის ორმა პოპულარულმა გაზეთმა - „შანსმა“ (რედაქტორი - **ბონდო ქურდაძე**) და „სახალხო განათლებამ“ (რედაქტორი - **აპოლონ სილაგაძე**) საკმაოდ სოლიდური ფულადი ჯილდო დააწესა. 1 000 მანეთი იმ პერიოდში მცირე კი არა, მართლაც, დიდი თანხა იყო და ის ფეხბურთელი მიიღებდა, საქართველოს პირველ ჩემპიონატში პირველ გოლს რომ გაიტანდა. მერე კი, რა და როგორ მოხდა, ალბათ, ბევრს ახსოვს: იმ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა, ოღონდ, ფეხბურთელმა ბურთი... საკუთარ კარში გაიტანა! „შანსისა“ და „სახალხო განათლების“ რედაქციაში მოვლენების ასეთ განვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა; თუმცა „გამოსავალიც“ მალე მოიძებნა და გადაწყვეტილებაც საკამათო არავისთვის გამხდარა: 1 000 მანეთი საჩუქრად უმცროს ვიტალი დარასელიას გადაეცა!

...დიუსელდორფის ტრიუმფატორის და საერთოდ, ქართული ფეხბურთის



ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, უფროსი ვიტალი დარასელიას ვაჟი რომ მამის ტრადიციას გააგრძელებდა, გასაკვირი ვისთვის უნდა ყოფილიყო. ერთადერთი, მხოლოდ დროის ამბავი იყო და ასეც მოხდა - 17 წლის ვიტალი დარასელიას ეროვნულ ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა. ალბათ, სიმბოლურიც იყო, რომ პირველი შეხვედრა... 13 მაისს ჩაატარა (1996 წელს); ანუ, იმავე დღეს, მისი სახელოვანი მამა ქართველებისთვის ყოველთვის დაუვიწყარი რომ გახდა! სამწუხაროდ, თავის პირველ გუნდში (ბათუმის „დინამოში“) იმ დროს ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ და უმცროს დარასელიასაც იშვიათად უწევდა მოედანზე გამოჩენა. 19 წლისა უკრაინაში გაემგზავრა და კარიერაც იქ გააგრძელა, როცა ოთხი სეზონის განმავლობაში კიევის ცსკა-ს ღირსებას იცავდა. იმავე დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი ფეხბურთელიც იყო, თუმცა ქართველი გულშემატკივარი დიდი ვიტალის ვაჟისგან მაინც მეტს ითხოვდა...

2001 წლის ზაფხულიდან ვიტალი დარასელიამ საფეხბურთო კარიერის გაგრძელება საქართველოში გადაწყვიტა. ამაში უდიდესი დამსახურება თბილისის „დინამოს“ მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, **გივი ნოდიას** მიუძღოდა, ვისი დაჟინებული თხოვნით ვიტალი საქართველოში დაბრუნდა. დარასელია „დინამოს“ შეუცვლელი ფეხბურთელი და ერთ-ერთი ლიდერი ხდება; სულ მალე კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც იწვევენ: სადებიუტო შეხვედრაში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან) **თემურ ქეცბაიას** ნაცვლად შეცვლაზე ჩინებულად შემოვიდა.

აი, მომდევნო, 2002-03 წლების სეზონი კი, ჩვენი აზრით, ამ ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერაში საუკეთესო იყო! „დინამოს“ უკვე **ივო შუშაკი** წვრთნიდა, გუნდში რამდენიმე ჩინებული ფეხბურთელიც (**რატი ალექსიძე, გიორგი ანჩაბაძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლადო ბურდული, დავით კვირკველია**) თამაშობდა, მაგრამ დარასელია, მართლაც, გამორჩეული გახლდათ! ვიტალის შთამბეჭდავმა ასპარეზობამაც განაპირობა, რომ იმ სეზონში „დინამო“ ჩემპიონიც გახდა და თასსაც დაეუფლა. გუნდში საუკეთესო შედეგიც ჰქონდა - ჩემპიონატში 15 გოლი გაიტანა (თანაც, უმრავლესობა - ეფექტური დარტყმით). ისე, რახან ლამაზ გოლებზე ვსაუბრობთ, 2002 წლის 19 სექტემბერს, სტუმრად ჩეხურ „ლიბერეცს“ რომ მართლაც ზღაპრული ბურთი გაუტანა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს...

კარიერის პიკზე მყოფს საქართველოს ნაკრებშიც სისტემატურად იწვევდნენ, თუმცა ჩვენს უპირველეს გუნდში ძირითად ფეხბურთელად ვერ იქცა. სამაგიეროდ, თანაგუნდელებთან ერთად შთამბეჭდავად ითამაშა 2004 წლის იანვარში დსთ-ის თასზე, რომელიც „დინამოს“ ტრიუმფით დასრულდა. ამის მერე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავიდა, სადაც ქართველ ნახევარმცველზე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ. პირველი სეზონი, მართლაც, კარგად ჩაატარა და რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფლეიმეიქერებს შორის მესამე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, მომდევნო, 2005 წელს „ალანიაშიც“ აირია საქმეები და ვიტალიმაც სერიოზული ტრავმა მიიღო; გამოჯანმრთელების მერე კი საქართველოს ნაკრებშიც დაივიწყეს და საერთოდ, ბევრგანაც...

მცირე ხნით ისევ „დინამოში“ დაბრუნდა, მერე ყაზახეთში აღმოჩნდა - ყარაღანდის „შახტიორში“ თამაშობდა; ამას ისევ საქართველოში ჩამოსვლა მოჰყვა: **კახა ცხადაძის** თხოვნით ბოლნისის „სიონს“ დსთ-ის თასზე დაეხმარა. საქართველოში ნახევარი წელიწადი დაყო და ისევ უცხოეთს მიაშურა - მოლდოვურ „დაჩიაში“ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი და იქაურ ქომაგთა კერპი გახდა. მაგრამ ეს არ იყო დასასრული - ყველასთვის მოულოდნელად, წინა სეზონის მეორე წრიდან ისევ საქართველოში დაბრუნდა! თანაც, დაბრუნებასაც ხომ გააჩნია - **ლევან ცქიტიშვილთან, რატი ალექსიძესთან** და **გიორგი ლომაიასთან** ერთად თბილისის „ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა! აი, ეს კი საკამათო არავისთვის გახლდათ: რომ არა ეს გამოცდილი მოთამაშეები, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატს „ლოკომოტივი“ პირველ ლიგაში შეხვდებოდა. დარასელიას შთამბეჭდავი თამაში ქართულ პრესას არ გამორჩენია: კვლავ გაისმა მოწოდებები, რომ ნაკრებში გამოეძახათ ფეხბურთელი, მარტოს რომ შეეძლო თამაშის ბედის გადაწყვეტა. ახალი სეზონი „ლოკომოტივმა“, მართლაც, ტრიუმფით დაიწყო: ახალგაზრდა მწვრთნელების, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდი სექტემბერ-ოქტომბერში მეტოქეს-მეტოქეზე უსწორდებოდა; თუმცა მერე გუნდს ხანგრძლივი კრიზისი დაეწყო; ამის უპირველესი მიზეზი კი წამყვანი ფეხბურთელების არყოფნა იყო - მათ შორის, ვიტალი დარასელიასი, რომელსაც ტრავმის გამო ნოემბერ-დეკემბერში, ფაქტობრივად, არც უთამაშია.

სულ ახლახან კი ერთდროულად რამდენიმე ქართულ სპორტულ გაზეთში მასთან მომცრო ინტერვიუები გამოქვეყნდა; სამწუხაროდ, 30 წლის ფეხბურთელი ხაზარდულის ტრავმამ ისე შეაწუხა, რომ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. შესაძლოა, ეს ყველაფერი „ცხელ გულზე“ ნათქვამიც იყოს; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვინდა, რომ მივიჩნიოთ; შესაძლოა, ქრონიკული ტრავმისგან სრულად ვერგანკურნებამაც აიძულა ფეხბურთელი, რომ ემოცია ვეღარ დასძლია და ფეხბურთს შეეშვა; თუმცა ყოველივე ეს ჩვენი ვარაუდებია და დანამდვილებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ დარასელია-ფეხბურთელის ეს გადაწყვეტილება მისი ნიჭის დამფასებლებისთვის გულსატკენია. თუმცა ვინ იცის, იქნებ კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს ქართულ ფეხბურთს...

**გია ტუხაშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები**




## ინდივიდუალური მომზადება
## კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტური ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# გალიანი: მზად ვართ, ბექჰემში ფული გადავიხადოთ

გასულ უქმეებზე "მილანმა" "ბოლონიას" 4:1 „ასიამოვნა". მოგეხსენებათ, ერთი გოლი **დევიდ ბექჰემმა** შეაგდო. ინგლისელმა გალაქტიკომ იტალიაში პირველად გაიტანა. თამაშის დამთავრებისთანავე, დევიდმა მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა ინგლისის ნაკრების მეორე მწვრთნელ **ფრანკო ბალდინის**. *"ნახეთ ჩემი გოლი?"* – კითხულობდა ბექჰემი.

ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს თავად ბალდინიმ გაუმხილა. თებერვალში ინგლისი ესპანეთთან ამხანაგური მატჩის ჩატარებას აპირებს. დევიდს იმედი აქვს, რომ **ფაბიო კაპელო** გამოიძახებს. "მილანში" მიღწეული თითოეული წარმატება ბექჰემის სანაკრებო შანსებს ერთი-ორად ზრდის, თუმცა ჯერჯერობით, იტალიელ მწვრთნელს ვეტერან ნახევარმცველთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

კითხვა, ითამაშებს თუ არა ბექჰემი ესპანეთთან, ბალდინიმაც უპასუხოდ დატოვა: *"როდესაც დევიდმა მკითხა, ვნახე თუ არა მისი გოლი, ხუმრობით მივუგე, რომ ერთი გოლი ნაკრებში მოსახვედრად საკმარისი არ არის."* ბალდინის ჟურნალისტებისათვის არ დაუმალავს, რომ "ბოლონია"-"მილანის"




ფოტო, რომელმაც ყველა იტალიური გაზეთი მოიარა: ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი ბექჰემის უკანალზე ხელს უთათუნებენ

მატჩს კაპელოს ერთ-ერთი თანაშემწე, **იტალო გალბიატი** ესწრებოდა. ხოლო "ჯენოასთან" დღევანდელ შეხვედრას პირადად კაპელო დაესწრება. საუბრის დასასრულს ბალდინიმ განაცხადა, რომ თუ ბექჰემი "მილანში" დიდი ხნით დარჩება, ეს მის სანაკრებო კარიერაზე დადებითად იმოქმედებს.

დევიდის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ბექჰემის მილანური კონტრაქტი მარტში იწურება, რის შემდეგაც ფეხბურთელი ლოს ანჯელესში უნდა დაბრუნდეს. გუშინ საინტერესო კომენტარი გააკეთა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**: *"თუ დევიდის აგენტები "გალაქსისთან" შეთანხმდებიან, მზად ვართ, ამერიკულ კლუბს თანხა გადავუხადოთ და ბექჰემი დავიტოვოთ. ფეხბურთელის წარმომადგენლებს უახლოეს დღეებში შევხვდებით და დეტალებს დავაზუსტებთ."*

"მილანის" ხელმძღვანელმა პირველად დაადასტურა, რომ კლუბს ბექჰემის შენარჩუნება სურს. ფეხბურთელის პოზიცია უფრო ადრე გახმაურდა. დევიდი "მილანზეა" შეყვარებული და ყველაფერს ილონებს, რათა ორთვიანი საიჯარო ხელშეკრულება გააგრძელოსო, ეწერა ორი დღის წინანდელ "გაძეტა დელო სპორტში".

დავუბრუნდეთ "ბოლონიასთან" მატჩს. როდესაც დევიდმა გოლი შეაგდო, მას თანაგუნდელები შემოეხვივნენ და მიულოცეს. გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი უჩვეულო დეტალი: მილოცვის შემდეგ, ინგლისელს ყველამ უკანალზე მოუთათუნა ხელი. ფოტოებმა, რომელზეც ეს ეპიზოდი იყო ასახული, ყველა იტალიური გაზეთი მოიარა. "გაძეტა დელო სპორტმა" იხუმრა: როგორც ჩანს, ბექჰემის უკანალზე შეხებას იღბალი მოაქვს, მისი ტრანსფერის შემდეგ, "როსონერის" ერთხელაც არ წაუგიაო.

"გაძეტამ" გაიხსენა, რომ ინგლისელის ჩასვლის შემდეგ, მილანმა ფრედ ითამაშა „რომასთან" და მოუგო "ფიორენტინასა" და "ბოლონიას". მეტიც, "უდინეზესთან" მატჩისას, ბექჰემი ტრიბუნაზე იჯდა, მაგრამ "მილანს" მაინც არ წაუგიაო, დაწერა ავტორიტეტულმა გამოცემამ. *"აი, მილანის ახალი თილისმა"* – ასეთი სათაური წაუმძღვარა "ტუტოსპორტმა" იმავე სკანდალურ ფოტოს.

ჰოლანდიური ამბები

# ვან ბასტენი დააჯარიმეს

## ერედივიზიონს შეიძლება ფეარ პლეის პრიზი ერგოს

„აიაქსის" მთავარი მწვრთნელი **მარკო ვან ბასტენი** თავისი გუნდის მომდევნო შეხვედრისთვის (31 იანვარი, „აიაქსი"-"ჰერენვენი") დისკვალიფიკაციას არ მიიღებს. ის მხოლოდ 500 ევროს ჯარიმის გადახდით გადარჩა. ვერდიქტი ჰოლანდიის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა გამოიტანა. მიზეზი ალბათ გულშემატკივარს შესანიშნავად მოეხსენება: „გრონინგენთან" გასვლაზე წაგებული შეხვედრის (25 იანვარი, 1:0) 86-ე წუთზე არბიტრმა **იან ფერტონგენს** ყვითელი ბარათი უჩვენა. ბელგიელ ფეხბურთელს პირველი ყვითელი 54-ე წუთზე უკვე მიღებული ჰქონდა, შესაბამისად, წითელიც აუფრიალეს და მინდვრიდან დაითხოვეს. ვან ბასტენმა მსაჯის გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტი ზომაზე ხმაურიანად გამოხატა. შეხვედრის შემდეგ ის გამოტყდა, რომ აცნობიერებს საკუთარ დანაშაულს და საჯაროდ ბოდიშს იხდის შეუფერებელი გამოხტომის გამო.

„დე ტელეგრააფის" ცნობით, უახლოეს დღეებში „ფეიენოორდისა" და ჰოლანდიის 20-წლამდელთა ნაკრების განაპირა თავდამსხმელი **დიეგო ბისესვარი** შეიძლება **კიკე სანჩეს ფლორესმა** „ბენფიკაში" წაიყვანოს. 20 წლის ფეხბურთელი როტერდამელთა შემადგენლობაში სტაბილურად ვერ თამაშობს. თვრამეტ ტურში ის შვიდჯერ სასტარტო შემადგენლობის მიღმა დარჩა. ამბიციურ ფეხბურთელს კი აღნიშნული არ აკმაყოფილებს. „ა ბოლა" ირწმუნება, რომ ლისაბონელებს მოთამაშის შეძენა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი. ამ დღეებში ჩვენმა გაზეთმა უკვე გაცნობათ, რომ კიკე ფლორესსა და გუნდის ლიდერ **ხოსე ანტონიო რეიესს** შორის კონფლიქტი მძვინვარებს. მწვრთნელმა მოთამაშეს საჯაროდ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ხოსე ანტონიოს აღზრდამ და მორალმა არ მისცა ადეკვატური პასუხის გაცემის უფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ადვილად შერიგდებიან. თავისთავად ცხადია, რომ გუნდის ლიდერსა და მთავარ მწვრთნელს შორის დაძაბული ურთიერთობები გუნდს კარგს არაფერს უქადის. თუკი რეიესი ახალ კლუბს მონახავს, „ბენფიკას" დიეგო მის იდეალურ შემცვლელად ჰყავს შეგულებული. მოთამაშის ღირებულება დიდი არ არის, რადგან მის კონტრაქტს „ფეიენოორდთან" ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის.

ჰოლანდიურ ერედივიზიონს მშვენიერი შანსი აქვს, უეფას თასის გათამაშებაში ერთი დამატებითი ადგილი მოიპოვოს. ბონუსის სახით საჩუქარი იმ ქვეყნებს გადაეცემათ, რომელთა კლუბებიც ევროტურნირებზე ფეარ პლეის სპეციალურ რეიტინგში პირველ სამ ადგილს გაინაღდებენ. ჰოლანდიელები ამჟამად მეოთხე ადგილზე არიან. საპრიზო სამეულს კი ავსებენ ნორვეგია, დანია და შოტლანდია. შეგახსენებთ, რომ ევროთასების საგზურით ჯილდოვება კლუბი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის შედეგებით ევროთასების ზონაში ვერ მოხვდა. ამასთან საჭიროა, რომ კლუბი აკმაყოფილებდეს ფეარ პლეის კრიტერიუმებს.

ნიუკასლი

# გივენი სიტიში 8 მილიონად

## ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მაიკ ეშლი საკუთარი კლუბის ბაზაზე გამოჩნდა

გუშინ „ნიუკასლის" საწვრთნელ ბაზას კლუბის მფლობელი **მაიკ ეშლი** ეწვია. მერედა, რა არის ამაში გასაოცარიო, იკითხავს ჩვენი მკითხველი. გასაოცარი არაფერი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა: ეშლი ჯორდების ბაზაზე **კევინ კიგანის** დათხოვნის შემდეგ პირველად მივიდა. კიგანმა კი, „ნიუკასლი", მოგეხსენებათ, სეზონის დასაწყისშივე დატოვა.

ეშლის სტუმრობას სერიოზული მიზეზი ჰქონდა. ის ირლანდიელი მეკარის, **შეი გივენის** „მანჩესტერ სიტიში" გაყიდვას დათანხმდა. „სიტიმ" „ნიუკასლს" ვეტერანი გოლკიპერის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ეს გუნდები ერთმანეთს დღეს, მანჩესტერში შეხვდებიან. გივენი, სავარაუდოდ, არ ითამაშებს. ნამატჩევს კი მისი ტრანსფერის უკანასკნელი დეტალებიც დაზუსტდება.

ამასობაში, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **ჯო კინეარი** 500 გირვანქით დააჯარიმა. მიზეზი ის გახლავთ, რომ გასული წლის მიწურულს კინეარმა ინგლისელ არბიტრ **მარტინ ატკინსონს** „მიკი მაუსი" უწოდა. მოგეხსენებათ, ინგლისში მსაჯების დაკნინება სერიოზული დანაშაულია. ეს კინეარის დასჯის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. ის „ნიუკასლში" ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მივიდა. მწვრთნელს ეს სასჯელი ძველი სამსახურიდან, „ნოტინგემ ფორესტიდან" ჰქონდა გამოყოლილი. კინეარის უსიამოვნებები ამით არ მთავრდება. „ჰალ სიტისთან" სათასო მატჩისას, „ნიუკასლის" თავკაცი კოლეგა **ფილ ბრაუნს** უჩხუბა. მათ საქმეს ასოციაცია უახლოეს მომავალში განიხილავს. კინეარს ჯიბის შეთხელება, შეიძლება, კიდევ მოუხდეს.

თუმცა სანამ ეს მოხდებოდეს, მისტერ ჯომ ახალი ასისტენტი აიყვანა: "ნოტინგემ ფორესტის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **კოლინ კალდერვუდი.** ნოტინგემელებმა შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მცველი დეკემბრის შუა რიცხვებში დაითხოვეს. მის ხელში გუნდი ჩემპიონშიფის აუტსაიდერებში გაერია. მართალია, 44 წლის სპეციალისტს მთავარი მწვრთნელობა არავინ შესთავაზა, მაგრამ არანაკლებ საინტერესო შეთავაზება მიიღო. კალდერვუდი კინეარის მიპატიჟებას დაუფიქრებლად დათანხმდა.

შეგახსენებთ, რომ მისტერ კოლინმა საფეხბურთო კარიერა "ტოტენჰემში", "ასტონ ვილასა" და "ნოტინგემ ფორესტში" გაატარა. რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, ის სამი წელი - "ნორთჰემპტონში", ორი წელი კი "ნოტინგემში" მუშაობდა. მან შოტლანდიის ნაკრებში 36 შეხვედრა ჩაატარა. ითამაშა 1996 წლის ევროპისა და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

საკანდალო




მარჩელო ლიპი კომენტარის გაკეთებას თავს არიდებს

# იტალია ბრაზილიას აღარ შეხვდება?

## პოლიტიკური სკანდალი, რომელმაც შეიძლება დიდი საფეხბურთო მატჩი ჩაშალოს

10 თებერვალს, ლონდონის "ემირიტს სთედიუმზე" ამხანაგური მატჩი უნდა გაიმართოს. ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. მსოფლიოს ფეხბურთის გრანდებს 1997 წლის შემდეგ არ უთამაშიათ. მატჩზე დასასწრები თითქმის ყველა ბილეთი გაყიდულია. გუშინ ბრაზილიელთა თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ნაკრების შემადგენლობაც კი დაასახელა. სამმატჩიანი პაუზის შემდეგ, მან **რონალდინიოს** უხმო.

ეს ინფორმაცია გუშინდელ ნომერში ოპერატიულად მოგაწოდეთ. დღეს კი იძულებულნი ვართ, გაუწყოთ, რომ თამაში შეიძლება აღარ გაიმართოს. მიზეზი ორი ქვეყნის ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირებაა. დიდი პოლიტიკა შეიძლება დიდი მატჩის ჩაშლის მიზეზი გახდეს.

უთანხმოების მიზეზია მავანი **ჩეზარე ბატისტი.** იტალიის მართლმსაჯულება ამ პიროვნებას ტერორიზმში სდებს ბრალს. ბატისტი სამშობლოში დაუსწრებლად გაასამართლეს და ოთხი სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. დამნაშავემ ბრაზილიას შეაფარა თავი და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. ბრაზილიის ხელისუფლება მის მოთხოვნას იხილავს და ამ მოტივით, მის იტალიაში ექსტრადიციაზე უარს ამბობს.

ბრაზილიური მხარის ეს გადაწყვეტილება გუშინ გახმაურდა. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაშინვე საგანგებო განცხადება გააკეთა. სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ალფრედო მანტიკომ** იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მოუწოდა, ბოიკოტი უარი თქვას იმ ქვეყნის ნაკრებთან მატჩზე, რომელიც ტერორისტს იფარებს: *"ბრაზილიის ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ აღიარებს იტალიის დემოკრატიასა და სასამართლო სისტემას. მას საეჭვოდ მიაჩნია ჩვენი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ვითარება საგანგაშოა. ბატისტი ტერორისტია. დაუშვებელია, რომ რომელიმე ქვეყანამ მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭოს."*

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა იტალიის ნაკრების თავკაცმა **მარჩელო ლიპიმ**: *"სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. ვნახოთ, რა პოზიციას დაიჭერს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. დაველოდოთ ჯანკარლო აბეტეს განცხადებას. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც გადაწყვეტილება ხელისუფლებამ და ფედერალურმა პრეზიდენტმა უნდა მიიღონ. ყველას მოვუწოდებ, პრობლემის გადაწყვეტა იმ ადამიანებს მივანდოთ, ვისაც ეს ხელეწიფება. მართებულია თუ არა ის, რომ ბატისტი ბრაზილიაში იმყოფება? მე მწვრთნელი ვარ და ამ საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ."*

ტრანსფერი

# არშავინი არსენალში მიდის

## პრინციპული შეთანხმება მიღწეულია

**ანდრეი არშავინი** თანახმაა, ხელფასის შემცირებას დათანხმდეს და „არსენალს" მიაშუროს. ეს ინფორმაცია გუშინდელმა „დეილი მეილმა" გაავრცელა. ბრიტანული ტაბლოიდის მტკიცებით, შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია. უახლოეს დღეებში გარიგება ოფიციალურად გაფორმდება. „მეთოფეები" პეტერბურგის „ზენიტს" 15 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

სპეკულაციების თანახმად, „არსენალთან" კონტრაქტის სანაცვლოდ, რუსი ნახევარმცველი კვირაში 100 ათას გირვანქას ითხოვდა. ლონდონელებმა მას განუმარტეს, რომ ამ დათმობაზე წასვლას შეუძლებელი იყო. „მეთოფეების" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები **ვილიამ გალასი და ემანუელ ადებაიორი** არიან. ისინი კვირაში 80 ათას გირვანქას იხვეჭენ. როგორც ჩანს, ამათ სიას არშავინიც შეემატება.




ანდრეი არშავინი

„ზენიტის" ხელმძღვანელობას ფეხბურთელის გაყიდვა არ სურდა. არშავინი დაიმუქრა, რომ ის საკუთარი სახსრებით გამოისყიდდა კონტრაქტში დარჩენილ ორწელიწადნახევარს და ლონდონში მაინც გადავიდოდა. რუსული სააგენტოების ცნობით, თავდაპირველად პეტერბურგელებმა ფეხბურთელს იმ 4.5 მილიონი ევროს დაბრუნება მოსთხოვეს, რომელიც მან 2006 წელს, ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ მიიღო.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ

იურგენ კლინსმანი

# მოთამაშეებს გაზეთის კითხვას არ ვურჩევ

## ადრე ერთადერთი მიზანი მქონდა: მეტოქის კარები



იურგენ კლინსმანი

იურგენ კლინსმანი კოლეგებს შორის ჯერ კიდევ მოთამაშეობის ჟამს გამოირჩეოდა არაორდინალურობით. ეს იყო ფეხბურთელი, ვისაც ყოველთვის თავისებური ინტერესები გააჩნდა. მაგალითად, უყვარდა წიგნების კითხვა სამხრეთ აფრიკაზე. შესაბამისად, განსაკუთრებულ პატივს სცემდა ნელსონ მანდელას მოღვაწეობას. მასზე ამბობენ, რომ დღემდე ჯდება ჯენტლმენის კლასიკურ გაგებაში. თუნდაც ერთი ისტორიის გახსენება რად ღირს: მილანის „ინტერში" თამაშის დროს „ნერაძურის" ფეხბურთელები და გუნდის ხელმძღვანელები, მეუღლეებთან ერთად, რომის პაპ იოან პაველ II აუდიენციაზე იყვნენ მიწვეულნი. პაპმა ყოველ მოთამაშესთან ხელის ჩამორთმევა ინება. სტუმრები ჩამწკრივდნენ. წინა რიგში ფეხბურთელები იდგნენ, მათ ზურგს უკან კი მათი ქალბატონები. კლინსის მაშინ ცოლი არ ჰყავდა. ფეხბურთელის ყურადღება მიიქცია იმან, რომ ქალები ფეხის წვერებზე იწეოდნენ, რათა მისი უწმინდესობა კარგად შეეთვალიერებინათ. მან ერთ-ერთ მათგანს შესთავაზა, წინა რიგში მისი ადგილი დაეკავებინა. იოან პაველ II ჩაიარა, გერმანელის ადგილას ჩამდგარ სტუმარ ქალბატონს მიესალმა, კლინსმანმა კი ხელის ჩამორთმევა ვერ მოახერხა. ატყდა სკანდალი. დაიწერა ისიც, რომ ფეხბურთელმა რომის პაპს ხელი განგებ არ გაუწოდა... ერთი სიტყვით, კლინსი ლამის თავისივე ჯენტლმენობის მსხვერპლი შეიქნა. მოდით, დღევანდელობას დავუბრუნდეთ და "ბაიერნის" მთავარ მწვრთნელს მიმდინარე მოვლენებზე მოვუსმინოთ. ინტერვიუ ყოველკვირეულმა „ცაიტმა" გამოაქვეყნა.

**- ჰერ კლინსმან, მოდით, დუბაიში გატარებულ ერთ კვირაზე ვილაპარაკოთ, სადაც თქვენი გუნდი ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მოემზადა. მოგვეჩვენა, რომ ფეხბურთელები საკმაოდ მსუბუქად გამოიყურებიან.**

- კმაყოფილი ვარ იმ სამუშაოთი, რაც ბოლო დროს გავწიეთ. ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტურებში ცხრილის ზედა საფეხურებზე ადგილი მყარად დავიმკვიდრეთ. ჩემპიონთა ლიგაში ნაჩვენები თამაშით კი ყველას დავუმტკიცეთ, რომ ტურნირის მოსაგებად ბრძოლა შეგვიძლია. ბუნებრივია, გუნდში ყოველთვის ყველაფერი იოლად არ იყო, მაგრამ მაინც სერიოზული პროგრესი განვიცადეთ.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩვენს გუნდში მუშაობს ფიზიკური მომზადების ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ოლივერ შმიდტლაინი, რომელიც უკვე კარგა ხანია „ბაიერნშია". ის ჩემს დროს გერმანიის ნაკრებშიც მუშაობდა. მისი წყალობით, ფეხბურთელები ფანტასტიკურ ფიზიკურ კონდიციებში არიან. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ მეორე წრის ბოლოს რამდენიმე ძალზე ძლიერი თამაში ჩავატარეთ. ჩვენმა ყველა მეტოქემ იცის, რომ თამაშის ბოლო 10-15 წუთში მომატება შეგვიძლია. ცალკე უნდა ავღნიშნო სკაუტების მუშაობა. ჩვენ ახლებურად მივუდექით ტალანტების მოძიების პროგრამას. ამჟამად ჩვენს გუნდში მუშაობს სპეციალური განყოფილება, რომელიც სწავლობს მეტოქეებს და კვალიფიციურ ანალიზს აკეთებს. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენი ინტერესის სფეროში არიან.

**- როგორ შეცვალეთ სათამაშო სქემა?**

- ჩვენი სათამაშო ფილოსოფიის შესახებ ყველას მშვენივრად მოეხსენება. ეს არის სწრაფი და მინდორზე დომინირებისკენ მიმართული ტაქტიკა. მშვენიერია, რომ ამ ფილოსოფიას ნელ-ნელა ხორცს ვასხამთ. დაცვიდან შეტევაში ბურთი ახლა ბევრად უფრო სწრაფად გადაგვაქვს. დაცვა, ნახევარდაცვა და შეტევის ხაზი ერთმანეთთთან უფრო სინქრონულად მოქმედებს. რაც ყველაზე მთავარია, ჩემს ხელში, გუნდური თამაშის გაძლიერების პარალელურად, თითოეული ფეხბურთელი ინდივიდუალურად უფრო ძლიერი ხდება. მართლა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმა მათგანმა პროგრესს ამ მხრივაც მიაღწია.

**- წარმატებული სტარტის შემდეგ, შემოდგომის დასაწყისში, გუნდმა შეაჩერა პროგრესი. რატომ?**

- ჩვენ გუნდის გაძლიერების ხანგრძლივი გეგმა გვაქვს. ფეხბურთელებისთვის ამის ახსნას თავიდანვე ვცდილობდი. სწორედ ამიტომ, თავდაპირველად მოთამაშეთა მართვა ცოტა შევამსუბუქეთ. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ გუნდი შეჩვეოდა ახალ იდეებს, შეგვჩვეოდა ჩვენ, ახალ სამწვრთნელო შტაბს.

**- ამ დროის განმავლობაში საკუთარ თავში თუ შეცვალეთ რამე?**

- თავდაპირველად აქცენტი იმაზე გადავიტანეთ, რომ ყველასთან ურთიერთობაში თანაბარი პარტნიორი გავმხდარიყავი. ბაზაზე ჩემი ოფისის კარები ყველასთვის ღია მქონდა. ყველას შეეძლო იქ გაუფრთხილებლად მოსვლა და ჩემი ნახვა. ცოტა ხნის შემდეგ კაბინეტი გარკვეულწილად შევცვალე. ცალკე გავაკეთებინე პატარა ოთახი, შედარებით დახურული, სადაც ფეხბურთელებთან ერთი-ერთზე საუბარი შემეძლო. ასე გავხდი შედარებით მიუწვდომელი სხვებისთვის. შედარებით თვალში საცემი გავხადე გუნდური იერარქია. მაგრამ ეს ყველასთვის კარგია. მხოლოდ „კარგი ტიპად" დიდი ხანი დარჩენა საქმეს ავნებდა.

**- იყო მომენტი, როცა ზედიზედ სამი მოუგებელი თამაშის შემდეგ ბეკენბაუერმა, რუმენიგემ და ჰიონესმა საჯაროდ დაიწყეს თქვენთვის რჩევების მოცემა.**

- იქამდე, ვიდრე „ბაიერნში" მუშაობას დავიწყებდი, მითხრეს, რომ მექნებოდა საკმაო დრო, რათა ევროპის საფეხბურთო მწვერვალზე ფეხის მოკიდება მომეხერხებინა. სწორედ ამიტომ, სეზონის დასაწყისში ახალგაზრდა ფეხბურთელებს, ბრენოს, სოსას, კროოსს შანსი მივეცით, რომ გამოცდილება დაეგროვებინათ. როცა ვნახეთ, რომ წარმატებები არ იყო, გადავედით ტალანტების განვითარებაზე ზრუნვა და აქცენტი შედეგზე, მუშაობის ნაყოფის მოწევაზე გადავიტანეთ. სწორედ ამან მოიტანა გამარჯვებები. ამიტომ მივუყვებით დასახულ გეგმას.

**- რითი განსხვავდება თქვენი მუშაობა გერმანიის ეროვნულ ნაკრებსა და „ბაიერნში"?**

- არ ღირს „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების მწვრთნელობის სპეციფიკის შედარება. ნაკრებში როცა ვიყავი, ზოგს შეიძლება ეგონა, რომ სამუშაოს ყურადღებას მხოლოდ დრო და დრო თუ ვაქცევდი, მაგრამ რეალურად ვერავინ ხედავდა იმას, რომ 2006 წლის ჩემპიონატის წინ დღის განმავლობაში 12, ხანდახან კი 14-16 საათს ვმუშაობდი. გერმანიის ნაკრები როცა ჩავიბარე, ის არცთუ საუკეთესო კონდიციებში იყო, „ბაიერნი" კი უკვე რამდენიმე ათწლეულია, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად მიიჩნევა და ისიც შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს უმაღლესი კლასის ფეხბურთსაც ხშირად აჩვენებდა. ეს ორი წინაპირობა ალბათ საკმარისია დასკვნისთვის, რომ ხსენებული სამუშაოები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

**- რომელი გაზეთის წაკითხვას ურჩევთ თქვენს ფეხბურთელებს?**

- ჩემი რეკომენდაცია ასეთია: საერთოდ ნუ წაიკითხავთ გაზეთებს, ყოველ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქციოთ იმას, რასაც თქვენზე წერენ. საწვრთნელ ბაზაზე გაზეთები გამოწერილი საერთოდ არ გვაქვს. თუკი ფეხბურთელებს ინფორმაციის მიღება სურთ, მიაკითხონ პრესის გავრცელების წერტილებს ან ჩართონ ინტერნეტი.

**- თქვენ მიუნხენში საცხოვრებლად უკვე მეორედ გადმოხვედით და უკვე ექვს თვეზე მეტია, აქ ხართ. როგორ გრძნობთ თავს ამ ქალაქში? რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ქალაქი დატოვეთ?**

- ცხოვრება მიუნხენში ბევრად უფრო ინტენსიური გახდა, ვიდრე ჩემი ფეხბურთელობის დროს იყო. მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და მიუნხენის სილამაზე ვერ აღვიქვი, ვერ შევიგრძენი ლანდშაფტების მრავალფეროვნება, კულტურული სიმდიდრე.

**- და ახლა ქალაქს თავიდან ეცნობით?**

- უამრავი ექსკურსია მოვიწყვე უშუალოდ მიუნხენში, ვნახე ბერხტესგადენი (მუნიციპალიტეტი მიუნხენიდან 180 კმ-ში, ავსტრიის საზღვართან, ალპებში. რედ.), იქვე მეზობლად ვეწვიე ზალცბურგს (30 კმ ბერხტესგადენიდან. რედ.), ვიყავი ცუგშპიტცეზე (გერმანიის უმაღლესი მთა, 1746 მეტრი. რედ.). ეს ხომ ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი აღარ ვარ, ცხოვრების შედარებით ინტენსიურ სტილს მივდევ. აქტიური კარიერის დროს ყველაფერი ერთი მიზნისკენ იყო მიმართული, ეს იყო მეტოქის კარები - გოლი, გოლი და გოლი...

**- მალე შეიძლება ული ჰიონესმა "ბაიერნის" მენეჯერის პოსტი დატოვოს. კლინსმანისთვის ლოგიკური იქნებოდა გადაედგა შემდეგი ნაბიჯი კარიერაში და გამხდარიყო ერთდროულად მწვრთნელი და მენეჯერი...**

- პირველ ყოვლისა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვაპირებთ ული დავარწმუნოთ, დარჩეს თანამდებობაზე. მეორე მხრივ, მე, როგორც მწვრთნელი, გამოცდილებას ჯერ კიდევ ვაგროვებ. მინდა ბევრად უფრო მეტი პრაქტიკა შევიძინო, რათა კიდევ მრავალი წელი ვიმუშაო ამ თანამდებობაზე.

**- ანუ „ბაიერნის" მენეჯერის პოსტზე თქვენ ვერასოდეს გიხილავთ?**

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რაც ყველაზე უკეთ შევითვისე, ეს არის ის, რომ არასოდეს თქვა არასოდეს.

**- თქვენ, იურგენ კლოპი, რალფ რანგნიკი ახალი თაობის მწვრთნელებს მიეკუთვნებით. რითი განსხვავდებით ძველი გვარდიისაგან?**

- არ მინდა პერსონების ჩამოთვლაზე გადავიდე. მტკიცედ მწამს, რომ სამწვრთნელო ფილოსოფია დროსთან ერთად იცვლება და მომავალში კიდევ უფრო მეტად შეიცვლება. ამჟამად მწვრთნელებს ისეთ დეტალებზე უხდებათ ყურადღების გამახვილება, რომელსაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა უცხოელებთან ურთიერთობა მეტად გიწევს, მიმაჩნია, რომ რამდენიმე უცხო ენა ზედაპირულად მაინც უნდა იცოდე (თავად კლინსმანმა მშობლიური გერმანულის გარდა ფრანგული, ინგლისური, იტალიური და ესპანური ენები იცის. რედ.). ასევე საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიებში გარკვეული ცოდნა, რათა ახალ მოწყობილობებში ადვილად გაერკვე. ასევე საჭიროა, რომ მწვრთნელი მეტნაკლებად იყოს ჩახედული ფინანსებში, რათა კლუბის ავანჩავანი კარგად გაიაზროს. პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის ცოდნაც ძალზე მნიშვნელოვანია. ყოველივე ეს ერთობლიობაში ქმნის კიდეც თანამედროვე მწვრთნელს.

**- როგორ აისახება თანამედროვე გლობალური კრიზისი ფეხბურთზე?**

- ვფიქრობ, ზაფხულზე სატრანსფერო ფანჯარა ბევრად უფრო მოკრძალებული იქნება, ვიდრე ეს შარშან იყო. ალბათ გაიზრდება სხვაობა იმ თანხებს შორის, რასაც უმაღლესი კალიბრის ვარსკვლავებსა და ჩვეულებრივ ფეხბურთელებში იხდიან. ხომ ხედავთ, რიგითი ფეხბურთელები გაიაფდნენ, ხოლო ვარსკვლავები პირიქით, გაძვირდნენ.



კლაუდიო პისარო

ჩელსი

# პისაროს ჩელსი აღარ უნდა

## მალუდას ტურინში უხმეს, კუდიჩინის ადგილი ისევ იტალიელს ერგო

2007 წლის ზაფხულზე მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. მიუნხენის "ბაიერნის" სათადარიგო ფეხბურთელად ქცეულმა **კლაუდიო პისარომ** კონტრაქტი ლონდონის "ჩელსისთან" გააფორმა. თანაც ლონდონელებმა ბევრად უფრო მაღალი ანაზღაურებაც დაუნიშნეს. მოვლენები ლოგიკურად განვითარდა. პერუელმა "არისტოკრატთა" შორის ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო და მიმდინარე სეზონის დაწყებამდე იჯარით "ვერდერს" მიაშურა. 30 წლის ფეხბურთელი ლონდონში დაბრუნებას აღარ აპირებს. მას კარიერის ბრემენშივე გაგრძელება სურს. "ვერდერი" თუ არა, სხვა კლუბი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში "ჩელსი" - ასეთია მისი მკაცრი პოზიცია.

პისაროსი არ იყოს, წარუმატებელი აღმოჩნდა ფრანგი **ფლორან მალუდას** ტრანსფერიც. "იუვენტუსი" მზადაა, ლონდონელებთან უახლოეს დღეებშივე შეათანხმოს ფეხბურთელის საიჯარო ხელშეკრულება. ჯერ კიდევ დეკემბერში ლაპარაკობდნენ, რომ ფლორანი აუცილებლად დატოვებდა "სტემფორდ ბრიჯს". სახელდებოდა დაინტერესებული კლუბების სიაც, მათ შორის მიუნხენის "ბაიერნიც". ხმები არ დადასტურდა. შეგახსენებთ, რომ მალუდა ლონდონელებმა 2007 წელს "ლიონიდან" შეიძინეს. საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელით **კლაუდიო რანიერი** მას შემდეგ დაინტერესდა, რაც "ჩელსიში" **ლუიშ ფელიპე სკოლარი** მივიდა. ფელიპაო ფლორანს არ ენდობა, რაც, ბუნებრივია, ფეხბურთელის უკმაყოფილებას იწვევს.

"ჩელსი" მესამე მეკარეს ეძებს. შეგახსენებთ, გუშინწინ საღამოს იტალიელი **კარლო კუდიჩინი** "ტოტენჰემში" ერთ მილიონ ევროდ გაიყიდა. **პეტრ ჩეხის** შემდეგ სათადარიგო გოლკიპერად ავტომატურად **ენრიკე ილარიო** იქცა. ლონდონელებს მეტი სიმშვიდისთვის მესამე მეკარეც უნდათ. "არისტოკრატებმა" უკვე მიმართეს "ფიორენტინას" **მარკო სტორარის** თაობაზე. ის "ვიოლას" მეორე მეკარეა. 32 წლის მეკარე ორი მილიონი ევრო ღირს. თუმცა „დეილი მეილის" ინფორმაციით, ფეხბურთელი ლონდონურ გრანდში სეზონის ბოლომდე იჯარის წესით გადავა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ · ლუიშ ფაბიანო

# ჩემი ბრაზილიური ოცნება!

**„სევილიაში"** მოთამაშე ლუიშ ფაბიანოს ყველა თავისუფალ ფორვარდად იცნობს, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე საოცნებო, 9-ნომრიანი მაისურა მოირგო. ბევრი ძნელად იჯერებს, რომ ვარსკვლავი, რომელიც 28 წლისაა, მაინც არ იღლება ფეხბურთისგან. ფრანგულ „რენში" უიღბლო პერიოდის შემდეგ, ფაბიანომ პორტუგალიაშიც ვერ მონახა თავისი ადგილი და თითქოს ბრაზილიელს ხელი უნდა ჩაექნია ყველაფერზე, მაგრამ... ეყო ნებისყოფა, რომ მსოფლიო ფეხბურთში დაემკვიდრებინა ადგილი.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტთან ექსკლუზიურ ინტერვიუში ლუიშ ფაბიანო ლაპარაკობს საკუთარი კარიერის აღმასვლასა და დაცემაზე, მის მიზნებზე „სელესაოსთან" ერთად და იმ ორი კლუბისადმი სიყვარულზე, სადაც პენსიაში გასვლამდე თამაში სურს...

**- ლუიშ ფაბიანო, არაბრაზილიელებისთვის თქვენ „სან პაულუსთან" ასოცირდებით და არ იციან, რომ თქვენი კარიერა „პონტე პრეტაში", სან პაულუს შტატის, ქალაქ კამპინას გუნდში დაიწყო...**

- დიახ, ასეა. კამპინაში დავიბადე. მთელი ჩემი ოჯახი „პონტე პრეტას" ქომაგობს და ჩემი გული ყოველთვის კლუბს ეკუთვნოდა. ჩემი კარიერა სწორედ იქ დაიწყო, 1997 წელს, სან პაულუს თასზე (ახალგაზრდული ჩემპიონატი) ტურნირში, შემდეგ კი პროფესიონალურ გუნდში გადავედი. კარგი შემადგენლობა გვყავდა და 1998 წელს ბრაზილიის პირველ დივიზიონში გადავედით. მომდევნო სეზონში უკვე სან პაულუს შტატის ჩემპიონატში ვთამაშობდით.

**- ისე კარგად ითამაშეთ, რომ ევროპის ყურადღება მიიქციეთ.**

- მინდა გითხრათ, რომ ეს სიურპრიზი იყო ჩემთვის. ფრანგული „რენიდან" სკაუტები კამპინასში ჩამოვიდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ ერთ-ერთი ჩვენი თავდამსხმელის, ვანდერის გადმობირებით. იმ დღეს, მართლაც, კარგად ვითამაშე და ორი გოლი გავიტანე." რენის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გაეფორმებინა კონტრაქტი ჩემთანაც და ვანდერთანაც. 18 წლის ვიყავი და არც ვფიქრობდი სხვა ქვეყანაში ფეხბურთის თამაშზე. არც კი ვიცოდი, რა ხდებოდა იქ და ამიტომაც მქონდა ბევრი პრობლემა.

**- რა პრობლემები?**

- სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა: სიცივე, უცხო ენა, ხალხი, გადასახადები და სხვა. მზად უნდა იყო ყველაფრისთვის, მე კი მოუმზადებელი დავხვდი ყველაფერს. როცა ახალგაზრდა ხარ და შანსი გეძლევა, მხოლოდ სატრანსფერო თანხაზე ფიქრობ. შვიდი წელია ევროპაში ვცხოვრობ და ეჭვი არ მეპარება, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, ასე ახალგაზრდა „რენში" რომ გადავედი.

**- მერე სან პაულუში დაბრუნდით.**

- საერთოდ, როცა ცხოვრება მიძნელდება, ყოველთვის სამშობლოში ვბრუნდები. იქ, სადაც ადამიანად უნდა ჩამოყალიბდე და დიდი გამოცდილება მიიღო. ეს სან პაულუა. აქ 2001 წელს ჩამოვედი და ისეთ ფეხბურთელებთან ერთად ვთამაშობდი, როგორებიც არიან როჟერიუ სენი, ლეონარდუ, კაკა და ფრანკა. პირველად ათი წლის განმავლობაში ჩვენ კოპა ლიბერტადორესზე გავედით, რითაც გულშემატკივრები გავახარეთ. ბევრი გოლი გავიტანე და პირველად გამომიძახეს ნაკრებში. ეს ჩემი კარიერის ხელახალი დასაწყისი იყო.

**- როგორც ჩანს, „სან პაულუს" ქომაგების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ.**

- აბსოლუტურად. მათი მხარდაჭერით გაოცებული დავრჩი. გაფიქრებისას ამბურძგლავს ხოლმე. ვფიქრობ, გულშემატკივრები ყოველთვის ხვდებიან, როდის თამაშობს ფეხბურთელი მთელი დატვირთვით და როდის იხარჯება მთლიანად გუნდისთვის. მე ყოველთვის ასე ვარ.

**- მიუხედავად ამისა, მაინც პრობლემები შეგექმნათ, არა?**

- დიახ, ბევრი სისულელე ჩავიდინე მოედანზე და ბევრჯერაც სამართლიანად დავისაჯე. საკუთარი „თავი დავკარგე" და მეტოქეებს ჩემი პროვოცირების უფლება მივეცი. დიახ, ეს სიმართლეა. ჩემი ხასიათის გამო ისეთ სიტუაციებში აღმოვჩნდი, რომლის თავიდან აცილებაც შემეძლო.

**- თქვენი უიღბლობა „სან პაულუში" დასრულდა, როცა ჰორიზონტზე „პორტუ" გამოჩნდა. ევროპაში იმედგაცრუების შემდეგ, ხომ არ წუხდით, რომ იქ დაბრუნდით?**

- დიახ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ევროპაში ცხოვრება ხელახლა უნდა დამეწყო. მე „სან პაულუს" ვტოვებდი, კლუბს, რომელიც „სელესაოში" ადგილის დამკვიდრებაში დამეხმარა და სადაც საუცხოო დრო გავატარე. 2004 წელს კოპა ლიბერტადორესზე დავმარცხდით და გულშემატკივრები ნაწყენი დარჩნენ. სწორედ ამ დროს მივიღე მოწვევა ევროპის მომავალი ჩემპიონებისგან და ვიცოდი, რომ მათ უეფას ჩემპიონთა ლიგაში უნდა ეთამაშათ. „რენში" ყოფნისას მომხდარი ამბების შემდეგაც არ ვიცოდი რა მინდოდა.

**- უცხოეთში გასამგზავრებლად ახლა მზად ხართ?**

- ადრინდელზე უფრო მეტად. გამოცდილება შევიძინე, მაგრამ მაინც გამიძნელდა. ტრავმისგან გამოვჯანმრთელდი. გუნდმა კი წამყვანი ფეხბურთელები და მწვრთნელი ჟოზე მოურინიო დაკარგა. გუნდი ხელახლა ყალიბდებოდა და ეს პროცესი ყოველთვის მძიმეა. ყველაფერთან ერთად, პირადი პრობლემებიც მქონდა. 2005 წელს დედაჩემი ორ თვეზე მეტხანს იყო გატაცებული და ეს იყო ჩემი კარიერის ყველაზე ცუდი პერიოდი.

**- ყველაფერი გაუფერულებული ჩანდა, მაგრამ მაინც თქვენთვის ჩვეულ სტილს დაუბრუნდით. რას გრძნობდით, როცა „სევილიაში" გადახვედით?**

- სეზონის ბოლოს ბევრი გუნდისგან მივიღე მოწვევა და მსურდა ესპანეთში მომესინჯა ძალა. ძალიან გამიხარდა, როცა „სევილიასთან" კონტრაქტის ყველა პირობაზე შევთანხმდით.

**- 2005 წელს თვით „სევილიაშიც" ხდებოდა ცვლილებები. გეგონათ, რომ გუნდი ასეთი წარმატებული გახდებოდა?**

- სიზმარშიც კი ვერ ვნახავდით ვერც მე, ვერც პრეზიდენტი და ვერც სხვები. „სევილიამ" ადრე ძლივს მოიგო დიდი ტურნირები და კლუბისთვის საუკუნოვან სეზონში უეფას თასის მოპოვება უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ოცნება, რაც მომდევნო სეზონშიც განმეორდა *(2006, „მიდლსბრო"-"სევილია" 0:4, სადაც ერთი გოლი ფაბიანომ გაიტანა; და 2007, „ესპანიოლი"-"სევილია" 2:2 და პენალტებით 1:3, ფაბიანოს ერთი გოლით - რედ)*. ამ პერიოდში ბევრმა ფეხბურთელმა ფორმის პიკს მიაღწია უდიდესი მწვრთნელის, ხუანდე რამოსის ხელმძღვანელობით.

**- 2006 წელს, გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრებში ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე დიდი პაექრობა მიდის. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ რბოლას ლიდერობთ?**

- ერთი წუნია ჩემს სტილში და სწორედ ამის მეშინია. მართალია, ეროვნულ ნაკრებში ვიმყოფები, მაგრამ მაინც ვშიშობ, შევინარჩუნებ თუ არა ადგილს. სამ-ოთხ მატჩში გოლები არ გამიტანია, ამიტომ დარწმუნებული არ ვარ, დავრჩები თუ არა გუნდში. ბრაზილიის ნაკრებში ცუდად თამაშის უფლება არ გაქვს. ყველა გიყურებს და პაექრობაც ძალზე დაძაბულია.

**- რას ფიქრობთ რონალდოს გადასვლაზე „კორინტიანსში"? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი დაბრუნება ნაკრებში?**

- არ მგონია, რონალდო ახლა ამაზე ფიქრობდეს. მისი მთავარი მიზანია „კორინტიანსში" კარგი თამაში და დარწმუნებული არ ვარ, რომ მას „სელესაოში" დაბრუნებაზე ფიქრი აწუხებს. ფეხბურთელი რის მოგებაზეც ოცნებობს, მას ყველაფერი ეს მოგებული აქვს და მიმაჩნია, რომ ერთადერთი, რაც სურს ამჟამად, არის თამაშით სიამოვნების მიღება.

**- ხუანდე რამოსის მიმართ პატივისცემაზე საუბრობდით. ხომ არ გეგმავთ ერთ დღეს მწვრთნელობას?**

- არა (იღიმის), ამაზე ჯერ არ მიფიქრია და არც ვარჯიშისგან დავღლილვარ. ჩემი აგენტი ცდილობს დამარწმუნოს, რომ გავხდე ბიზნესმენი ან კლუბის დირექტორი, როცა ფეხბურთიდან წავალ, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცი. ჟუვენალ ჟუვენსიომ *(„სან პაულუს" ამჟამინდელი პრეზიდენტი - რედ)* მითხრა ერთხელ, რომ შემიძლია კლუბში ვიმუშაო, როცა ფეხბურთს თავს დავანებებ. მოდით, დავიცადოთ და ვნახოთ, თუ ახსოვს მას მაშინდელი, ექვსი-შვიდი წლის წინანდელი შემოთავაზებები (იღიმის).

**- გსურთ ითამაშოთ „სან პაულუში" ან „პონტე პრეტაში", სანამ სპორტიდან წასვლის დღე დადგება?**

- ვოცნებობ „პოტნე პრეტაში", საიდანაც ყველაფერი დაიწყო, კარიერის დასრულებას. მანამდე, კარგი იქნება თუ „სან პაულუში" ვითამაშებ უმაღლეს დონეზე. ის ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული პერიოდი იყო, კლუბისა და გულშემატკივრებისადმი დამოკიდებულება ფანტასტიკური იყო. „მორუმბიზე" 2005 წელს დავბრუნდი ეროვნულ გუნდთან ერთად და სანპაულელი გულშემატკივრები მამხნევებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე იყო რონალდინიო, რობინიო და კაკა. საუცხოო გრძნობა დამეუფლა და კარგი იქნება თუ ეს განმეორდება.

**დავით ჩუბინიძე**

DG 790



WENTTO
DG 790 -ფასი 189 ლარი
TV - mobile
Radio
Bluetooth
MP 3.
MP 4
Camera 2Mpx.
ყურსასმენი.
მე-2 აკუმულატორი.
USB-კაბელი
სტაციონარი სატენი
ერთ წლიანი გარანტიით
მობის და ვენტოს მაღაზიებში.
თბილისი: ვენტო – 385 395. მობი: 20 25 25
ქუთაისი: 893 18 38 20.
ბათუმი: 7 66 21



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXI ტურის წინ





# მოურინიოს ბარეზი შეცვლის

## იუვენტუსი დელ პიეროს გარეშე

| დღეს | |
|---|---|
| ატალანტა-ბოლონია | 23:30 |
| კალიარი-სიენა | 23:30 |
| კატანია-ინტერი | 23:30 |
| კიევო-ლეჩე | 23:30 |
| ფიორენტინა-ნაპოლი | 23:30 |
| მილანი-ჯენოა | 23:30 |
| რომა-პალერმო | 23:30 |
| სამპდორია-ლაციო | 23:30 |
| ტორინო-რეჯინა | 23:30 |
| უდინეზე-იუვენტუსი | 23:30 |

დღეს, იტალიის სერია A-ს 21-ე ტურის შეხვედრები გაიმართება. ტრადიციულად, ოთხშაბათს დაგეგმილი ტურის ყველა პაექრობა ერთსა და იმავე დროს, თბილისის დროით 23.30 საათზე დაიწყება. მართალია, ამ ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, მაგრამ გასამართ შეხვედრებს უინტერესო ნამდვილად არ ეთქმის. თავდაპირველად „ინტერს" და მის მეტოქეს, „კატანიას" შევეხოთ.

„ნერაძურიმ" გასულ ტურში საკუთარ კედლებში „სამპდორია" დაამარცხა და სამი ქულა აილო, თუმცა იმ შეხვედრას უდანაკარგოდ მაინც არ ჩაუვლია. მატჩის არბიტრმა **ჟოზე მოურინიო** მიაბრძანა სათადარიგო სკამიდან და პორტუგალიელს ავტომატურად ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. დღეს, ჟოზე სტადიონის ლოჟაში მოთავსდება და იქედან უხელმძღვანელებს შეგირდებს. მოურინიოს **ჯუზეპე ბარეზი** შეცვლის, ვინაც პირენეელის ასისტენტია. დისკვალიფიცირებულია ბრაზილიელი თავდამსხმელი **ადრიანო**, იმპერატორს სამი კალენდარული მატჩის გამოტოვება მოუწევს. როგორც გუშინ გაუწყეთ, ერთ-ერთ ეპიზოდში ფორვარდმა თავი ვერ შეიკავა და მეტოქე მცველს მუშტი მუცელში ჩაარტყა. სამაგიეროდ, ბრუნდება **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**, ვინაც წინა ხაზზე კუთვნილ ადგილს დაიკავებს. მისი მეწყვილე სავარაუდოდ **ერნან კრესპო** იქნება, არგენტინელს იშვიათად უწევს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება და დღეს, ამის ძალიან კარგი შანსი ექნება. ერნანს საკუთარი თავის სჯერა და ამაზე მისი სიტყვებიც ნათლად მეტყველებს:

*„თამაში იშვიათად მიწევს და ბუნებრივია, ეს ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ და მსურს ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე. სიცილიაში თამაშის კარგი შანსი მაქვს, რადგან ადრიანო დისკვალიფიცირებულია და თუ მომიწია მოედანზე გასვლამ, ვეცდები თავი კარგად წარმოვაჩინო. ჩვენ საჩემპიონო გუნდი გვყავს და შესაბამისად, თითოეულ შეხვედრაში მაქსიმალური მიზნისთვის, გამარჯვებისთვის ვიბრძვით. ასე იქნება კატანიაშიც და იმედია, სანადელს მივაღწევთ".*

ჟურნალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ადრიანოს ადგილს **ხულიო კრუსი** დაიკავებს და არა ერნან კრესპო. კრუსი დღეს ოპტიმალურ ფორმაში არ არის, მაგრამ მოურინიო მას უფრო ენდობა, ვიდრე ერნანს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მოურინიო გუნდს ორი გამოკვეთილი ფორვარდით ათამაშებს. მათ უკან **დეიან სტანკოვიჩი** გაირჯება, ვინაც „სამპდორიასთან" ერთ-ერთი საუკეთესო იყო. სერბი აგრესიულად თამაშობდა და რამდენჯერმე მნავეედ დაემუქრა გენუელთა კარს. ცვლილებები არც უკანა ხაზში იგეგმება და თქვენი ნებართვით აღარ დავწვრილმანდებით. სიტყვას პირდაპირ ჯუზეპე ბარეზის გადავცემთ, ვინაც ამ მატჩში „ინტერის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს:

*„ძალიან რთული პაექრობა გველის, „კატანია" ძალიან ორგანიზებული და ძლიერი გუნდია. მეტოქეს ბურთი არ უნდა დავუთმოთ და თამაში ვაკონტროლოთ. სწორედ ასეთ შემთხვევაში მივაღწევთ სანადელს და ავიღებთ მორიგ სამ ქულას. მოურინიოსთან მექნება კავშირი, თუმცა გადაწყვეტილებებს მეტწილად მე მივიღებ. თანამედროვე ფეხბურთში მოვლენები ელვისებური სისწრაფით ვითარდება და გადაწყვეტილებებიც შესაბამისად, სწრაფად უნდა მიიღო".*

სიცილიელებს მხოლოდ ერთი დანაკლისი აქვთ, „ინტერს" **ტერლიცი** ვერ შეერკინება. სამაგიეროდ, სრულ მზადყოფნაში არიან წამყვანი თავდამსხმელები: **პაოლუჩი** და **მასკარა**. „კატანია" მიმდინარე სეზონს საკმაოდ კარგად ატარებს და წესით, ლიდერს ბრძოლა უნდა გაუმართოს.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართება „სან სიროზე", სადაც „მილანი" „ჯენოას" მიიღებს. შეგვიძლია ეს მატჩი ტურის ცენტრალურ პაექრობად მოვნათლოთ. ერთმანეთს ხომ სატურნირო ცხრილში მესამე და მეოთხე პოზიციაზე მყოფი გუნდები დაუპირისპირდებიან. გენუური გუნდი მიმდინარე სეზონს ბრწყინვალედ ატარებს და მეოთხე ადგილიც სრულიად დამსახურებულად უკავია. თუმცა, სანამ „ჯენოამდე" მივალთ, ორიოდე სიტყვა „მილანზე" ვთქვათ.

**კარლო ანჩელოტი** ტრადიციას არ უღალატებს და მეტოქეს 4-3-2-1 ტაქტიკას დაუპირისპირებს. თავდასხმაში **პატო** უკონკურენციოა, მის უკან კი **კაკა** და **რონალდინიო** გამაგრდებიან. გაუჩო სასტარტოში ბრუნდება და ამაზე იტალიური პრესა ეჭვის გარეშე წერს. ბრაზილიელი **კლარენს ზეედორფის** ადგილს დაიკავებს, ჰოლანდიელს კი სავარაუდოდ დასვენების საშუალება მიეცემა. ნახევარდაცვის ხაზი უცვლელია: **პირლო, ამბროზინი** და **ბექჰემი**. დევიდმა გასულ ტურში პირველი იტალიური გოლი გაიტანა და გაჩერებას არც სამომავლოდ აპირებს. ამას მოასწავებს მისი სიტყვებიც:

*„მეტოქე სერიოზული გვყავს და ეს ცხრილიდანაც ჩანს. ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და მორიგი სამი ქულა ავიღოთ. „სან სიროზე" თამაში დიდი ბედნიერებაა, ძალიან მინდა, რომ გოლი ამ არენაზეც გავიტანო. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ადაპტაციის პროცესს ასე მალე გავივლიდი. ანჩელოტი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში მაყენებს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ასეთ გუნდში სასტარტოში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა".*

კარლეტო დაცვის ხაზში ცვლილებას არ აპირებს. ამ რგოლში მას არც თუ დიდი არჩევანი აქვს. საერთოდაც, „მილანის" ლაზარეთი ჯერ კიდევ სავსეა. თავად განსაჯეთ, ტრავმირებულნი არიან: **მარკო ბორიელო, ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე, დანიელე ბონერას, ჯენარო გატუზო, ემერსონი**.

მრისხანე მეტოქეს პრობლემებით ხვდება „ჯენოა" და მისი მწვრთნელი **ჯან პიერო გასპერინი**. საქმე იმაშია, რომ მცირე ტრავმა აწუხებს გუნდის ლიდერ **დიეგო მილიტოს**. არგენტინელი განაცხადში აუცილებლად იქნება, თუმცა სავარაუდოდ მხოლოდ 45 წუთი შეძლებს ასპარეზობას. სასტარტოში იქნება **ოლივეირა, სკული** და **იანკოვიჩი**, სწორედ ამ ფეხბურთელებს დაეკისრებით „მილანის" კართან" ხიფათის შექმნა. გასპერინი ერთობ ოპტიმისტურად არის განწყობილი:

*„ჩვენს გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს, მათ შორის ისეთი გრანდის, როგორიც „მილანია". მეტოქე შეგვიტევს და ჩვენი უპირველესი მიზანი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა იქნება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტრშეტევაზე ვითამაშებთ და წინ არ წავალთ, პირიქით, შესაძლოა „მილანს" სიურპრიზიც კი შევთავაზოთ. მჯერა, რომ უქულოდ არ დავრჩებით და თუ ბედმა ინება, იქნებ გავიმარჯვოთ კიდეც"*, - გასპერინის საუბარი ორაზროვანი და დამაბნეველია, მაგრამ ერთი ფაქტია - მას გუნდის სჯერა.

საინტერესო მატჩი შედგება უდინეშიც. „ფრიულიზე" „უდინეზე" „იუვენტუსს" უმასპინძლებს და შეეცდება წარუმატებელ მატჩთა სერია შეწყვიტოს. თუმცა, ეს იოლი საქმე არ იქნება, რადგან **პასკუალე მარინოს** გუნდის მეტოქე თვით „ბებერი ქალბატონია". „უდინეზემ" პირველობა ძალიან კარგად დაიწყო, თუმცა შემდეგ რაღაც აირია მექანიზმში და გუნდი ლამის ცხრილის ფსკერზე დაეშვა. მარინომაც ტაქტიკა შეცვალა და ახლა ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშობს. „იუვეს" **ანტონიო დი ნატალეს** და **ფლორო ფლორესის** ტანდემი შეუტევს. სათადარიგო იქნება **ფაბიო კვალიარელა**, ვინაც ბოლო ხანს ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე.

პრობლემები აქვს **კლაუდიო რანიერისაც**, იგი გუნდის უდავო ლიდერს, **ალესანდრო დელ პიეროს** მოისაკლისებს. კაპიტანს მიკრო-ტრავმა აქვს და როგორც იტალიური პრესა იუწყება, მცირე ხანს უქმად მოუწევს ყოფნა. მის არყოფნაში სასტარტოში **სებასტიან ჯოვინკოს** უნდა ველოდეთ, ვინც შესანიშნავ ფორმაშია და შეეცდება ეს კიდევ ერთხელ დაგვანახვოს. ჯოვინკო **კარვალიო ამაურის** მხარდამხარ ითამაშებს, ბრაზილიელი კვლავ არ გამოიძახეს სელესაოში და როგორც ამბობენ, ამის გამო მეტად გაბრაზებული ყოფილა. კარვალიო საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას გაორმაგებული ენერგიით შეეცდება. რანიერი კიდევ ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებს, **კრისტიანო ძანეტის** ალბათ **სისოკო** შეცვლის - მოჰამედი წინა შეხვედრაში თავგამოჩენილი **მარკიზიოს** მხარდამხარ გაირჯება. უკანა ხაზში ძველი გვარდია ითამაშებს: **ლეგროტალიე, გრიგერა, მელბერგი** და **მოლინარო**. ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს და წესით, სანახაობრივი ფეხბურთი უნდა გაჩაღდეს.

სანახაობრივი თამაშები უნდა ვიხილოთ რომსა და ფლორენციაში, „რომა" „პალერმოს" დაუპირისპირდება, „ფიორენტინა" კი „ნაპოლის", **ლუჩანო სპალეტი** სიცილიელებს 4-3-2-1 ტაქტიკას დაუპირისპირებს. წესით, სასტარტოში უნდა ვიხილოთ **ფრანჩესკო ტოტი**, ვინც ტრავმისგან სრულად განიკურნა და სათამაშოდ მზად არის. კაპიტანი **ჟულიო ბაპტიშტას** მხარდამხარ ითამაშებს, მათ წინ კი **მირკო ვუჩინიჩი** იმოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს აპენინური პრესა და თუ ეს ვარაუდი გამართლდა, მართლაც უჩვეულო ფაქტის მომსწრენი გავხდებით - „რომა" სამი ნომინალური შემტევით იასპარეზებს. განაცხადში კვლავ არ იქნება **კრისტიან პანუჩი**, ვეტერანმა მცველმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და ალბათ მას ვეღარაფერი შეაჩერებს. პრობლემები აქვთ **ჩეზარე პრანდელისა** და მის „ფიორენტინას", დაშავებულია სამი წამყვანი ფეხბურთელი: **მუტუ, იორგენსენი** და **კუჟმანოვიჩი**, ეს უკანასკნელი მინიმუმ ათ დღეს დაისვენებს. „ვიოლა" ორი ფორვარდით შეუტევს, ძირითადში **ჯილარდინო** და **იოვეტიჩი** გაირჯებიან. ბოლოს ორიოდე სიტყვა „პალერმოზეც" ვთქვათ, კვლავ ტრავმირებულია **ფაბრიციო მიკოლი** და **ბალარდინი** იძულებულია ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდს დაეყრდნოს, ეს ერთადერთი და გამოკვეთილი აუცილებლად **ედისონ კავანი** იქნება. განაცხადში ნამდვილად მოხვდება **ლევან მჭედლიძე**, უფრო მეტს სამწუხაროდ ვერ დაგპირდებით.

**ლაშა წიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 20 | 14 | 4 | 2 | 34-15 | 46 |
| 2. იუვენტუსი | 20 | 13 | 4 | 3 | 33-14 | 43 |
| 3. მილანი | 20 | 12 | 4 | 4 | 35-21 | 40 |
| 4. ჯენოა | 20 | 9 | 6 | 4 | 30-18 | 36 |
| 5. ნაპოლი | 20 | 10 | 3 | 7 | 27-21 | 33 |
| 6. რომა | 20 | 10 | 3 | 7 | 29-25 | 33 |
| 7. ფიორენტინა | 20 | 10 | 2 | 8 | 26-18 | 32 |
| 8. პალერმო | 20 | 10 | 2 | 8 | 29-25 | 32 |
| 9. ლაციო | 20 | 9 | 4 | 7 | 31-29 | 31 |
| 10. კალიარი | 20 | 8 | 4 | 8 | 26-23 | 28 |
| 11. ატალანტა | 20 | 8 | 3 | 9 | 26-24 | 27 |
| 12. კატანია | 20 | 7 | 5 | 8 | 20-24 | 26 |
| 13. სიენა | 20 | 7 | 4 | 9 | 15-19 | 25 |
| 14. უდინეზე | 20 | 6 | 5 | 9 | 28-32 | 23 |
| 15. სამპდორია | 20 | 5 | 5 | 10 | 16-24 | 20 |
| 16. ბოლონია | 20 | 4 | 7 | 9 | 23-33 | 19 |
| 17. ლეჩე | 20 | 3 | 9 | 8 | 19-31 | 18 |
| 18. ტორინო | 20 | 4 | 4 | 12 | 21-36 | 16 |
| 19. კიევო | 20 | 4 | 4 | 12 | 13-28 | 16 |
| 20. რეჯინა | 20 | 3 | 4 | 13 | 17-38 | 13 |

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეალი

# რაული ისტორიულ მიჯნაზე

## გონსალეს ბლანკო მალე ლეგენდარულ დი სტეფანოს დაჩრდილავს

**რაული** მადრიდის „რეალის“ ისტორიის განუყოფელი ნაწილი დიდი ხნის წინ გახდა. გონსალეს ბლანკო სამეფო კლუბის მომდევნო თაობების გულშემატკივრებსაც ემახსოვრებათ. ამის მიზეზი ესპანური გრანდის კაპიტნის შთამბეჭდავი მიღწევებია. გასულ უქმეებზე რაულმა „დეპორტივოს“ თავური გოლი გაუტანა და მის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა. ის გოლი უშუალოდ მისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული გახლდათ. გონსალეს ბლანკოს სამეფო კლუბის თეთრი მაისურით უკვე 306 ბურთი აქვს შეგდებული. ლეგენდარულ ფეხბურთელს „დეპორტივოს“ კარის დალაშქვრით, კიდევ უფრო დიდი ლეგენდის **ალფრედო დი სტეფანოს** მაჩვენებლის გაუმჯობესების შესაძლებლობა გაუჩნდა. ვინც ამ მოახლოებული და გარდაუვალი მოვლენის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს, დაგვეთანხმება, რომ კაპიტანმა მადრიდული კარიერის განმავლობაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. დიადი არგენტინელის შედეგის გაუმჯობესება ხუმრობა ნამდვილად არ გახლავთ. ეს უკვე შეუქცევადი ისტორიული პროცესია, დიახ, მალე ახალი ისტორია დაიწერება, ისტორია, რომელსაც ველარაფერი შეარყევს. შეუძლებელია, რომ რაულმა კარიერის დასრულებამდე კიდევ ორი გოლის გატანა ვერ შეძლოს. როგორც კი ის მოწინააღმდეგეთა კარს ორჯერ დალაშქრავს, დი სტეფანოს მიღწევას გააუმჯობესებს და სამეფო კლუბის გულშემატკივრებს საუკუნოდ დაამახსოვრებს თავს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეს სრულიად შეუქცევადი პროცესია. ყველაფერი 1996 წელს დაიწყო. მადრიდის „რეალში“ ჩატარებული სადებიუტო შეხვედრის შემდეგ მას უამრავი რამ გადახდა თავს. მსოფლიო გრანდის სიმბოლოდ შერაცხული ფორვარდი მაშინ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მრავალწლიანი თავგანწირული თამაშის შემდეგ უკვდავი ლეგენდის, დონ ალფრედო დი სტეფანოს გვერდით დადგომას შეძლებდა. რაულისთვის ეს მართლაც წარმოუდგენელი გახლდათ. აი, როგორ აფასებს ის ამ სიტუაციას:

„თავი ზღაპარში მგონია. დაუჯერებელია, რომ ჩემი გვარი დონ ალფრედოსთან კონტექსტში ფიგურირებს. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, ნუთუ ეს სიმართლეა და დი სტეფანოს მიღწევას ვაუმჯობესებ-მეთქი. ცხოვრება მართლაც საოცრებაა. ბავშვობაში დი სტეფანო ჩემთვის ღმერთი და მიუწვდომელი ადამიანი იყო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამდენი წელია სამეფო კლუბში ვთამაშობ და მისი კაპიტანი ვარ, უკვე შემდგარი სასწაულია. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდეს ლეგენდასთან მიახლოვებაზე კი აღარაფერს ვამბობ. ამას, რა თქმა უნდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ან როგორ უნდა წარმომედგინა, მე ხომ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ამხელა პატივი მარგუნა“.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე რაულმა სხვა საინტერესო თემებზეც ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ის სამეფო კლუბი სიმბოლოა, უპირველესი მოწინააღმდეგის, „ბარსელონის“ სუპერვარსკვლავის **ლეო მესის** მისამართით კომპლიმენტების დახარჯვას სულაც არ თაკილობს:

„მგონი სადავო არ არის, რომ დღეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ლეო მესია. მისთვის შეუძლებელი თითქმის არაფერია. არგენტინელი ძალიან ნიჭიერია და არ შემიძლია, რომ მისი ფანტასტიკური თამაში არ გამოვყო. მესი ბურთით კი არ დარბის, დაფრინავს. მისთვის ორი, სამი, ოთხი და თუნდაც ხუთი მოწინააღმდეგის მოტყუება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. ერთი შეხედვით, ეს ძალიან იოლია, მაგრამ ნებისმიერი პროფესიონალი დამეთანხმება, რომ ასეთი დრიბლინგების შესრულება მხოლოდ ცალკეულ გენიოსებს ხელეწიფებათ. მერე რა, რომ მესი „ბარსელონის“ ფეხბურთელია. ამან სამართლიანობის შეგრძნება არ უნდა დაგვაკარგვინოს. ნიჭიერ ადამიანს პატივი უნდა ვცეთ. დარწმუნებული ვარ, მესი შემდგომ წლებში ბევრად უკეთ ითამაშებს და ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეხბურთელი გახდება“.

ბუნებრივია, პრესკონფერენცია უშუალოდ სამეფო კლუბის დღევანდელობაზე საუბრის გარეშე ვერ დამთავრდებოდა. კაპიტანმა საკმაოდ საინტერესო ანალიზი შემოგვთავაზა:

„სამწუხაროდ, „რეალში“ ახლა ინსტიტუციონალური კრიზისია. რამონ კალდერონის გადადგომის შემდეგ სიტუაცია ისევ დაძაბულია. ის, რომ პრიმერა დივიზიონის ლიდერს 12 ქულით ჩამოვრჩებით, თავისთავად სხვა სახის კრიზისზეც მეტყველებს. შესაძლოა, რომელიმე ჩვენგანმა თქვას, რომ ბოლო დროს სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. 12-ქულიანი ჰანდიკაპი პრაქტიკულად კატასტროფის ტოლფასია. არ მინდა, ფუჭი ილუზიებით გამოვიკვებო. რა თქმა უნდა, ბრძოლას იქამდე არ შევწყვეტთ, მანამ პირველობის მოპოვების თეორიული შანსი იარსებებს... მაგრამ, მოდით, გულწრფელად ვთქვათ, დღესდღეობით „ბარსელონა“ დაუმარცხებელი გუნდია. კატალონიელები ფანტასტიკურ ფორმაში არიან. დიდი ხანია ისეთი ლამაზი ფეხბურთი არ მინახავს, როგორსაც ისინი თამაშობენ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ მათ ჩამოვრჩებით, მაგრამ არ მინდა, რომ შურით და ბოღმით ავივსოთ. ადამიანის შრომა ყოველთვის უნდა დაფასდეს. სილამაზეს კი ტაში უნდა დავუკრათ. აუცილებელი არ არის, „კამპ ნოუზე“ მივიდე და კატალონიელებს მხურვალე აპლოდისმენტები მოვუწყო. მე სხვანაირადაც შემიძლია შთაბეჭდილებების გამოხატვა. მახსოვს, როცა „რეალი“ გენიალურ ფეხბურთს თამაშობდა, კარლეს პუიოლმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩვენი ყურება განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა. ისიც მახსოვს, „ბარსას“ კაპიტანი მაშინ გულსემატკივრებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, მაგრამ ისინი ფეხბურთს სულ სხვანაირად უყურებენ. პროფესიონალი კი იმიტომაა პროფესიონალი, რომ ლამაზი ფეხბურთი უყვარს და პატივს სცემს“.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ რაულს პრიმერა დივიზიონზე ფაქტობრივად ხელი აქვს ჩაქნეული. სამაგიეროდ, ის ჩემპიონთა ლიგას უდიდეს იმედს უკავშირებს:

„პრიმერასგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგაში აბსოლუტურად ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ყველა პირობა უნდა შევქმნათ იმისთვის, რომ წელს ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტული მეათედ მოვიპოვოთ. ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე, პირველი ნაბიჯი „ლივერპულის“ დამარცხებით უნდა გადავდგათ. მართალია, მერვედფინალამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ცალი თვალით ყოველი ჩვენგანი მაინც „ლივერპულისკენ“ იყურება. უბრალოდ, ვალდებული ვართ, რომ გავიმარჯვოთ და მეოთხედფინალში გავიდეთ. დიდი ხანია ეს დაწყევლილი ზღვარი აღარ გადაგვილახავს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბოლოდროინდელი ავბედითი ტრადიცია დავამსხვრიოთ და ჩვენს გულებში ბედნიერება დავაბრუნოთ. ძალიან კარგად მესმის, რომ „ლივერპულის“ სახით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი შეგვხვდა. რაფა ბენიტესმა ჩვენ შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იცის, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხუანდე რამოსს ინგლისში მუშაობის გამოცდილება აქვს. ჩვენს მწვრთნელს მერვედფინალთან დაკავშირებით რამდენჯერმე ველაპარაკე და უნდა გითხრათ, რომ მისი ხედვით და ცოდნით აღფრთოვანებული დავრჩი. მოკლედ, „რეალს“ კარგი შანსი აქვს და ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოიყენოს“.

ხეტაფე

# კალდერონისა და მიატოვიჩის წინააღმდეგ

## გენერალურ დირექტორს სინდისი რომ ჰქონდეს, თანამდებობიდან გადადგებოდაო

„ხეტაფეს“ პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა** წუხელ „რადიო ონდა სეროს“ სკანდალური ინტერვიუ მისცა. მადრიდული კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა თავს სამეფო კლუბსა და დირექტორატში შექმნილ სიტუაციაზე საუბრის უფლება მისცა. ეს თემა ტაბუდადებული სულაც არ არის, მაგრამ მაინც უჩვეულოა, როცა სხვა გუნდის წარმომადგენელი ხმამაღლა, მთელი საფეხბურთო სამყაროს გასაგონად გაკრიტიკებს. სენიორ ტორესმა **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** მიწასთან გაასწორა:

„როცა კალდერონმა ბერნდ შუსტერი მოგვპარა და უსინდისოდ წაიყვანა, იმავე დღეს ვთქვი, „რეალს“ ეს თავხედობა ძალიან ძვირად დაუჯდება-მეთქი. ჩემი სიტყვები გამართლდა. სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგება გამორიცხულია. ასეთი ცხოვრება სიკეთეს არავის მოუტანს. ყველამ იცის, რომ ჩვენ შუსტერის გაშვება არ გვინდოდა, მაგრამ კალდერონმა და მიატოვიჩმა გერმანელთან მოლაპარაკებები „ხეტაფეს“ გვერდის ავლით დაიწყეს და ამით მიღებული მორალური ნორმები დაალვიეს. სხვათა შორის, მათ ბერნდიც მოატყუეს, ანხელ ტორესი საქმის კურსშიაო. არადა, მე არ ვიცოდი, რომ მას ჩუმად ხვდებოდნენ. შუსტერი უჩვეულო ხასიათის კაცია, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს და ჩემთან დასალაპარაკებლად მხოლოდ მას შემდეგ მოვიდა, რაც სამეფო კლუბთან ყველაფერი გარკვეული ჰქონდა. მე მის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება. შუსტერმა მართლა დაიჯერა, რომ მე ყველაფერი ვიცოდი. კოლეგებმა შანსი არ დაგვიტოვეს და ბოლოს მწვრთნელის წასვლას დავთანხმდით, თუმცა ბერნდს წასვლის წინ ვუთხარი, არ გაშინებ, მაგრამ ის ხალხი შენ სიკეთეს არ მოგიტანს-მეთქი. ვიცოდი, მასაც ისე მოექცეოდნენ, როგორც კაპელოს მოექცნენ. კაცმა ჩემპიონობა მოაპოვებინა, მაგრამ მაინც გააგდეს. ხომ ხედავთ, შუსტერიც ისე მოიშორეს თავიდან, თითქოს ქუჩიდან მისული ავანტიურისტი ყოფილიყო. ძალადობით სამართალი არ იქმნება. კალდერონმა კარიერა ლოგიკურად დაასრულა, მან თაღლითობით ბევრი ადამიანი გააბრაზა, მაგრამ ბოლოს რქები წაიმტვრია და კლუბი შერცხვენილმა დატოვა. ძალიან მიკვირს, პრედრაგ მიატოვიჩი რატომ არ მიდის. ის ხომ კალდერონმა მიიყვანა. გენერალურ დირექტორს ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, თუმცა მიატოვიჩი ამ ჭეშმარიტებას არ აღიარებს და თანამდებობაზე რჩება. თუ ადამიანს თავმოყვარეობა არ აქვს, ის კარგ საქმეს ვერ გააკეთებს. ასამბლეაზე სამარცხვინო ფაქტი მოხდა. მიატოვიჩს სინდისი რომ ჰქონდეს, მხოლოდ ამის გამო უნდა გადადგეს. მით უმეტეს, სკანდალურ ასამბლეას პრეზიდენტი შეეწირა“.



მართლაც გასაკვირია, რატომ აძლევს „ხეტაფეს“ პრეზიდენტი თავს იმის უფლებას, რომ ვინმეს მორალი უკითხოს და ჭკუა დაარიგოს. შესაძლოა, ეს ფაქტი იმით იყოს განპირობებული, რომ ანხელ ტორესი ორი წლის წინ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის სავარძლისთვის იბრძოდა. კურიოზულია, მაგრამ „ხეტაფეს“ პრეზიდენტი მზად იყო კლუბი დაეტოვებინა და სხვა გუნდის უმაღლესი ხელისუფალი გამხდარიყო. სენიორ ტორესს ჯიბეში სამეფო კლუბის სოსიოს მოწმობაც უდევს. ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა, შე დალოცვილო, თუ „რეალის“ დიდი ოჯახის წევრი ხარ, მაშინ სხვა გუნდს რატომ თავკაცობ, ხოლო თუ სხვა კლუბის პრეზიდენტი ხარ, მაშინ კეთილი ინებე და კოლეგებზე საუბრისას ენას კბილი დააჭირე. ძნელი სათქმელია, ანხელ ტორესს **პრედრაგ მიატოვიჩისთვის** მორალის კითხვის უფლება ვინ მისცა.

ესპანიოლი

# კრესპომ მონჟუიკზე თამაში არ ისურვა

## კატალონიელები ცაიტნოტში არიან

„ესპანიოლი“ უმწვავეს პრობლემებს ებრძვის. თითქოს, **მაურისიო პოჩეტინოს** მისვლამ კატალონიელებს კარგი სამსახური გაუწია, მაგრამ საქმეს ეს არ ჰყოფნის. გუნდი სერიოზულ კრიზისშია და პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე იმყოფება. კლუბის ხელმძღვანელობამ საგანგებო სხდომა გამართა და სასწრაფო ტრანსფერებზე იმსჯელა. პრეზიდენტმა **სანჩეს ლიბრემ** დღის წესრიგში **ერნან კრესპოს** შეძენის საკითხი დააყენა. პრეზიდენტის ინიციატივას დირექტორატი მოწონებით შეხვდა. კრების დასრულებისთანავე „ესპანიოლის“ ემისარი მილანს გაემგზავრა და კრესპოსთან მოლაპარაკება გამართა, მაგრამ ვიზიტი წარუმატებლად დასრულდა. არგენტინელმა ფორვარდმა კატალონიაში წასვლა არ ისურვა. ამით შეწუხებული სანჩეს ლიბრე პოჩეტინოსთან კონსულტაციების გავლასა და სხვა ფორვარდის შეძენისთვის ბრძოლის დაწყებას აპირებს. პრეზიდენტმა უნდა იჩქაროს, თორემ იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა.

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**



# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




(გაგრძელება)

1 აპრილს, საფრანგეთსა და ბრაზილიას შორის ამხანაგური მატჩი ჩვენი პრესტიჟისთვის უდიდეს გამოცდად იქცევა. პირველად ვხვდები **ზიკოს**, რომელსაც ხმამაღლა უწოდებენ ახალ **პელეს**. გარდაუვალია ისიც, რომ მე და მას ერთმანეთს გვადარებენ, მით უმეტეს, რომ მან ბოლომდე აითვისა საჯარიმო დარტყმების შესრულების ხელოვნება. რიოში მისი კლუბის - „ფლამენგოს“ ყველა ვარჯიში აუცილებლად 25 მეტრიდან კარში ზუსტი დარტყმების სეანსით მთავრდება, რაშიც ის, უდავოდ განუმეორებელი სპეციალისტია. ყოველ ჯერზე, ზიკოს წინ ბორბლებიან ხელოვნურ კედელს უყენებდნენ. ის ტერფის შიდა მხრიდან ასრულებს დარტყმას და ბურთს ცხრიანში ისე იოლად ათავსებს, თითქოს ბურთი მისი მსახური იყოს.

ხოლო იმის გამო, რომ „ნანსიში“ მანეკენებთან მეც მსგავსი ვარჯიშებით ვარ დაკავებული, გაზეთებში სულ უფრო ხშირად ჩნდება დიდი სათაურები: „ვინ ვის ჰბაძავს?“

მე მგონი, ამ კითხვას ასეთი პასუხი აქვს: არავინ არავის.

პირადად მე, ბრაზილიის ახალ ნაკრებზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ იქ **ზიკო და რიველინო** თამაშობენ. ყველაფრის მიუხედავად, ეს ბრაზილიის ნაკრები არ არის. იმის მიხედვით, რასაც მამა მიყვებოდა (1958 წელს სულ სამი წლის ვიყავი), ეს არ არის პელეს, **დიდის, ვავას, ზაგალოს** გუნდი. მაგრამ დღევანდელი ნაკრები დიდად არ განსხვავდება იმისგან, რომელთანაც გასულ წელს, რიო დე ჟანეიროში „მარაკანას“ მაგიურ სტადიონზე საპატიო ფრე (2:2) ვითამაშეთ. ბრწყინვალე შთაბეჭდილება ოდნავ გააუფერულა მათი მწვრთნელის **კლაუდიო კუტინიოს** ზიზღნარევმა შენიშვნამ: *„მათთან ჩატარებულ ათ შეხვედრაში ბრაზილია ცხრას მოიგებს და მეათეს აუცილებლად ფრედ დაასრულებს“.*

არ მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ლანძღვისთვის ილანძღებიან. მუხლების კანკალის გარეშე ველოდები კუტინიოს გუნდთან თამაშს.

საფრანგეთი-ბრაზილიის მატჩზე იმდენივე ხალხი შეიკრიბა, რამდენიც ბულგარეთთან იმ ცნობილი შეხვედრის დროს, თუმცა დღეს მხოლოდ პრესტიჟის გამოა პაექრობა.

როგორც ვარაუდობდნენ, ბრაზილიის ნაკრები არ აღმოჩნდა იმ საფეხბურთო არტისტების გუნდი, რომელიც მუდმივ აღფრთოვანებას იწვევდა მთელ მსოფლიოში. ამჯერად, თამაშის დროს ეს გუნდი ძირითადად მხრებსა და კუნთებს იყენებს, მაგრამ მე ვაიძულე ამ გუნდის ფეხბურთელები გაზონთან „ეთამაშათ მხრებით“. **გიიო**, რომელიც ნამდვილ ნოსტალგიას განიცდის პელესთან ცხარე დაპირისპირებებისა და ამ ჯადოქრის შეუდარებელი დარტყმების გამო, სავსებით დაკმაყოფილდა მინდორზე არშემდგარი ბრაზილიური სამბას გამო. გასახდელში მან მადლობა გადამიხადა...

ამასობაში, საფეხბურთო მოედნის მიღმა დაიწყო არგენტინული ჩემპიონატის ბოიკოტირების კამპანია. ადამიანის უფლებათა დამცველი **სიმონა სინიორე** სათავეში უდგება ამ ფართო ეროვნულ კამპანიას, რომლის მიზანია - ქვეყნის გენერლების პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტი, რის გამოც მრავალი ათასი ადამიანი უკვალოდ გაქრა. **მორის კლაველთან** და ისტორიკოს **კლოდ მანსერონთან** ერთად, ის ჩვენთვის ჰუმანიზმის გაკვეთილის ჩატარებას ცდილობს.



უნდა ითქვას, რომ სიმონა სინიორე ფეხბურთით პირველად დაინტერესდა, სავარაუდოდ, ცხოვრებისადმი თავისი უშრეტი სიყვარულიდან გამომდინარე.

მაგრამ მისი მისწრაფება, როგორი ჰუმანურიც უნდა იყოს ის, არასაკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ უკან დავიხიოთ. მით უმეტეს, რომ ჩვენზე განხორციელებული ზეწოლა მეტად არასასიამოვნო ელფერს იღებს. გაისმის ანონიმური სატელეფონო ზარები, მოგვდის მუქარის წერილები. ჩვენი მწვრთნელის, **მიშელ იდალგოს** მოტაცებაც კი სცადეს. ეს მოხდა მწვრთნელის სახლთან ახლოს, ჟირონდას დეპარტამენტში, სენტ-სავენის ტრასაზე. იდალგოს ჩხუბში ჩართვა, დამნაშავისთვის პისტოლეტის (ტყვიების გარეშე) წართმევამ და ჟანდარმერიაში ჩივილმა მოუწია.

ასე რომ, საბოლოო ჯამში, „ინტელექტუალურმა ტერორიზმმა“ შეიძლება ველურ მოქმედებამდე მიგვიყვანოს. ამ ყველაფრის წინააღმდეგ, რომანისტმა და სპორტში დიდად გარკვეულმა **გი ლაგორსმა** (წარსულში საფრანგეთის ჩემპიონი მძლეოსნობაში) გაზეთ „ფიგაროში“ სტატია გამოაქვეყნა - „ინტელექტუალები ქაცვებიან ბუცებში“.

ლაგორსი მახვილი კალმით გამოირჩევა და მისი სტატია ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, სიამოვნების მომგვრელია: *„რა იცის მუსიე კლაველმა ბატენეის ან მადამ სინიორემ პლატინის შესახებ? როდიდან დაინტერესდნენ ისინი ამ ადამიანებით? რა იციან მათი ცხოვრების, მსოფლმხედველობის, იმედების და რისკიანი ხელობის შესახებ? ან მათ პოპულარობაზე, რომელიც ერთი ჭიქა ვისკის დალევის უფლებას არ იძლევა? ან უძილო ღამეების შემდეგ იმ განთიადზე, როცა საკუთარ თავს უნდა დააძალონ და ვარჯიშზე წავიდნენ? არადა ამ დროს, ვარჯიშზე წასვლის შესახებ ერთი გაფიქრებაც კი გულის რევის შეგრძნებას იწვევს. მათ არაფერი იციან.*

*იოლია უარი თქვა იმაზე, რაც შენთვის ძვირფასი არ არის. ბრმები, როგორც წესი, თავს იკავებენ ფერწერაზე დისკუსიისგან. მე პატივისცემით ვარ გამსჭვალული იმათი დემარშის მიმართ, ვინც თავისი პროფესიიდან ან პირადი მიზეზებიდან გამომდინარე არ მიდის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაგრამ პირიქით ვარ განწყობილი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში არ წავლენ იქ, რადგან არ იციან, რა არის სპორტული მანიფესტაცია და მის მიმართ ზიზღით არიან განწყობილნი.*

*მაშინ სადღა უნდა წავიდეთ სათამაშოდ, ძვირფასო მეგობრებო? თქვენი აზრით, არ შეიძლება არც არგენტინაში, არც ბრაზილიაში, არც ჩეხოსლოვაკიაში, არც ინგლისში (იქ ხომ ირლანდიელებს ესვრიან), არც საფრანგეთში (იქ „შავებს“ უკან, აფრიკაში აბრუნებენ), არც ჩილეში, არც ჩრდილოეთ კორეაში, არც გდრ-ში, არც ზაირში, არც უგანდაში, არც კუბაში წასვლა... გავაგრძელო? არა? მაშინ სად? სპორტსმენებს უნდა ვაცალოთ. ინტელექტუალებმა კი თავი გაანებონ მათ ტერორიზებას. ფეხბურთელები არც ასეთ პატივს იმსახურებენ და არც შეურაცხყოფას...“*

მე ჯერ კიდევ გონებაში ამ სტატიას ვკითხულობ, რომ უცებ „კონკორდი“ სვლას ანელებს და აერომუხრუჭების მკვეთრი ხმაური გაისმის.

ქვემოთ ჯერ კიდევ აფრიკაა...

მოჩანს მწვანე კონცხის კუნძულები. აი, დაკარი - ეს ტროპიკული ოაზისი.

დაშვება უპრობლემოდ განხორციელდა. როცა „კონკორდი“ აეროპორტის გვერდით თავის სადგომს მიუახლოვდა, იქვე შეკრებილმა ზღვა ხალხმა ქვირილი და ტაშის ცემა ატეხა.

ბრბო სიხარულისგან არის მთვრალი და თავის გმირებს ესალმება.

ეს ჯგუფი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ეჭვი მიჩნდება - ღირს თუ არა თვითმფრინავიდან გამოსვლა. ბრბო ყოველთვის შიშს იწვევდა ჩემში. და მე გადაწყვეტილება მივიღე: „კონკორდიდან“ არ გავალ. დავიძინე. ერთი საათის შემდეგ ძრავების ხმამ გამაღვიძა. მესმის ერთმანეთში ირონიული გადაძახილები: თურმე ჩემი აეროპორტში არყოფნა ცუდ ტონად ჩაუთვლიათ. მე გამაკრიტიკეს. თანაც მკაცრად.

ეს ჩემი პირველი შეცდომაა. დებიუტანტის დიპლომატიური შეცდომა.

## ბუენოს აირესში თანაცხოვრება

ბუენოს აირესში დავეშვით. ყველაფერ ცუდისთვის მზად ვიყავი, პირველ რიგში, პოლიციელების მოსალოდნელი სიმრავლე მთრგუნავდა. მაგრამ მებაჟეებმა და აეროპორტ „ესეისის“ სხვა თანამშრომლებმა გულთბილად მიგვიღეს. მაშინვე გულზე მომეშვა. აეროპორტში ბევრი ხალხი გვხვდება...

შემდეგ ჩვენი ავტობუსი კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელების ესკორტით იმ რეზიდენციისკენ მიდის, სადაც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ.



პირველი შთაბეჭდილება: ბუენოს აირესში არ არის საგანგებო მდგომარეობა. მძღოლს ავტობუსი ხალხით სავსე კვარტალებში მიჰყავს, სადაც ღარიბების მფარველის **ევიტა პერონის** გამაბრუებელი სუნამოს სურნელი იგრძნობა. ერთი საათის შემდეგ, პირქუში შენობის ავტოსადგომს მივადექით, რომელიც უნივერსიტეტის ცენტრს მოგვაგონებს. მას თურმე „ინდიელთა კლუბი“ ჰქვია. გავიარეთ ჰოლი, სადაც ერთი ადამიანიც არ შეგვხვედრია და მწვანე მინდორზე გავედით - ეს არის საფეხბურთო მოედანი გარშემო სარბენი ბილიკებით.

ჩვენი ნომრები ზემოთაა. **დომინიკ ბატენეისთან** ერთად დავსახლდი. მაგრამ აქ მხოლოდ საფრანგეთის ნაკრები არ დაბანაკებულა. მეზობელ შენობაში იტალიის ნაკრები სახლობს - ჩემპიონატში ჩვენი პირველი მოწინააღმდეგე. როგორც იტყვიან, იძულებით თანაცხოვრებასთან გვაქვს საქმე.

მომდევნო დღეს, ერთმანეთში თერთმეტი თერთმეტზე თამაში მოვაწყვეთ. შესანიშნავი ამინდია. ისე ვთამაშობთ, თითქოს ეს საჩვენებელი მატჩი იყოს. იტალიელები, თავიანთ ლურჯ სპორტულ კოსტიუმებში ან გამოსასვლელ ქურთუკებში ელეგანტურად გამოწყობილები, შემთხვევას არ უშვებენ, რომ რაიმე არ ისწავლონ. თითქოს გულგრილი გამომეტყველებით დადიან და სინამდვილეში, ყველაფერს გულდასმით აკვირდებიან, რაც კი მინდორზე ხდება, აღნიშნავენ ჩვენს მეგობრულ, მაგრამ ამავდროულად, საკმაოდ ენერგიული დარტყმების გაცვლა-გამოცვლას.

ასე გადის ერთი კვირა. ჩვენ მათ ყოველდღე ვხვდებით, მაგრამ ურთიერთობა არ გვაქვს. პირველი ნაბიჯი **დინო ძოფმა** გადადგა. ფრანგი ჟურნალისტები გარს შემოერტყნენ მეკარეს და „ნაპოლის“ წარუმატებლობაზე ეკითხებიან. მას მეტად უტაქტოდ ახსენებენ იმ კოშმარზე, როცა ჩემი ორი საჯარიმოთი ორი გოლი გავიდა. დინო მშვიდად და თავშეკავებულად პასუხობს, თუმცა კომპლიმენტის თქმა მაინც გაუჭირდა: *„პლატინი ძალიან ძლიერია. ბონჰოფზე, ანტონიონიზე და თვით კორსოზე უკეთესია. ჯარიმის შესრულებისას უძლიერესი დარტყმა აქვს“.*

მე მას იქვე მდგარი მიკროფონით ვუხდი მადლობას.

ძალიან მალე მყარდება კონტაქტი **ტარდელისთან** - ჩემს მომავალ მეურვესთან. ჩვენ დავთქვით თარილი, როცა ერთმანეთს მაისურებს გავუცვლით. გარდა ამისა, დამატებით ის „იუვენტუსის“ მაისურის ჩუქებასაც დამპირდა. კეთილი ნიშანია...

იტალიელები სრულიად უზრუნველი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. შეიძლება ზედმეტადაც კი.

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი



კახა ბერიძის ფოტო

# ძმადნაფიცნი...

დღე არ გაივლის, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში რაიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ არ მიიპყროს ყურადღება - ზოგი საჯაროა, ზოგიც სამსახურებრივი, მაგრამ ერთ მიზანს - ქართული ოლიმპიური მოძრაობის ალმავლობას და განმტკიცებას ემსახურება.

გუშინ სეოკ-ში „მეცენატთა დარბაზის" წევრებთან შეხვედრის დღე იყო. სეოკ-ის ხელმძღვანელებისა და დარბაზის წევრთა ძალა და ავტორიტეტი ქართული სპორტის სასიკეთოდ თანხვედრ გარჯაშია, ანუ ამიერიდან ქართველ ოლიმპიელთა წარმატებებში ლომის წილს "მეცენატთა დარბაზის" პატრიოტული ჯგუფიც დაიდებს. დიახ, სიტყვა პატრიოტული შემთხვევით არ გვიხსენებია. **თემურ ჭყონია, გიგი ლლონტი, მანუჩარ ახალაია, გიორგი რამიშვილი, ზაზა რაზიკაშვილი, პაატა კურტანიძე, მიხო სვიმონიშვილი, გელა მიქაძე, ვალერი კონიავსკი, ზაზა ქათამაძე** ქართული ბიზნესის ის წარმომადგენლები არიან, თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად, მიზნად რომ დაისახეს საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას შეეხიდონ და ერთად გასწიონ ქართული სპორტის ჭაპანი. სეოკ-ის წლევანდელ ბიუჯეტში მათი წვლილი მილიონი ლარი იქნება. აი, რა არის მთავარი.

გუშინვე, სეოკ-ის საკონფერენციო დარბაზში „მეცენატთა დარბაზის" წევრები მასმედიის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ და საჯაროდ დააფიქსირეს თავიანთი კეთილშობილური ვალდებულება. ფაქტობრივად, სეოკი და "მეცენატთა დარბაზის" წევრები ძმადნაფიცებად იქცნენ...

**თემურ ჭყონია,** კომპანია „კოკა-კოლის" პრეზიდენტი: - ოლიმპიური ციკლი 4-წლიანია. კარგია, რომ სეოკ-თან თანამშრომლობას დროულად ვიწყებთ. დრო კი მაღალკვალიფიციური ათლეტების მომზადებაში გადამწყვეტია. ჩვენი და სეოკ-ის ურთიერთობა შემოქმედებითი იქნება, რაც თანამშრომლების დახვეწასაც გულისხმობს.

**ზაზა რაზიკაშვილი,** კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტი: - პეკინში საკუთარი თვალით ვნახე, რამდენი ძალისხმევაა საჭირო წარმატების მისაღწევად. ჩვენ შევეცდებით, მყარი საფუძველი შევუქმნათ ქართველ ოლიმპიელებს წარმატებული გამოსვლებისთვის.

**გიორგი რამიშვილი,** „ბი თი ეი" ბანკის დამფუძნებელი - დარბაზის წევრები თავს მოვალედ მივიჩნევთ, მხარში დავუდგეთ ქართულ სპორტს. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი რიგები გაიზრდება. რაც მეტი ვიქნებით, მით უფრო გაძლიერდება ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში, რომლის წარმომადგენელთა მიღწევებით ღირსეულად ამაყობს ჩვენი ხალხი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ჭიდაობა

# ბიჭები მწყობრში რჩებიან



მარცხნიდან: ოთარ თუშიშვილი, ნუგზარ სხირელი, გიორგი გოგშელიძე და ბესიკ გოჩაშვილი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულ ჩემპიონატზე, რომელიც **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის სპორტულ დარბაზში გაიმართა, რამდენიმე სახელოვანი ფალავანი ვერ ვიხილეთ ხალიჩაზე, მათ შორის გორელები - **ნუგზარ სხირელის** შეგირდები: პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები - **გიორგი გოგშელიძე** (90) და **ოთარ თუშიშვილი** (66), ასევე, ამავე თამაშების მონაწილე **ბესიკ გოჩაშვილი** (55). ისინი ტრიბუნიდან უყურებდნენ ორთაბრძოლებს.

- შარშან წლის მიწურულს ერთ მეტოქეს ინდოეთში ვეჭიდავე, მეორეს - თეირანში ირანის კლუბების ჩემპიონატზე და ორივეს მოვუგე, - მითხრა გიორგი გოგშელიძემ. - „ნეფტის" სპორტულ ღირსებას ვიცავ. იანვარშიც ერთი ორთაბრძოლა გავმართე და ისევ ქულით შევეწიე კლუბს. კიდევ სამი შეხვედრა დამრჩა ჩასატარებელი. ჩემი გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის. გადაფრენ-გადმოფრენაში სათანადოდ ვერ მოვემზადე და ეროვნულ ჩემპიონატშიც ვერ ვიასპარეზე. ამიტომ, ალბათ, ვილნიუსში ევროპის პირველობაზეც ვერ გავემგზავრები. სამაგიეროდ, სხვა ტურნირებზე ვეცდები ნაკრებში კვლავ დავიბევო ადგილი და სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვიდე, რომელსაც დანია უმასპინძლებს.

- მე და ოთარი თურქეთში ვიყავით, - ჩაერია საუბარში ბესიკ გოჩაშვილი. - „ამასიაშაქარსპორტის" შემადგენლობაში თურქეთის გუნდურ ჩემპიონატში გამოვედით. წინასწარი შეხვედრების შემდეგ პირველობას 10 გუნდი შემორჩა, რომელიც ორ ჯგუფად გაიყო. ორთაბრძოლები წრიული სისტემით გაიმართა. ოთხი პაექრობიდან ყველა მოვიგე. ამასიელები ნახევარფინალში გავიდნენ. 2 მაისს ორ შეხვედრას გავმართავთ. იმ დღესვე გამოვლინდებიან ჩემპიონიც და პრიზიორებიც.

**ოთარ თუშიშვილი:**- ბესოსგან განსხვავებით, მე სათანადოდ ვერ შევეწიე მეშაქრეთა გუნდს, რადგან პირველსავე ტურში ევროპის ჩემპიონ ალბერტ ბატიროვთან ჭიდაობისას ტრავმა მივიღე და ხალიჩაზე გასვლა ვერ მოვახერხე.

**- ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვით?**

**ოთარ თუშიშვილი:** სასიამოვნოა, რომ გორელებმა დაბალ წონებში ჩემპიონობა შევინარჩუნეთ. ძალიან მომეწონა 66 კილოში მალხაზ მუზიაშვილი, რომელმაც კარგად იჭიდავა და გაიმარჯვა. ისიც ჩვენი სკოლის აღზრდილია. ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად, ალბათ, მასთან მომიწევს პაექრობა.

**ბესიკ გოჩაშვილი:** - ჩემს წონაში კარგი ბიჭი იზრდება - ლადო ხინჩეგაშვილი. ასე მგონია, ეროვნული ჩემპიონატი ერთი ამოსუნთქვით მოიგო. ეს უფროსებში მისი პირველი ჯილდოა, შარშან კი ევროპელ თანატოლებს აჯობა (ჭაბუკებსაც და ახალგაზრდებსაც), მსოფლიოს პირველობაზე კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. დარწმუნებული ვარ, იგი წლეულსაც გვასახელებს. რაც შემეხება მე, მონდომებით ვვარჯიშობ და შარშანდელი დანაკლისი 2009 წლის შეჯიბრებებში მინდა ავინაზღაურო.

**ნუგზარ სხირელი:** - მჯერა ჩემი შეგირდების. ისინი მწყობრში რჩებიან, რათა ახალ სეზონშიც გამარჯვებებით გვასახელონ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ძიუდო. ახალი თაობა

ინტერვიუ ვარლამ ლიპარტელიანთან

# ჩემპიონი ცვლილებებს იოლად ეგუება

ოვაციამ ტალღასავით გადაურბინა ტრიბუნებს. ფეხზე მდგარი თვალცრემლიანი გულშემატკივრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ გამარჯვებას ახალგაზრდა ფალავნისა, რომელიც სახეგაბადრული იდგა ტატამზე და მადლობის ნიშნად ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა ქომაგებს - 19 წლის ვარლამ ლიპარტელიანი გასულ კვირას თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა.

**ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უფროსებთან ჭიდაობას უკვე შეეჩვია. შარშან ამ დროს თბილისის ტურნირზე პირველად მოსინჯა ძალები. კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მისი ლტოლვა მაშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა ჩააცხრო - ნახევარფინალში სძლია, თუმცა ვარლამმა ბრინჯაოსთვის პაექრობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს და ევროპის პირველობების გამარჯვებულ ლატვიელ ბოროდავკოს აჯობა. მერე თავადაც გახდა მსგავსი ტიტულების მფლობელი, თანაც ტაილანდში მსოფლიოს პირველობაზე ხუთიდან ოთხი შეხვედრა იპონით მოიგო, ერთიც - ორი ვაზარით, ჩემპიონობის მოსაპოვებლად სულ ათ წუთზე ნაკლები დასჭირდა.**

- ტაილანდიდან დაბრუნების შემდეგ ვარჯიში არ შემიწყვეტია, - მითხრა **ვარლამ ლიპარტელიანმა,** რომელიც გუშინ რედაქციაში გვეწვია. - უფრო ფიზიკურ მომზადებას ვაქცევდი ყურადღებას. დავდიოდი ცურვაზე, კოორდინაციისთვის ბატუტზე ხტომასაც შევეჩვიე. დეკემბრის მიწურულს 12-დღიან საწვრთნელ შეკრებაზე ბორჯომს გავემგზავრე. თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი, მწვრთნელების ყველა მითითებას ვასრულებდი, რადგან ძალიან მინდოდა, თბილისის ტურნირზე წარმატებისთვის მიმეღწია.

**- ახალ წელს როგორ შეხვდი?**

- ჩემს დებთან ერთად სამი დღით გუდაურში ვიყავი. ძალიან მიყვარს თხილამურებით სრიალი. ახალ წელსაც თხილამურებზე შევხვდი - გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა და ოთახში რა გამაჩერებდა.

**- ვიცი, რომ ნაახალწლევს თურქეთში იასპარეზე...**

- დიახ. „ისტამბულის" კლუბის წევრი ვარ და ლევან რაზმაძესთან ერთად თურქეთის გუნდურ ჩემპიონატში ვიჭიდავე. სუსტი მეტოქეები შემხვდა - ყველას იპონით მოვუგე, თუმცა ამ ტურნირს საშეჯიბრო სტარტებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ საწვრთნელ შეკრებაზე ეროვნული ნაკრების წევრებს შევუერთდი.

**- თბილისის მსოფლიოს თასიც საკმაოდ იოლად მოიგე.**

- მთლად ასე არ არის: პირველი მეტოქე რუს სამირ გუჩაპშევი საკმაოდ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა - დამატებით დროში მხოლოდ გაფრთხილებებით ვძლიე. აზერბაიჯანელ თურალ საფგულიევს ვაზარითა და იუკოთი ვაჯობე, ხოლო ნახევარფინალში თანაგუნდელი გიორგი მამრიკიშვილი შებოჭვით დავამარცხე. ფინალში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის პრიზიორ ანდრეი კაზუსიონაკს დავუპირისპირდი. ბელარუს მეტოქეს შარშან რიგის კომერციულ ტურნირზე წუთ-ნახევარში შებოჭვით ვაჯობე. ახლაც მის დასამარცხებლად ზუსტად იგივე დრო დამჭირდა. ზურგს უკან გდებას რომ მიპირებდა, კონტრილეთით გამოვიჭირე - ვაზარი ავართვი და შევბოჭე კიდეც. გამარჯვებამ ძალიან გამახარა, თუნდაც იმიტომ, რომ გზა გამეხსნა ეროვნული ნაკრებისკენ. ერთი კვირის შემდეგ პარიზის ტურნირზე ვიასპარეზებ. მწვრთნელებს, რომელთა დიდი მადლობელი ვარ, ვეცდები, იმედები არ გავუცრუო.

**- ძიუდოს ახალ წესებზე რას იტყვი?**

- ცვლილებებს ჩემზე დიდად არ უმოქმედია, რადგან მე ჭიდაობის სხვა სტილი მაქვს. შარვალში ხელის ჩავლებით ფანდის ჩატარება ჩემთვის არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი. ასე რომ, ახალ წესებს იოლად ვეგუები.

ჭიდაობისას ხშირად ვრეაგირებდი მწვრთნელთა შეძახილსა თუ შენიშვნებზე. თუმცა ტატამზე გასვლისას სპორტსმენი მაინც საკუთარ ოსტატობაზეა დამოკიდებული, ამიტომ ასპარეზობისას უმწვრთნელობასაც ავიტან. აი, გულშემატკივარი კი სულ სხვაა. მაყურებლების დიდი მადლობელი ვარ, რადგან ჩემზე დადებითად მოქმედებს მათი მხარდაჭერა. თბილისის ტურნირზეც ასე იყო.

ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ეროვნულ ნაკრებში ადგილი განვიმტკიცო და აპრილში ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს, ქართველი ქომაგები კვლავ გავახარო.

**ვაჟა დანელია**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# დიდოსტატობისკენ ნაბიჯი გურამიშვილმაც გადადგა

მეათე ტური. ქალები: სალომე მელია - მარიამ დანელია - 1:0; მერი არაბიძე - სოფიკო ხუხაშვილი - 1:0; ნაზი პაიკიძე - ნინო ხურციძე - 0:1; მაია ლომინეიშვილი - სოფიო გვეტაძე - 0,5:0,5; ნონა გაფრინდაშვილი - სოფიკო გურამიშვილი - 0:1; ქეთი ნანალაშვილი - მირანდა მიქაძე - 0,5:0,5.

ვაჟები: ლევან ფანცულაია - გიორგი ბალათუროვი - 1:0; მიხეილ მჭედლიშვილი - თორნიკე სანიკიძე - 0,5:0,5; კონსტანტინე შანავა - შოთა აზალაძე - 1:0; დავით მალალაშვილი - დავით ბენიძე - 1:0; ინგა ჭარხალაშვილი - ლევან ბრეგაძე - 0,5:0,5; დავით არუთინიანი - მერაბ გაგუნაშვილი -0:1; გაიოზ ნიგალიძე - გიორგი მარგველაშვილი -0,5;0,5.

როგორც ვწერდით, 15 წლის **ნაზი პაიკიძემ** ქალთა შორის დიდოსტატის ნორმა შეასრულა და შეეძლო ვაჟთა საერთაშორისო ოსტატობის ბალისთვის ებრძოლა, - ამისთვის ან მე-10 ტური უნდა მოეგო , ან მე-11. გუშინ პაიკიძე თეთრებით ხვდებოდა **ნინო ხურციძეს,** რომელმაც შუა ტურნირი ჩააგდო და საკმაოდ ჩამორჩა მოწინავეებს. ნინომ მე-10 ტურში შესანიშნავად ითამაშა და ზედიზედ მეორედ მოიპოვა გამარჯვება. გუშინ, ქართველებმა ნინოობა ვიზეიმეთ და ნინო ხურციძემ მშვენიერი საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს.

საერთაშორისო ნორმის შესრულება სხვასაც შეეძლო. **სოფიკო გურამიშვილს** ერთი ნაბიჯილა აკლდა პაიკიძის დარად დიდოსტატობის ნორმამდე. იგი შავებით ხვდებოდა **ნონა გაფრინდაშვილს.** უაღრესად მწვავე სიტუაციებში პაიკიძე უკეთ გაერკვა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. გურამიშვილს 6 ქულა გაუხდა და მეორედ შეძლო დიდოსტატობის ნორმის შესრულება, მაგრამ ეს წოდება რომ ოფიციალურად მიენიჭოს, კიდევ ერთხელ უნდა მიაღწიოს წარმატებას.

საინტერესო იყო ლიდერების შეხვედრებიც. **მაია ლომინეიშვილს** თეთრებით **სოფიო გვეტაძისთვის** რომ მოეგო, თითქმის გადაჭრიდა ჩემპიონის საკითხს, მაგრამ ვერ იმარჯვა, ყაიმს გამორჩა და ბოლო პარტიაში მეტად რთული ბრძოლის გადახდა მოუწევს ნინო ხურციძესთან. ამ შეხვედრაში ერთპიროვნული ლიდერი შავებით ითამაშებს.

დასანანი მარცხი იგემა შავებით **სოფიკო ხუხაშვილმა,** რომელიც მესამე ადგილზე იყო და ჩემპიონობის შანსსაც კი ინარჩუნებდა; მაგრამ აქამდე წარუმატებლად მოთამაშე **მერი არაბიძემ,** რომელიც მხოლოდ 2 ქულით ბოლო ადგილზე იყო, ხელი გამოილო და ერთ-ერთი ლიდერი დაამარცხა. სოფიკოს მესამე ადგილზე გასვლაც გაუჭირდება - ბოლო ტურში კონკურენტ პაიკიძეს კი ხვდება, მაგრამ სხვა შეხვედრებზეც იქნება დამოკიდებული მისი ბედი... დებულების თანახმად, თანაბარი ქულების შემთხვევაში გადათამაშება დაინიშნება, სადაც გარკვეული წესები მოქმედებს. .

ვაჟთა შორის **ლევან ფანცულაიამ** ოთხტურიანი ჩავარდნის შემდეგ კარგად ითამაშა და გაიმარჯვა, რითაც მცირე, მაგრამ საჩემპიონო შანსი გაიჩინა. დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ მოიგო **გიორგი მარგველაშვილმა,** რომელიც შავებით გაიოზ ნიგალიძეს ხვდებოდა. კვლავ მოიგო **კონსტანტინე შანავამ** და საპრიზოზე გასვლის შანსი გაიჩინა. საინტერესო იყო ერთპიროვნული ლიდერის - **მიხეილ მჭედლიშვილის** და მეორე ადგილზე მყოფი **თორნიკე სანიკიძის** პაექრობა, მაგრამ დიდი ბრძოლა არ შედგა და ყაიმზე მალევე შეთანხმდნენ. მოიგო **მერაბ გაგუნაშვილმაც** და 6 ქულა დაუგროვდა.

**სატურნირო მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ. ქალები: 1. მაია ლომინეიშვილი - 7; 2. ნაზი პაიკიძე - 6,5; 3. სოფიკო გურამიშვილი - 6; 4-6. ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია - 5,5-5,5; 7-8. ქეთი ნანალაშვილი, მირანდა მიქაძე - 5-5; 9. სოფიო გვეტაძე - 4,5; 10-11. ნონა გაფრინდაშვილი, მარიამ დანელია - 3,5-3,5; 12. მერი არაბიძე - 3. ვაჟები: 1. მიხეილ მჭედლიშვილი - 6,5; 2-4. გიორგი მარგველაშვილი, თორნიკე სანიკიძე, მერაბ გაგუნაშვილი - 6-6; 5-6. ლევან ფანცულაია, დავით მალალაშვილი - 5,5-5,5; 7-8. გაიოზ ნიგალიძე, კონსტანტინე შანავა - 5-5; 9-12. ლევან ბრეგაძე, დავით ბენიძე, შოთა აზალაძე, გიორგი ბალათუროვი - 4,5-4,5; 13. დავით არუთინიანი - 4; 14. ინგა ჭარხალაშვილი - 3.**

მეთერთმეტე ტური. ქალები: მიქაძე - მელია; დანელია - არაბიძე; ხუხაშვილი - პაიკიძე; ხურციძე - ლომინეიშვილი; გვეტაძე - გაფრინდაშვილი; გურამიშვილი - ნანალაშვილი.

ვაჟები: გაგუნაშვილი - ფანცულაია; ბალათუროვი - მჭედლიშვილი; სანიკიძე - შანავა; აზალაძე - მალალაშვილი; ბენიძე - ჭარხალაშვილი; მარგველაშვილი - არუთინიანი; ბრეგაძე - ნიგალიძე.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | საქართველოს თასი. ფინალი




ფინალის გამარჯვებული ენერჯი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მეშვიდე ცდაზე, მეშვიდე ცაზე: თასი რუსთავში წავიდა

27 იანვარი, თბილისი, სპორტის სასახლე

| ავიამშენი-ენერჯი | | | | | | | 71:80 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:16, 13:23, 15:20, 28:21 | | | | | | | |

| ავიამშენი | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი. ბერიშვილი | 29 | 8 | 3 | 4 | 4 | 0 | 4 | 3 |
| დ. ბერიშვილი | 35 | 5 | 1 | 8 | 1 | 0 | 5 | 1 |
| ბოისა | 34 | 6 | 6 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 |
| ნაცვლიშვილი | 37 | 24 | 7 | 0 | 1 | 1 | 4 | 3 |
| მათიაშვილი | 23 | 9 | 7 | 0 | 1 | 1 | 5 | 4 |
| ნიკოლაძე | 15 | 12 | 2 | 1 | 0 | 0 | 3 | 2 |
| კვიმსაძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| მინაშვილი | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 1 | 3 | 1 |
| პირველაშვილი | 7 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 |
| შერმადინი | 5 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 |
| **ენერჯი** | **ნთ** | **ქ** | **მ** | **პ** | **ჩ** | **დ** | **ფ** | **შ** |
| გამყრელიძე | 40 | 14 | 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 |
| ლეჟავა | 31 | 7 | 1 | 1 | 3 | 0 | 1 | 3 |
| ტულუში | 26 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 4 | 3 |
| ბაბიაშვილი | 26 | 13 | 9 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 |
| უგრეხელიძე | 23 | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 4 | 1 |
| დიდია | 14 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 |
| ტუჯანი | 17 | 10 | 7 | 0 | 1 | 1 | 2 | 1 |
| ჭოჭუა | 24 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 |

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი
კომისარი: მ. გელოვანი

საქართველოს თასი 2003 წლიდან თამაშდება და ეს ჯილდო რუსთავის "ენერჯის" ერთხელაც არ ჰქონდა მოგებული. გუშინ უსიამოვნო ტრადიცია დაირღვა და **გამყრელიძე-ტულუშის** ნინამძღოლობით რუსთაველებმა თასი პირველად მოიგეს.

რუსთავის "ენერჯიმ" ესტაფეტა "ვითასა" და "ბასკოსგან" გადაიბარა და ბოლო სამი წელიწადია ქართული კალათბურთის ფლაგმანობაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვემოქართლელები საქართველოს ჩემპიონობას არავის უთმობენ, მაგრამ თასი ერთხელაც არ მოუგიათ. შარშანწინ, მაშინ, როცა "ენერჯიში" ერთდროულად **უგრეხელიძე**, ტულუში, **მარკოიშვილი** და გამყრელიძე თამაშობდნენ, ყველასთვის მოულოდნელად "ავიამშენმა" რუსთაველებს თასი თბილისში დაატოვებინა. შარშან, საქართველოს მომავალი ჩემპიონი "ენერჯი" თასის ფინალში ვერ გავიდა – ნახევარფინალში თსუ-მ სირენამდე 2 წამით ადრე სწრაფი კომბინაცია გაათამაშა და **დავით ბარბაქაძის** ორქულიანის წყალობით ქვემოქართლელები ერთი ქულის სხვაობით დაამარცხა.

ქვემოთ მოგითხრობთ, როგორ მოახერხა რუსთავის "ენერჯიმ" მეშვიდე ცდაზე თასის ალმართვა.

პირველ მეოთხედშივე გამოჩნდა, რომ თამაში მძიმე იქნებოდა და ის გაიმარჯვებდა, რომელიც დაცვაში იყოჩაღებდა. რუსთაველთა დაცვას "ავიატორთაგან" მხოლოდ გამოცდილი **ვახტანგ ნაცვლიშვილი** და **ირაკლი ბერიშვილი** უმკლავდებოდნენ – ვატომ 8 ქულა ჩააგდო, ხოლო ირაკლიმ – 5. "ავიამ" კი საწყისი მეოთხედი 15 ქულით დაასრულა (15:16). ნაცვლიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 32 წლის მიუხედავად საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. მან საბოლოოდ 24 ქულა ჩააგდო, რაც არათუ "ავიატორთა" სნაიპერობისთვის, არამედ მატჩის ბომბარდირობისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მეორე თბილისელი, რომელმაც 10-ქულიანი ბარიერი გადალახა **გიორგი ნიკოლაძე** იყო. მასზე პირველ პერიოდში არაფერს ვიტყვით, მეოთხე ათწუთეულისთვის შემოვინახავთ...

საწყისი მეოთხედის მე-7 წუთზე "ავიას" ცენტრმა, **რიჩარდ მათიაშვილმა** მესამე ჯარიმა მიიღო და მწვრთნელი, **ლევან მოსეშვილი** იძულებული შეიქნა იგი სათადარიგოთა სკამზე დაესვა. ბევრს შეიძლება ეფიქრა, რომ მეურვის, მათიაშვილის კლანჭებიდან გათავისუფლებული "ენერჯის" ცენტრი **დავით უგრეხელიძე** გაილაღებდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა რუსთაველთა მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი**. მან მათიაშვილის გასვლასთან ერთად სათადარიგოთა სკამზე დასვა უგრეხელიძე. ასეთმა მოქმედებამ ნამდვილად გამაკვირვა, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილების სისწორეში უგრეხელიძის შემცვლელმა **ჯულიეტ ტუჯანმა** დაგვარწმუნა. კამერუნელის გამოსვლის შემდეგ "ენერჯი" დამსუბუქდა და სისწრაფესაც უმატა. შესაბამისად იყო ეპიზოდები, როცა "ავიატორები" მეტოქეს ტემპში ბოლომდე ვერ ჰყვებოდნენ და სივრცეებიც თავისუფალი რჩებოდათ. ამით ისარგებლა კოტე ტულუშმა და მესამე ცდაზე სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ იყო **ზვიად ბაბიაშვილის** და დავით უგრეხელიძის ორქულიანები და 11:0 სპურტის შემდეგ "ენერჯი" 28:19 დაწინაურდა. მეორე პერიოდი ზემოთ ნახსენებმა ტუჯანმა დახურა. მან ერთმანეთის მიყოლებით 8 ქულა მიითვალა და ქვემოქართლელებს 14-ქულიანი ფორა მოუტანა – 39:25. მაშინ, როცა ენერჯის ყველა კალათბურთელი თანაბრად თამაშობდა "ავიამშენი" შეტევაში მხოლოდ ნაცვლიშვილის იმედზე იყო. საინტერესოა, რომ თბილისელთა მხრიდან პირველი ზუსტი სამქულიანი მეორე პერიოდის ბოლოს შესრულდა, რომელიც სწორედ მეფარე ვატო ნაცვლიშვილმა შეასრულა – 28:39.

დიდი შესვენების შემდეგ "ავიამშენმა" დაცვაში თამაში ცოტა გამოასწორა, მეორე ათწუთეულის მსგავსი ჩავარდნები აღარ ჰქონია, მაგრამ დაცვა კიდევ უფრო გაამყარეს რუსთაველებმაც. მესამე პერიოდში, არ მახსოვს, ერთი "ავიატორი" თავისუფალ სატყორცნ პოზიციაზე აღმოჩენილიყოს. როცა დაცვაში თამაში მიგდის, შეტევაც იოლდება... ამაში **მიხეილ ჭოჭუამ** დაგვარწმუნა, რომელმაც ორი სამქულიანი გამოიყენა. მეორე ტყორცნის შემდეგ ტაბლოზე "ენერჯის" სასარგებლოდ 59:43 აენთო და მესამე პერიოდიც დასრულდა.

გიორგი ნიკოლაძე მწვრთნელმა, ლევან მოსეშვილმა პირველ ტაიმში სულ 4 წუთით ათამაშა. ჯანმრთელი გიორგის სათადარიგოთა შორის შეკავება ნამდვილად გასაკვირი იყო, თუმცა მწვრთნელის მოქმედებაზე პასუხი ამჯერადაც მივიღეთ: დასვენებულმა ნიკოლაძემ "ავიას" იერიშებს სისწრაფესთან ერთად სიზუსტე შემატა და 16-ქულიანი ჩამორჩენა 7 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ეს საფინალო სირენამდე 1:18 წუთით ადრე მოხდა...

თუმცა, "ავიას" გამარჯვებისთვის დრო არ ეყოო, ამის თქმა გაუმართლებელი იქნება, რადგან ერთი ჩავარდნის შემდეგ რუსთაველებმა თამაში გამოასწორეს და გადამწყვეტ მომენტშიც ისევე მტკიცედ იდგნენ დაცვაში, როგორც მეორე-მესამე პერიოდში.

დაცვაზე უკვე ბევრი ვისაუბრეთ. რუსთაველთა გამარჯვების კიდევ ერთი მიზეზი მატჩისთვის მომზადება იყო. ქვემოქართლელები აშკარად უკეთ იყვნენ მზად. "ავიამშენის" გამთამაშებელმა გიორგი ნიკოლაძემ მატჩის ბოლოს ოქმში ჩაიხედა და თავი გადააქნია – რუსთაველებმა დაცვაში მართლაც კარგად ითამაშესო, იქვე განაგრძო:

*- იანვარში ძირითადად ფიზმომზადებზე ვმუშაობდით. ბოლოს დარბაზში მხოლოდ 3 ვარჯიში ჩავატარეთ, ბურთთან ძალიან ცოტა ვიმუშავეთ. შეტევაში ამიტომაც გაგვიჭირდა. დასანანია, რომ თასი ზედიზედ მესამედაც ვერ მოვიპოვეთ.*

გახარებული იყო, თუმცა თავშეკავებულად საუბრობდა "ენერჯის" თავკაცი დავით უსტიაშვილი:

*- ვფიქრობ, მატჩს კარგად მომზადებულნი შევხვდით. თავიდან ბიჭები ნერვიულობდნენ და შეტევაში ცდებოდნენ, თუმცა დაცვაში კარგად იდგნენ. მეორე პერიოდიდან სიტუაცია გამოვასწორეთ და საბოლოოდ გამარჯვებასაც მივაღწიეთ. ამ წარმატებას "ენერჯის" ყველა გულშემატკივარს მივულოცავ.*

ძალიან დაღლილი იყო რუსთაველთა გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე, რომელმაც მოედანზე 40 წუთი გაატარა:

*- თასის ფინალი ერთი მატჩისგან შედგება, ამიტომ მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო. ვფიქრობ, სათანადოდ მობილიზება მოვახერხეთ და მეტისმეტად დაძაბულ ბრძოლაში გავიმარჯვეთ. "ავია" ღირსეული მეტოქე იყო.*

მატჩის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი ჯილდო კოტე ტულუშმა მიიღო, რომელიც 17 ქულით "ენერჯის" სნაიპერი გახდა. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ საუკეთესოს ჯილდოს კოტე ნამდვილად იმსახურებდა, თუმცა უკეთესი იქნებოდა, 2 პრიზი დაემზადებინათ და მეორე ლაშა გამყრელიძისთვის მიეცათ. გადახედეთ ოქმს და დარწმუნდებით, რომ ორივეს ერთმანეთზე უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა, უფრო კარგი ვარიანტი გუნდურად მოთამაშე "ენერჯისთვის" თასის გადაცემა იყო. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, **ბესიკ ლიპარტელიანი** ასეც მოიქცა...

**ვაჟა სიმონიშვილი**

პუბლიკაციის კვალდაკვალ

# ვიზებს ვეღარ დაბლოკავენ

„ლელოს" გუშინდელ ნომერში რუბრიკით SOS გამოქვეყნდა ინფორმაცია გერმანიის საელჩოს მიერ ინდურ ჰოკეიში საქართველოს ჩემპიონის ქუთაისის „უქიმერიონისთვის" ვიზების გაცემაზე უართან დაკავშირებით.

გუშინვე რამდენიმე სპორტული ფედერაცია შეგვეხმიანა, საიდანაც გულისტკივილით გვაცნობეს, რომ გერმანიის საელჩო გამონაკლისი არ არის. სხვა ქვეყნის საკონსულოებიც აგდებით ეკიდებიან ქართული სპორტის წარმომადგენელთა მიმართვებს, ხშირად კი დაუსაბუთებელი უარით ისტუმრებენ ცინიკურად.

თავი გავანებოთ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვის უგულებელყოფას. სულ ახალ დოკუმენტს მოვიშველიებთ და იქნებ ამან მაინც „მოულბოს" გული, სულაც აიძულოს ამა თუ იმ ქვეყნის საელჩო თუ საკონსულო, მეტი ყურადღება გამოიჩინოს სპორტსმენთა მიმართ.

გუშინ ლოზანაში სოკ-ის პრეზიდენტ **ჟაკ როგსა** და ევროკავშირის განათლების, ფიზიკური კულტურისა და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარის **იან ფიგელის** შეხვედრისას ოფიციალურად დაფიქსირდა, რომ აუცილებელია „თავისუფალი გადაადგილების პრინციპების სპორტში გამოყენება." „ლელო" უთუოდ მიადევნებს თვალყურს ამ პრინციპის რეალიზებას საქართველოში.

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვამ ბადემდე ვერ მიაღწია

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (394) კალიფორნიის ქალაქ ლაგუნა ნაიჯელში იასპარეზა, სადაც ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) მიმდინარეობს. ოქსანას რეიტინგმა ძირითად ბადეში მოხვედრის შანსი არ მისცა, მას არც საკვალიფიკაციო ბადის კენჭისყრაში გაუმართლდა, რადგან მეტოქედ პირველ ნომრად განთესილი კანადელი, **მარი-ივ პელეტიე** (287) შეხვდა. ამის მიუხედავად, ჩვენებურმა ძალზე იოლად დაამარცხა ფავორიტი - 6:4, 6:1. ოქსანამ მეორე საკვალიფიკაციო წრეშიც იმარჯვა, თუმცა განუთესავი ხორვატის, **ტერეზა მრდეზას** (606) ჯობნა საკმაოდ გაუჭირდა - 7:6 (5), 4:6, 6:3. ოქსანას მომდევნო მეტოქე ამერიკელი **ჯენიფერ ელი** (485) იყო. სამწუხაროდ, ფინალურ ეტაპზე დასრულდა ჩვენებურის გამარჯვებათა სერია - 6:4, 3:6, 3:6. ამჯერად, კალაშნიკოვა წყვილთა თანრიგში არ ასპარეზობს, ამიტომაც ის ლაგუნა ნაიჯელს დაემშვიდობა.

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში იწყება საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) დახურულ კორტებზე. ამ ტურნირში პერსონალურად მიიწვიეს **ლადო ჩიხლაძე** (1118). პირველ წრეში ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში გამარჯვებულ ჩეხს, **დავიდ სოდეკს** (1139) ეთამაშება. წყვილთა თანრიგში ლადო მე-2 ნომრად განთესეს ავსტრიელ **ბიორნ პროპსტთან** (1333) დუეტში. ისინი შეჯიბრებაში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

პროფესიულ ჩოგბურთში დებიუტი ჰქონდა 15 წლის ქართველს, **დავით ფოცხვერიას**. ჩვენებურმა გიზაში (ეგვიპტე) საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) იასპარეზა. საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში დებიუტანტმა სერბ **ოზგენ დამიანოვსკისთან** წააგო - 1:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

# ასეულში მხოლოდ ერთი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელიც წლეულს ჯერჯერობით მხოლოდ დიდებში ასპარეზობს, ახალგაზრდულ კლასიფიკაციაში 70-ე პოზიციაზეა 286 ქულით. სწორედ უთამაშებლობაა ნიკას დაღმასვლის მიზეზი, წლის დასაწყისში ის 59-ე პოზიციაზე იმყოფებოდა. სხვები: 268. **ლაზარე კუხალაშვილი** - 115 ქულა; 589. **ალექსანდრე მეტრეველი** - 42; 964. **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 15.

გოგონებში 17 წლის **ეკა გორგოძე** 194 ქულით 177-ე პოზიციაზეა. სხვები: 826. **ნინო მებუკე** - 32 ქულა; 989. **დიანა დავითაია** - 22; 1512. **გვანცა რობაქიძე** - 5; 1699. **მარი მარტიროსოვა** - 3.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოიწერეთ
ნებისმიერი ნომრიდან და
მიიღეთ თქვენთვის სასურველ
მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ინტერვიუ სოსო დიაკონიძესთან

# ქუთაისის სარაგბო სკოლაში ტიმ ლეინის მეთოდებს იყენებენ

- გელათის აკადემიის ქალაქში რაგბის აკადემია გაიხსნა
- ქუთაისური რაგბის რთული პერიოდი დასრულებულია
- ქალაქის 24-ე სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილს რაგბი ჩაენაცვლა
- ტალანტებს გზა ხსნილი აქვთ

**სარაგბო ტრადიციებით მდიდარ ქუთაისში, სადაც რაგბის მიმართ ყოველთვის დიდი ინტერესითა და სიყვარულით გამოირჩეოდნენ, კეთილმოწყობილი რაგბის სასპორტო სკოლა ფუნქციონირებს. შარშან სკოლის ბაზაზე რაგბის აკადემიაც დაფუძნდა, რომელსაც სარაგბო სკოლის დირექტორი სოსო დიაკონიძე ხელმძღვანელობს. ბატონი სოსო რაგბის სკოლისა და აკადემიის მდგომარეობაზე, სამომავლო პერსპექტივებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრა.**

- გასულმა წელიწადმა რაგბის სკოლაში არაერთი საინტერესო სიახლით დაგვამახსოვრა თავი. პირველ რიგში სასიხარულოა, რომ 24-ე საჯარო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა გოგონათა გუნდი, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელები რამაზ სვანიძე და ალეკო ნიქაბაძე ხელმძღვანელობენ. გვერდში გვიდგას 24-ე სკოლის დირექტორი, ქალბატონი სოფიკო ხარშილაძე, რომელიც გოგონების შეკრებასა და მზადებას ყოველნაირად ხელს უწყობს. ამას გარდა, იქ დაწყებით კლასებში ბიჭები რაგბიშიც მეცადინეობენ - ფიზკულტურის ნაცვლად ტარდება რაგბის გაკვეთილები, სადაც ბავშვებს ცნობილი ვეტერანი მორაგბე ბესარიონ ლილუაშვილი („მოურავი“) ავარჯიშებს.

**- შარშან დაფუძნდა რაგბის აკადემია, ამ პროექტის შესახებ რას იტყვით?**

- დიდი ხანია გვინდოდა, რომ ქუთაისში რაგბის აკადემია ყოფილიყო, მაგრამ ყოველთვის არსებობდა ხელის შემშლელი ფაქტორები. გასული წლის ოქტომბერში აკადემია რაგბის კავშირის ხელშეწყობით დაფუძნდა და ჩვენი სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს. შეირჩა 25 საუკეთესო ბავშვი. ისინი ძირითადად ახალგაზრდული, ასაკობრივი ნაკრებებისთვის და „აიაში“ მოსახვედრად ემზადებიან. საინტერესოა, რომ აკადემიაში იმავე მეთოდებით და პრინციპებით მიმდინარეობს წვრთნები, როგორც ტიმ ლეინი საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს. მართალია, ბავშვების ასაკიდან გამომდინარე ინტენსივები შემცირებულია, მაგრამ მუშაობის მეთოდი ნაკრების მზადების ანალოგიურია. თუკი რომელიმე ჩვენი აღზრდილი ჭაბუკთა, ახალგაზრდულ ან დიდ ნაკრებში მოხვდება, დაკისრებული ამოცანის გაცნობიერება არ გაუძნელდება, რადგანაც აკადემიის გუნდი იმავე ტაქტიკას იყენებს, რასაც საქართველოს ნაკრები.

**- რაგბის აკადემიაში ახალგაზრდა მწვრთნელები მუშაობენ, რომლებსაც ჯერ სარაგბო კარიერაც კი არ აქვთ დასრულებული...**

- მთავარი მწვრთნელი არის ბესიკ ხამაშურიძე, რომელიც საქართველოს ნაკრების წამყვანი მორაგბე იყო და დიდი საერთაშორისო გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. ნიჭიერი მწვრთნელია და ახალგაზრდებს მისგან ბევრი შეუძლიათ ისწავლონ. ბესოს აკადემიელების გაწვრთნაში ეხმარებიან ლევან შერვაშიძე და გიგა გურეშიძე. სხვათა შორის, სამივე მათგანი მორაგბის კარიერას აგრძელებს და პარალელურად ქუთაისის „აიას“ მოთამაშე მწვრთნელები არიან.



**- გასულ წელს თქვენს სკოლაში არაერთი პერსპექტიული მორაგბე გამოჩნდა, რომლებმაც „აიასა“ და ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებით იასპარეზეს. ახალი თაობის შესახებ რას იტყვით?**

- საქართველოს ჩემპიონატის აღმოჩენად აღიარეს დავით ლოსაბერიძე („ლუი“), რომელმაც „აიაში“ და 17 წლამდე ნაკრებში ბრწყინვალე შეხვედრები ჩაატარა. ჩვენი სკოლიდან ასაკობრივ ნაკრებებში იასპარეზეს აგრეთვე: ლევან თხელიძემ, გიორგი ონიანმა, ზურაბ ერისთავმა, ზვიად ოდიშარიამ, შალვა ქაჯაიამ, გიგლა კუხიანიძემ, ზურაბ ტორაძემ, დავით გეგეშიძემ და გიორგი ჩხიკვაძემ. ბევრი მათგანი შარშან „აიას“ წევრიც გახდა და უმაღლეს ლიგაშიც არ შეურცხვენიათ თავი. სასიხარულოა, რომ უმცროსებიდანაც ნიჭიერი თაობა მოდის. წინა სეზონში, 1992-93-წლიანები თავიანთ ასაკში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ჩვენ ყოველთვის ვამარაგებდით „აიას“ პერსპექტიული მორაგბეებით და ახლა კიდევ უფრო ძლიერი შევსება მოდის.

**- „აიას“, რომლის ძირითად ბირთვს ახალგაზრდა მორაგბეები შეადგენენ, შარშან ოთხეულამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. არადა, მანამდე ზედიზედ რამდენიმე წელიწადი გუნდი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც ვერ ახერხებდა...**

- „აიას“ გასულ სეზონში ოთხეულში მოხვედრა შეეძლო, მაგრამ ისეთი კურიოზები და შეცდომები მოხდა, რამაც გუნდს პლეი ოფში გასვლის შანსი არ მისცა, თუმცა „აიამ“ ღირსეულად იასპარეზა და იოლი ლუკმა არავისთვის ყოფილა. ქუთაისური რაგბისთვის რთული პერიოდი დასრულებულია. „აია“ შარშანაც კარგი გუნდი იყო, მაგრამ წლეულს გაცილებით სერიოზული ძალა იქნება. ჩემი აზრით, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამეულში აუცილებლად შევა და შესაძლოა ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც ჩაერთოს.

**- ჯერ ჩემპიონატის დაწყებამდე ძალიან დიდი დროა და ასეთი ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საბაბს რა გაძლევთ?**

- ქუთაისურმა გუნდმა უკვე კარგა ხანია, რაც მზადება დაიწყო. ბიჭები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული. ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები იყვნენ ჩამოსული, ფიზიკურ მომზადებაში ჩაატარეს ტესტები და ჩვენმა მორაგბეებმა ძალიან კარგი შედეგები აჩვენეს. რაგბის აკადემიასა და „აიაში“ ფიზიკური მომზადება საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების ანალოგიურად მიმდინარეობს და ამან სასურველი შედეგები გამოიღო. ბოლო დროს, ბევრი კარგი მორაგბე მივიდა „აიაში“ და კონკურენცია გაიზარდა. წლეულს ბესიკ ხამაშურიძე და რამდენიმე გამოცდილი მორაგბეც დაემატება გუნდს და ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

**- თქვენი სკოლის აღსაზრდელი ავტომატურად „აიას“ საკუთრება ხდება, თუ შეუძლია მას ნებისმიერ სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა?**

- ჩვენი მორაგბეები ამ მხრივ შეზღუდული არ არიან. თუ ვინმე უკეთეს პირობებს შეუქმნით შეუძლიათ სხვა გუნდშიც ითამაშონ, მაგრამ ქუთაისურ რაგბიში ახლა კარგი სიტუაცია და პირობებია. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რაგბის კავშირი „აიას“ ფინანსურ დახმარებას უწევს. ახალ სეზონში უფრო დიდი მოტივაცია იქნება, რადგანაც საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი იზრდება. ბიჭები მონდომებულები არიან და სამეულში თუ შევლენ, ავტომატურად ხელფასებიც გაეზრდებათ. ახლა კი „აიაში“ მინიმალური ხელფასი 300 ლარია.

**- ისევ სკოლას დავუბრუნდეთ. მოედნებისა და ინვენტარის მხრივ როგორი მდგომარეობა გაქვთ?**

- აქამდე მწყობრში მხოლოდ ერთი მოედანი იყო და ეს პრობლემებს გვიქმნიდა. სკოლაში 500-მდე ბავშვი ვარჯიშობს და ერთ მოედანზე ფიზიკურად არ ეტეოდნენ. არის მეორე, სათადარიგო მოედანიც, რომელიც ჩვენი ძალებით გავასწორეთ. რაგბის კავშირიც დაგვპირდა, რომ ამ სტადიონის სრულყოფაში დაგვეხმარება სეზონის დაწყებამდე. აუცილებლად უნდა გაკეთდეს ფიტნეს დარბაზი. ასევე მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარებისთვის საკონფერენციო დარბაზის მოწყობაზეც ვფიქრობთ. ქართული რაგბი მსაჯების ნაკლებობას განიცდის, რაც ჩემპიონატის მიმდინარეობისას დიდ პრობლემებს ქმნის, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ რაგბის კავშირთან შეთანხმებით გავხსნათ მსაჯთა მომზადების სკოლა, სადაც 20 ბავშვი გაივლის სწავლებას, მათგან 5-6 კვალიფიციური მსაჯი რომ გამოვიდეს, ქართული რაგბისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**- სხვა საინტერესო პროექტებიც ხომ არ გაქვთ?**

- თავდაცვის სამინისტრომ გამოთქვა სურვილი, რომ ქუთაისის, ხონისა და სენაკის საჯარისო ნაწილებში რაგბი განავითარონ. ქუთაისის ნაწილში უკვე მივავლინეთ მწვრთნელები და მალე ვარჯიშებიც დაიწყება.

**- რაგბის სკოლისა და აკადემიის დირექტორთან ერთად, თქვენ რაგბის კავშირის დასავლეთ საქართველოს საქმიანობის კოორდინატორი ხართ. ამ მხარეში ბავშვთა გუნდების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, ვიცით, რომ ახლახან დაფუძნდა ლანჩხუთის „ჩიბათი“. საინტერესოა, სხვა ახალი სარაგბო კერებიც ხომ არ გაჩენილა?**

- ბაღდათსა და სამტრედიაშიც დავაფუძნეთ ბავშვთა გუნდები. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში მიხეილ ჩოგოვაძემ. გარდა ამისა, გუნდები არის ფოთში, ვანში, ზესტაფონში, ჩოხატაურში, წყალტუბოში, სენაკში, შუახევში, სოფელ ფუსტიოში, სადაც წლების განმავლობაში რამაზ სვანიძე მუშაობდა. ბორჯომსაც ჩვენ ვუწევთ კოორდინაციას. ბათუმზე აღარაფერს ვამბობ, რომელსაც უკვე უმაღლეს და პირველ ლიგაშიც ჰყავს გუნდი.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- რაგბის კავშირი და ადგილობრივი ხელმძღვანელობა სამომავლოდაც გვპირდებიან დახმარებას, რაც სკოლისა და აკადემიის კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს. რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე არა მარტო ნაკრებს, არამედ ბავშვთა რაგბისაც დიდ ყურადღებას უთმობს. მასთან ერთად გვერდში გვიდგას ვიცე-პრეზიდენტი გია გორგასლიძე და ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარე გია ჭუმბურიძე. გვეხმარებიან სპორტული ფორმებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლაში გამოცდილი მწვრთნელები გვყავს, რომლებსაც არაერთი თაობა აღუზრდიათ, ნიჭიერი თაობა მოდის და დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა მწვრთნელებსა და შეგირდებს მაქსიმალურად კარგი პირობები შევუქმნათ, რასაც ვცდილობთ კიდეც.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ლეგიონერები

# უამინდობამ ტური თითქმის ჩაშალა

ევროპაში რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა , საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონში სერიოზული კორექტივები შეიტანა. ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა, მე-13 ტურში შეხვედრების აბსოლუტური უმრავლესობა გადაიდო.

A ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს სამივე ინარჩუნებს. **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილის, შალვა სუთიაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მასი“ სტუმრად ეთამაშა უშუალო კონკურენტ „დიჟონს“ და 6:18 დამარცხდა. გიგაურის გარდა ყველა ქართველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. კვირიკაშვილმა, ამასთან, გუნდს 6 ქულა მოუტანა. მან თითო საჯარიმო და გარდასახვა გაიტანა.

ასევე სტუმრად დამარცხდა „ლონსთან“ **დავით ბოლღაშვილისა და სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი“ - 8:31. ბოლღაშვილმაც და ნიკოლაენკომაც თავიდან ბოლომდე ითამაშეს. მეორე გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე გათამაშებაში **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა და გიორგი ნემსაძის** „დომონმა“. პარიზელებმა შინ დაამარცხეს „რუენი“ - 20:16. ამასთან, „დომონს“ კიდევ ოთხი გამოტოვებული შეხვედრა აქვს ჩასატარებელი. „რუენთან“ მატჩში მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. მარგველაშვილი 77-ე წუთზე შეცვალეს. ორი წუთით ადრე კი, მოედანი ნემსაძემაც დატოვა.

საფრანგეთი. ფედერალ 1. XIII ტური. **არასი-შალონი 26:11, დომონი-რუენი 20:16, ლონსი-ლილი 31:8, დიჟონი-მასი 18:6.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. შალონი - 48 ქულა, 2. მასი - 32, 3. დიჟონი - 30, 4. ლილი - 24, 5. რუენი - 23, 6. ლონსი - 21, 7. დომონი - 15, 8. არასი - 14.**

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან მხოლოდ ერთმა, **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონმა“ ითამაშა. ჩვენებურის ეს გუნდი შინ დამარცხდა „ბობინისთან“ - 26:29. ყუფარაძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანის“ შეხვედრა სტუმრად **სანდრო ესაკიასა და ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერთან“ გადაიდო.

დღეისათვის „ორლეანი“ 32 ქულით მე-4 ადგილზეა. „სენ ნაზერსა“ და „მონლუსონს“ 28-28 ქულა აქვთ და მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. გადაიდო D, E და F ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდების „პერიგოს“, „ექსის“, „კაორის“ და „ლე ბუგეს“ შეხვედრები.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-სათხილამურო. მსოფლიოს თასი




# უცნაური ეტაპი

იტალიის კურორტ კორტინა დამპეცოში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი დასრულდა. ბოლო დისციპლინა სუპერგიგანტი იყო, რომელიც წინა კვირას უნდა გამართულიყო, მაგრამ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო ორშაბათს გადაიტანეს.

ეს ეტაპი ფავორიტების სრული კრახით დასრულდა და პოდიუმი სრულიად უცნობმა მოთხილამურეებმა შეავსეს. პირველი ადგილი შვედმა **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბიმ** დაიკავა, რომლისთვისაც ეს პირველი გამარჯვებაა მსოფლიოს თასის ეტაპებზე. აქამდე მისი საუკეთესო შედეგი ორი წლის წინ, ასევე სუპერგიგანტში ნაჩვენები მესამე ადგილი იყო.

ლინდელ-ვიკარბიმ ეტაპი დიდი უპირატესობით მოიგო. უახლოესი მდევარი, ავსტრიელი **ანა ფენინგერი** მას 81 მეასედი წამით ჩამორჩა. ფენინგერი სამთო-სათხილამურო სპორტის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება - ის იუნიორთა შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია. ანასთვის ავსტრიის პირველ ნაკრებში მოხვედრა უკვე წარმატებად ჩაითვალა, ის კი ამით არ დაკმაყოფილდა და კარიერაში პირველი პოდიუმი მოიპოვა.

რაც შეეხება მესამე ადგილზე გასულ შვეიცარიელ **ანდრეა დეტლინგს**, ისიც იმედისმომცემ მოთხილამურედ ითვლება. 22 წლის სპორტსმენი აქამდე მხოლოდ ერთხელ მოხვდა საუკეთესო ათეულში, ასე რომ, მისი მესამე ადგილი დიდ წარმატებად შეფასდა.

ფავორიტთა შორის საუკეთესო შედეგი ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** აჩვენა, რომელმაც მერვე ადგილზე დაასრულა ეტაპი. ამით მსოფლიოს თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა. ამჟამად ვონი 104 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან გერმანელ **მარია რიშს**.

**კორტინა დამპეცო (იტალია)**

**სუპერგიგანტი. ქალები**

1. **ჯესიკა ლინდელ-ვიკარბი** (შვედ) - 1:25.13; 2. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:25.94; 3. **ანდრეა დეტლინგი** (შვეიც) - 1:26.00; 4. **მონიკა დუმერმუტი** (შვეიც) - 1:26.05; 5. **ნადია ფანკინი** (იტა) - 1:26.07; 6. **ნადია კამერი** (შვეიც) - 1:26.08; 6. **ლარა გუტი** (შვეიც) - 1:26.08.

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 914; 2. **მარია რიში** (გერ) - 810; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 775; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 775; 5. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 684; 6. **ელიზაბეტ გორგლი** (ავსტრია) - 413.

■ ■ ■

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ავსტრიის კიტცბუელში გამართული ეტაპის დროს, სწრაფდაშვებაში ერთ-ერთი ვარჯიშისას ტრასაზე დაეცა შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტი**, რომელიც სასწრაფოდ გადაიყვანეს სენტ იოჰანის კლინიკაში.

მოთხილამურე კვლავაც ხელოვნურ კომაში იმყოფება. ბოლო სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ალბრეხტს თავის ქალის ტრავმის გამო გართულებები არ აქვს. ამასთან, ექიმები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სპორტსმენის ფილტვში სისხლის მიმოქცევის აღდგენას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| სლავია-კლადნო | 2:0 |
| ზენიტი-ლიტექსი | 1:0 |
| კოპენჰაგენი-მალმიო | 4:1 |
| ოდენსე-სილკებორგი | 1:1 |
| კლუჟი-პარტიზანი | 1:0 |
| ვისლა-შახტარი | 2:2 |
| ჰერტა-ბაბელსბერგი | 4:0 |
| რუბინი-მეტალურგი (ზ) | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| სანდერლენდი-ფულჰემი | 1:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ. | 0:5 |
| პორტსმუთი-ასტონ ვილა | 0:1 |
| ტოტენჰემი-სტოკი | 3:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნსლი-იფსვიჩი | 1:2 |
| ბირმინგემი-დერბი | 1:0 |
| ბლეკპული-ქუინზ პარკი | 0:3 |
| ჩარლტონი-კრ. პალასი | 1:0 |
| ნორვიჩი-საუთჰემპტონი | 2:2 |
| ნოტინგემი-უენსდი | 2:1 |
| პლიმუტი-ბრისტოლი | 0:2 |
| შეფილდი-დონკასტერი | 0:1 |
| სუონსი-პრესტონი | 4:1 |
| უოტფორდი-ბარნლი | 3:0 |
| რედინგი-ვულვზი | 1:0 |
| **I ლიგა** | |
| სკანთორფი-ოლდჰემი | 2:0 |
| როვერსი-ჩელტენემი | 3:2 |
| კოლჩესტერი-ნორთჰემპტონი | 2:1 |
| ჰარტლპული-კარლაილი | 2:2 |
| ჰერეფორდი-მილუოლი | 0:2 |
| ლიდსი-საუთენდი | 2:0 |
| ლესტერი-ბრაიტონი | 0:0 |
| მილტონი-ლორიანი | 1:2 |
| პიტერბრო-ქრიუ | 4:2 |
| სუინდონი-უოლსოლი | 3:2 |
| ტრანმერი-სტოკპორტი | 2:1 |
| იეოვილი-ჰადერსფილდი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-მორეკამბი | 1:0 |
| ბარნეტი-შრიუსბერი | 0:0 |
| ბორნმუთი-ლუტონი | 1:1 |
| ბრენტფორდი-ალდერშოტი | 3:0 |
| ბერი-ბრედფორდი | 1:0 |
| დარლინგტონი-როტერჰემი | 1:0 |
| ჯილინგემი-ლინკოლნი | 1:2 |
| გრიმსბი-დაგენჰემი | 1:1 |
| მაკლსფილდი-უიკომბი | 0:0 |
| პორტ ვეილი-ჩესტერი | 3:0 |
| როჩდეილი-ნოტსი | 3:0 |
| **კონფერენსი** | |
| ალტრინჩემი-იორკი | 1:1 |
| ებსფლიტი-ქროული | 4:4 |
| გრეისი-უეიმაუთი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-ჰისტონი | 2:0 |
| ლუისი-ტორკი | 0:2 |
| მენსფილდი-რაშდენი | 0:0 |
| სალისბერი-ფორესტ გრინი | 2:2 |
| სტევენეიჯი-კეტერინგი | 2:1 |
| უოკინგი-ისტბურნი | 0:4 |
| რექსჰემი-ნორთვიჩი | 3:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| სასუოლო-ბრეშია | 0:0 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| კარლ ცაისი-შალკე | 1:4 |
| ჰამბურგი-მიუნხენი | 3:1 |
| ფრაიბურგი-მაინცი | 1:3 |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 1:5 |
| **შოტლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| რეინჯერსი-ფალკირკი | 3:0 |
| **ჰოლანდია** | |
| კამბური-ფორტუნა | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-ამიენი | 2:1 |
| სედანი-ტრუა | 2:1 |
| მეცი-აიაჩო | 3:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| დენიზლი-ანკარა | 1:1 |
| გალათასარაი-სივასი | 1:1 |
| **უელსი** | |
| უელშპული-ნიუთაუნი | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| დინამო (მ)-პანელინიოსი | 91:84 |
| ჰემოფარმი-აზოვმაში | 84:74 (ო) |
| მარუსი-ხიმკი | 71:58 |
| ცრ. ზვეზდა-ვალენსია | 73:85 |
| ტურკ ტელეკომი-ზადარი | 89:82 |
| ბილბაო-ერტლანდი | 71:62 |
| შარლერუა-ლეტუვოს რიტასი | 78:74 |
| ბენეტონი-უნიქსი | 68:66 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ურალ გრეიტი-ლოკომოტივი | 69:60 |
| გალათასარაი-ვირტუსი | 91:104 |
| ამსტერდამი-ტრიუმფი | 68:85 |
| მონსი-ცსკა ვვს | 101:85 |
| ოლდენბურგი-კიევი | 73:86 |
| კახასოლი-აელ | 56:64 |
| ლიეჟი-ეიფელ ტაუერსი | 81:68 |
| **ხელბურთი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| სერბეთი-მაკედონია | 32:28 |
| უნგრეთი-ს. კორეა | 28:27 |
| დანია-გერმანია | 27:25 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 27:26 |
| ესპანეთი-ეგვიპტე | 28:24 |
| პოლონეთი-ნორვეგია | 31:30 |
| ხორვატია-საფრანგეთი | 22:19 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-დინამო (მ) | 0:6 |
| დინამო (მნ)-ცსკა | 3:3 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-გრაცი | 4:3 |
| ვენა-კლაგენფიურტი | 4:5 |
| ვილახი-იეზენიცე | 6:2 |
| ინსბრუკი-ლინცი | 3:2 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 3:3 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-ინგოლშტადტი | 1:3 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 1:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ტრენჩინი | 4:4 |
| ნიტრა-კეჟმაროკი | 2:4 |
| პოპრადი-ჟილინა | 2:2 |
| სლოვანი-სკალიცა | 3:3 |
| ზვოლენი-მიკულაში | 3:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტურკუ | 1:2 |
| იოკერიტი-ტაპარა | 1:4 |
| კერპეტი-კაიპა | 4:2 |
| ლუკო-კიეკო | 5:3 |
| პელიკანსი-საიპა | 10:2 |
| ჰპკ-ესეტი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 4:6 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 0:1 |
| ლულეა-ფრიოლუნდა | 4:2 |
| ტიმრა-როგლე | 3:2 |

მნიშვნელოვანი შეხვედრა

## ოლიმპიზმი და ევროკავშირი

გუშინ ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტ **ჟაკ როგისა** და ევროკავშირის განათლების, ფიზიკური კულტურისა და ახალგაზრდობის კომისიის ხელმძღვანელის **იან ფიგელ** შეხვედრა შედგა. საუბარი შეეხო სპორტში ევროპის საბჭოს დეკლარაციას, რომელშიც სახელმწიფოთა მეთაურები ხაზგასმით აღნიშნავენ სპორტის მნიშვნელობას, მის ეკონომიკურ ასპექტს და მოუწოდებენ განათლების, ფიზიკური კულტურისა და ახალგაზრდობის კომისიას, გააძლიერონ დიალოგი სოკ-თან. გუშინდელი შეხვედრის განხილვის თემა იყო სპორტის სპეციფიკურობა და ავტონომიურობა; სპორტის დაფინანსება და სპორტული ტოტალიზატორი; თავისუფალი გადაადგილების პრინციპების სპორტში გამოყენება; დოპინგთან ბრძოლა და ა.შ.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ფინიქსი 87:103**

24:22, 27:29, 22:24, 14:28

**ვ:** კ. ბატლერი (28+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (27+13 მოხსნა), ბლეტჩი (12).

**ფ:** შ. ო'ნილი (29+8 მოხსნა+3 დაფარება), ბარბოზა (23), სტაუდმაიერი (22+15 მოხსნა+3 დაფარება), ნეში (14+15 პასი).

**მაიამი-ატლანტა 95:79**

17:14, 29:13, 18:24, 31:28

**მ:** უეიდი (35), დ. კუკი (16), ჩალმერსი (12+6 პასი), ჰასლემი (8+13 მოხსნა).

**ა:** ჯო ჯონსონი (19), მ. უილიამსი (17+8 მოხსნა), ჯ. სმიტი (14+10 მოხსნა), მიური (14+4 ჩაჭრა).

**ნიუ იორკი-ჰიუსტონი 104:98**

29:23, 26:34, 19:23, 30:18

**ნ-ი:** რობინსონი (19), ჩენდლერი (18+7 მოხსნა), დ. ლი (17+13 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (13), დუჰონი (12+11 პასი), ტ. ტომასი (11).

**ჰ:** მაკგრეიდი (20+6 პასი), სკოლა (16+14 მოხსნა), ლენდრი (16), ბრუქსი (13), არტესტი (11+7 მოხსნა).

**მილუოკი-მინესოტა 83:90**

21:20, 22:27, 17:27, 23:16

**მილ:** სეშენსი (18+3 ჩაჭრა), ვილანუევა (15+3 დაფარება), რ. ჯეფერსონი (10+9 მოხსნა), რიდნური (8+9 პასი).

**მინ:** ელ ჯეფერსონი (23+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), გომესი (22+8 მოხსნა), ფოიე (12+7 პასი), ლავი (12+7 მოხსნა), მ. მილერი (3+10 მოხსნა).

**ნ. ორლეანი-ფილადელფია 101:86**

20:23, 20:24, 29:16, 32:23

**ნ-ო:** პოლი (27+10 მოხსნა+15 პასი+7 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (26), რ. ბატლერი (13), პოუზი (13+3 ჩაჭრა).

**ფ:** ტ. იანგი (22), ა. მილერი (19+3 ჩაჭრა), იგუოდალა (17+7 პასი+3 ჩაჭრა), ლ. უილიამსი (11+7 მოხსნა+6 პასი), დალემბერი (8+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ნიუ ჯერსი 94:85**

24:23, 27:17, 31:14, 12:31

**ო:** დურანტი (18), ჯ. გრინი (13), უესტბრუკი (13+8 მოხსნა), კოლისონი (12+8 მოხსნა), კრსტიჩი (11).

**ნ-ჯ:** ბ. ლოპესი (18+7 მოხსნა), ბუნი (11+3 ჩაჭრა), დ. ჰარისი (10+6 პასი+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი-პორტლენდი 88:113**

20:21, 28:28, 25:28, 15:36

**კ:** ტორნტონი (23+3 ჩაჭრა), ნოვაკი (21), ფ. ჯონსი (19+7 პასი), ე. გორდონი (11+7 პასი), სკინერი (8+10 მოხსნა).

**პ:** როი (33), აუთლო (20), ოდენი (16), ოლდრიჯი (10), ფერნანდესი (11).

### კვირის მოთამაშეები

"კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი **ედრიუ ბინუმი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა, რომელიც ამ სეზონში მეოთხედ გახდა კვირის მოთამაშე, საშუალოდ მატჩში 30.5 ქულა, 9.8 მოხსნა, 8.8 პასი და 2.3 ჩაჭრა დააგროვა, "კლივლენდმა" კი ოთხი გასვლითი შეხვედრიდან სამ მატჩში გაიმარჯვა.

ზედიზედ ოთხ მოგებულ მატჩში ბინუმმა საშუალოდ 23.5 ქულა, 11.5 მოხსნა და 2.25 დაფარება მიითვალა. ახალგაზრდა ცენტრმა განსაკუთრებით "კლიპერსთან" მატჩში გამოიჩინა თავი, როცა 42 ქულა და 15 მოხსნა დააგროვა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **რეი ალენი** ("ბოსტონი"), **რაჯა ბელი** ("შარლოტი"), **ბორის დიაო** ("შარლოტი"), **ლუის სკოლა** ("ჰიუსტონი"), **მო უილიამსი** ("კლივლენდი"), და **დევიდ ლი** ("ნიუ იორკი").

TV პროგრამა

**28 იანვარი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-ატლეტიკო.
10:00 ლიბერტადორესის თასის წინ.
10:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ოსასუნა.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ლიბერტადორესის თასის წინ.
17:55 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
19:45 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
21:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სტოკი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ლივერპული.
04:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მიდლსბრო.
05:50 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:25 სპორტის სამყარო.
09:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ნუმანსია.
11:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.
13:25 ჩოგბურთი. ATP. საჩვენებელი ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ფერნანდო გონსალესი-ფერნანდო ვერდასკო. მელბურნი. ავსტრალია.
14:25 ჩოგბურთი. ATP. საჩვენებელი ტურნირი. ფინალი. როჯერ ფედერერი-სტანისლას ვავრინკა. მელბურნი. ავსტრალია.
15:30 სპორტკლუბი.
15:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ასტონ ვილა.
17:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:50 წყალში ხტომა.
18:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ნიუ ჯერსი.
19:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:50 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. TOP16. ციბონა-მონტეპასკი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ინტერი.
01:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
03:15 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. ახალი ზელანდია.
04:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:55 ჩოგბურთი. ATP. საჩვენებელი ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. ფერნანდო გონსალესი-ფერნანდო ვერდასკო. მელბურნი. ავსტრალია.
05:35 ჩოგბურთი. ATP. საჩვენებელი ტურნირი. ფინალი. როჯერ ფედერერი-სტანისლას ვავრინკა. მელბურნი. ავსტრალია.
06:55 კალათბურთი.
07:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.

**EUROSPORT**

10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ციურიხი. შვეიცარია.
22:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:25 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:25 გოლფი. ევროპის ტური.
23:55 გოლფ-კლუბი.
00:00 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:10 მულტისპორტი.
00:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
00:45 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰელსინკი. ფინეთი.
01:45 სპორტული მეგზური.
02:00 რალი. სპეციალური გამოშვება. სებასტიან ლოები.
02:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე).
06:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. ქალები (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# მზის დარტყმა ჩემპიონს

**ნოვაკ ჯოკოვიჩის** ოცნებას, ზედიზედ მეორედ გამხდარიყო ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორი, ამერიკელმა **ენდი როდიკმა** და ავსტრალიურმა სიცხემ დაუსვეს წერტილი.

ამერიკელს პირველივე წრიდან ეტყობა, რომ კარგი სპორტული ფორმა აქვს. ენდიმ მოძრაობას უმატა და მარცხნიდან დარტყმა გააუმჯობესა, რის შედეგადაც, ისე გააღწია მეოთხედფინალში, რომ მხოლოდ ერთი სეტი წააგო.

ჯოკოვიჩმა კი პირიქით, სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო - ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ვერც ერთში მოახერხა ფინალში გასვლა, თანაც სერბის თამაში საკმაოდ ულიმლამო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ნოვაკს ასეთი განწყობა ინერციით ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეებშიც გამოჰყვა, თუმცა მერვედფინალში კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისთან** კარგმა თამაშმა, სერბის გულშემატკივრებს დიდი იმედები ჩაუსახა.

სხვათა შორის, ჯოკოვიჩი როდიკთან მატჩის პირველ სეტშიც კარგად გამოიყურებოდა. მეტოქეზე გაცილებით აქტიური იყო, მაგრამ ბრეიკპოინტი ვერც თვითონ მოიპოვა და არც ამერიკელს მისცა სხვის მოწოდებაზე თავის გამოჩენის შანსი. ამიტომაც, პირველ სეტში კანონზომიერი იყო ტაიბრეიკის ჩატარება, სადაც ნოვაკმა სრულიად დამსახურებულად აჯობა მეტოქეს.

მაგრამ მეორე სეტში ჯოკოვიჩმა შესამჩნევად უკლო ტემპს - აშკარად ეტყობოდა, რომ სიცხისგან იტანჯებოდა. შესაბამისად, ნელ-ნელა მატჩის სადავეებს როდიკი დაეუფლა. პარტიის ბოლოს მან ბრეიკის გაკეთება შეძლო და თავის მოწოდებაზე აღარ გასჭირვებია საქმის გამარჯვებამდე მიყვანა.

მესამე სეტის დასაწყისი ოდნავ უცნაური გამოვიდა - ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, მაგრამ მაინც, ამერიკელი უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ნოვაკს სულ უფრო და უფრო უჭირდა სიცხესთან გამკლავება და ერთხელ კორტზე ექიმსაც უხმო. მართალია, სერბს დანებება არ უცდია, მაგრამ როდიკი მშვიდად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეს.

ამერიკელი სეტებში 2:1 დაწინაურდა, ხოლო, როცა ნოვაკმა მეოთხე პარტიის დასაწყისში ნულზე წააგო თავისი მოწოდება, უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. აი, როგორ ახსნა თავისი გადაწყვეტილება სერბმა ჩოგბურთელმა: *"მთელ სხეულში ტკივილს ვგრძნობდი. ისე ვეღარ ვაწოდებდი ბურთს, როგორც პირველ ორ სეტში. სამწუხაროა, რომ ასეთ ცუდ ნოტზე დავასრულე ეს ტურნირი, მაგრამ ხანდახან, საკუთარ სხეულთან ბრძოლა დამარცხებით სრულდება. ეს სპორტის შემადგენელი ნაწილია. ადრეც შემიწყვეტია ტურნირზე გამოსვლა, მაგრამ ამისთვის ყოველთვის საფუძვლიანი მიზეზი მქონდა".*

*"კორტზე თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ახალ მწვრთნელთან ლარი სტეფანკისთან თანამშრომლობა სასარგებლო გამოდგა. ის ძალიან დამეხმარა, თავისი იმპულსი გადმომცა. ჩვენ ერთნაირად ვაზროვნებთ, ორივეს გვიყვარს მუშაობა და მსგავსი ინტერესები გვაქვს"*, - ასე ახსნა თავისი წარმატება ენდი როდიკმა.



არანაკლები ინტერესით ელოდნენ **როჯერ ფედერერისა** და **ხუან მარტინ დელ პოტროს** შეხვედრას. იმის გათვალისწინებით, რომ წინა წრეში შვეიცარიელს ხუთსეტიანი მატჩის გამართვამ მოუწია ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან**, მაყურებელი მარათონული შეხვედრის მოლოდინში იყო.

მაგრამ ბრძოლა არ შედგა. ფედერერს ასე კარგად დიდი ხანია არ უთამაშია. აი, ამ მატჩის რამდენიმე სტატისტიკური მაჩვენებელი: სამი სეტის ჩატარებას სულ 80 წუთი დასჭირდა; ფედერერმა მხოლოდ 9 (!) უნებლიე შეცდომით დაასრულა მატჩი; მანვე პირველი სეტიდან მოყოლებული, ზედიზედ 15 (!) გეიმი მოიგო, რაც ასეთი დონის ტურნირის ამ ეტაპზე მამაკაცთა შორის პრაქტიკულად არ ხდება; დელ პოტრომ მეორე სეტში მხოლოდ რვა (!) გათამაშება მოიგო, მესამეში - ექვსი (!!!). ამით ყველაფერია ნათქვამი.

*"ფედერერის წინააღმდეგ ვერაფერი გავაწყვე. ის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელივით თამაშობდა. მე კი ძალიან ცუდი დღე მქონდა. როჯერის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყოველთვის ოპტიმალურ მდგომარეობაში უნდა იყო, მე კი ეს ვერ მოვახერხე"*, - ასე დაახასიათა მეტოქისა და თავისი თამაში არგენტინელმა ჩოგბურთელმა.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 7)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:7 (3), 6:4, 6:2, 2:1 ჯოკოვიჩის უარი; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8) 6:3, 6:0, 6:0.

**ქალები**

**1/4 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 16) 6:3, 6:0; **დინარა საფინა (რუს, 3)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:4, 4:6, 6:4.

კრივი

# ჰოლიფილდი VS ტაისონი III



**არაბმა** მილიარდერმა **სულეიმან ალ-ფაჰიმმა** განაცხადა, რომ 2009 წლის ოქტომბერში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კრივის ლეგენდების **მაიკ ტაისონისა** და **ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლა გაიმართება. ალ-ფაჰიმის თქმით, ბრძოლის ორგანიზაციაზე შეთანხმება უკვე არსებობს და ამ შეხვედრის შესახებ ოფიციალურად 1 თებერვალს გამოაცხადებენ.

ბრძოლა შეიხ **ზაიდის** სახელობის სტადიონზე, ღია ცის ქვეშ გაიმართება და მას 25 ათასი მაყურებელი მიადევნებს თვალს. სავარაუდო თარიღი 31 ოქტომბერია, ანუ ორგანიზატორები ამ მოვლენას სპეციალურად ამთხვევენ ფორმულა 1-ის ისტორიაში აბუ-დაბის პირველ გრანპრის.

როგორც იტყობინებიან, თითოეული მოკრივე 34 მილიონ დოლარს მიიღებს. სწორედ ასეთი თანხა გამოიმუშავა ჰოლიფილდმა 1996 წელს ტაისონთან პირველი ბრძოლის დროს.

ტაისონი ამჟამად 42 წლისაა. პროფესიულ რინგზე თავისი ბოლო ბრძოლა მან 2005 წლის ნოემბერში ჩაატარა - ამერიკელმა ირლანდიელ **კევინ მაკბრაიდთან** წააგო. 46 წლის ჰოლიფილდმა 2008 წლის დეკემბერში WBA-ის ტიტულისთვის იბრძოლა და ქულებით წააგო რუს **ნიკოლაი ვალუევთან**.

ჰოლიფილდი და ტაისონი ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 1996 წელს, ევანდერმა მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა "რკინის მაიკი". ერთი წლის შემდეგ, ტაისონი სამი რაუნდის შემდეგ დისკვალიფიკაციით დაისაჯა და გამარჯვება ჰოლიფილდს მიენიჭა. ის იყო სკანდალური შეხვედრა, რომლის დროსაც ტაისონმა მეტოქეს ყური მოაჭამა.

ბრძოლის ორგანიზატორი სულეიმან ალ-ფაჰიმი არაბული კომპანია Hydra Properties-ის მფლობელია, რომელიც მშენებლობით არის დაკავებული. ის აგრეთვე საინვესტიციო ჯგუფის - Abu Dhabi United Group (ADUG)-ის თანამფლობელიცაა. 2008 წელს ADUG-მა ინგლისის პრემიერლიგის გუნდი "მანჩესტერ სიტი" შეიძინა, თანაც ალ-ფაჰიმი ამ გარიგების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

## ოლიმპიაკოსში პარგო გადავიდა

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წინ, გუნდები შემადგენლობების გაძლიერებაზე ზრუნავენ. ცნობილი გახდა, რომ საბერძნეთის "ოლიამპიაკოსი" NBA-ის ყოფილ წევრს **ჯანერო პარგოს** დაიმატებს. ეს კალათბურთელი წელს მოსკოვის "დინამოში" თამაშობდა, მაგრამ რუსულ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა და იძულებული გახდა, თავისი ერთ-ერთი ლიდერი გაესხვისებინა.

ევროთასის ჯგუფური ტურნირის ხუთ ტურში ამერიკელი მოსკოვის "დინამოს" საშუალოდ 13.2 ქულით, 3.2 მოხსნით, 3.4 პასითა და 1.2 ჩაჭრით დაეხმარა.

## მილანმა ორი ამერიკელი დაიმატა

ორი ახალი კალათბურთელი ჰყავს "მილანს". ორივენი ამერიკელები არიან: ერთი გახლავთ ფორვარდი **მორის ტეილორი**, რომლის ბოლო გუნდი "საკრამენტო კინგზი" იყო. მეორეა - გამთამაშებელი **ჰოლის პრაისი**. ამ უკანასკნელმა, პარგოს მსგავსად, ცოტა ხნის დატოვა მოსკოვის "დინამო".

ტეილორს NBA-ში 534 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა 2007 წლის იანვრის შემდეგ არ გასულა მოედანზე. ცხრა სეზონის განმავლობაში მისი საშუალო მონაცემები 11.0 ქულასა და 4.6 მოხსნას შეადგენს. რაც შეეხება 29 წლის პრაისს, მის ექვსწლიან ევროპულ კარიერაში იტალია მეექვსე ქვეყანა იქნება, რუსეთში გადასვლამდე "ლე მანში", "ალბაში", "სევილიასა" და "ლეტუვის რიტასში" თამაშობდა.

ჰოკეი

## ფორსბერგი ევროტურზე მიიწვიეს

თებერვლის დასაწყისში სტოკჰოლმში ევროტურის ბოლო ეტაპი - "შვედეთის თამაშები" გაიმართება. მასპინძელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბენგტ-აკე გუსტაფსონი** უახლოეს ორ დღეში გამოაცხადებს საბოლოო შემადგენლობას და თავის გუნდში ერთ ვაკანტურ ადგილს დატოვებს. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ "შვედეთის თამაშებზე" გამოსვლას შვედური ჰოკეის ვეტერანი **პეტერ ფორსბერგი** მოისურვებს.

*"ფორსბერგს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ჩვენ მას პარასკევამდე მოსაფიქრებლად დრო მივეცით და თუ პეტერი თამაშს მოინდომებს, ნაკრებში მისთვის ადგილი შენახული იქნება"*, - ამბობს გუსტაფსონი.

## კროსბიმ ვარჯიში დაიწყო

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** ხუთდღიანი პაუზის შემდეგ გუნდთან ვარჯიში განაახლა. 2007 წლის საუკეთესო ჰოკეისტს მუხლის ტრავმა აწუხებდა. ჯერჯერობით უცნობია, მისცემენ თუ არა ექიმები ფორვარდს დღეს "რეინჯერსთან" თამაშის უფლებას. ყველაფერი ბოლო ვარჯიშისას კროსბის ფიზიკურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დაზიანების გამო, პიტსბურგელმა კვირას გამართული "ყველა ვარსკვლავის მატჩი" გამოტოვა.





გამოვიდა ახალი ნომერი